# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№211 (12586) 9 სექტემბერი სამშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკემბრის ბოლომდე და თებერვლის დასაწყისიდან

საქართველოს ჩემპიონატის კალენდარი »»» 5



## ხიზანიშვილის ნაცვლად ღვინიანიძე?

საქართველოს ნაკრებმა გუშინ, დილას და საღამოს, უდინეში ორი დახურული ვარჯიში გამართა. ფიზმომზადების გარდა, **ექტორ კუპერმა** ტაქტიკურ დეტალებზეც გააკეთა აქცენტი. მერე თეორიული მეცადინეობაც ჩატარდა.

დღეს ნაკრები მხოლოდ ერთ ვარჯიშს ჩაატარებს. 18 საათზე ჩვენები „უდინეზეს" მშობლიურ არენა „ფრიულის" მოსინჯავენ. მანამდე კუპერი პრესკონფერენციას გამართავს. იტალიურმა პრესამ ჩვენი და „სკუადრა აძურას" სავარაუდო შემადგენლობები გამოაქვეყნა:

იტალია: **ბუფონი, ძამბროტა, კანავარო, ლეგროტალიე, დოსენა, კამორანეზი, დე როსი, აკვილანი, იაკვინტა, ჯილარდინო, დი ნატალე.**

საქართველო: **ლორია, ლობჟანიძე, ხიზანიშვილი (ღვინიანიძე), კალაძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ოდიკაძე, მენთეშაშვილი, ყენია, იაშვილი, მჭედლიძე.**

აპენინელ მიმომხილველთა აზრით, ტრავმირებული **ზურაბ ხიზანიშვილის** ადგილს „მიუნხენის" მცველი **მათე ღვინიანიძე** დაიკავებს.

**დავით ცაგაძე**



## ჩამოვალ და ვილაპარაკოთ, სათქმელი ბევრი დამიგროვდა

შეგრტს კითხვები უგულავასთანაც აქვს »»» 2



## ასათიანისა და კუპერის ურთიერთობაში ვერ ჩავერევი

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან »»» 2

## რა ხდება ასათიანის თავს?

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან »»» 6






## აძურა: სამი ფორვარდი და რევოლუცია დაცვაში

მეტოქე »»» 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან

# ჩაერევა თუ არა ახალკაცი კუპერისა და ასათიანის ურთიერთობაში?



**სამწუხაროდ, შესარჩევი ციკლი ამჯერადაც მარცხით დავიწყეთ. ახლა წინ იტალიაა, რომელსაც 10 სექტემბერს უდინეში ვეთამაშებით. განვლილ მატჩზე აზრი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს ვკითხეთ. საუბარი შეეხო ახალგაზრდულ გუნდსაც, რომელიც მინსკში რუსეთთან დამარცხდა. პრეზიდენტს ვკითხეთ პეტარ შეგრტის განცხადებაზეც. როგორც იცით, პოლონეთთან მატჩის (რომელიც დღეს, 9 სექტემბერს მინსკში გაიმართება) შემდეგ ხორვატმა ახალკაცთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა...**

**- როგორ შეაფასებდით ირლანდიასთან მატჩს?**

- ვფიქრობ, ამ თამაშში ფრე ლოგიკური შედეგი იქნებოდა. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ თანამედროვე ფეხბურთში პატარა შეცდომასაც კი არავინ გაპატიებს, მით უმეტეს, რამდენიმე შეცდომას ერთად. პირველ გაშვებულ გოლს ვგულისხმობ... მეორე ტაიმში ჩვენმა ნაკრებმა უკეთ ითამაშა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა... სხვათა შორის, სხვებსაც, ვინც თამაშს ესწრებოდა, ეგონათ, რომ ჩვენი გოლი მწიფდებოდა, მაგრამ ამ დროს მეორე ბურთი მივიღეთ, ძალზე დასანანი გოლი... თუმცა მსგავსი შემთხვევები ფეხბურთში ხდება ხოლმე. გახსოვთ ოლივერ კანის ზღაპრული თამაში 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე? გახსოვთ, რამდენი გააკეთა იმისთვის, რომ გერმანია ფინალში გასულიყო? ფინალში კი ბურთი ხელიდან გაუვარდა და გოლი გაუშვა... ყველამ მაქსიმალურად უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე, პირველ რიგში, მეკარე ლორიას ვგულისხმობ. მსგავსი რამ აღარ უნდა მოუვიდეს. ლორია ჯერ ახალგაზრდაა და მას კიდევ მოუწევს თამაში საერთაშორისო ასპარეზზე.

**- ასათიანმა ნაკრები დატოვა. საინტერესოა ამ ფაქტის თქვენეული შეფასება...**

- ასათიანს „ლოკომოტივში" სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა, ფორმაში არ იყო და ამიტომაც არ დააყენა მწვრთნელმა ირლანდიასთან სასტარტო შემადგენლობაში. რაც შეეხება კითხვას... შესაძლოა, მე ჩემი მოსაზრება მქონდეს იმაზე, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მწვრთნელი და ფეხბურთელი, მაგრამ ეს მათი ურთიერთობაა და მე ვერ გავაკეთებ კომენტარს.

**- ასათიანის წასვლის შემდეგ დაცვის პრობლემა დაამძიმა ზურაბ ხიზანიშვილის ტრავმამაც. იტალიასთან მისი თამაში გამორიცხულია...**

- რა გითხრათ... ტრავმების მხრივ, ადრე უფრო ცუდ მდგომარეობაშიც ვყოფილვართ. რა თქმა უნდა, ხიზანიშვილის არყოფნა სერიოზული დანაკლისია. გულის სიღრმეში მაინც ვიტოვებ იმედს, რომ ზურაბი ითამაშებს.

**- არის კი ამის მცირედი შანსი მაინც?**

- არა, არ მგონია. უბრალოდ, სურვილი გამოვთქვი. ნაკრებში არის რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც დაცვაში თამაშის გამოცდილება აქვს. იმედია, კუპერი პრობლემას როგორმე მოაგვარებს.

**- როგორც ამბობენ, ექტორ კუპერი უელსთან მატჩის წინ პეტარ შეგრტის მიერ შედგენილ სანაკრებო სიას დაეყრდნო. მართალია ეს? ირლანდიასა და იტალიასთან ფეხბურთელები უშუალოდ კუპერმა შეარჩია თუ შეჯერებული ვარიანტია?**

- არ ვიცი, ვინ ამბობს ამას. ხომ არ დაავიწყდათ, რა ვითარება იყო საქართველოში უელსთან მატჩამდე? სია კი არა, მატჩის ჩატარებაც საეჭვო იყო, საქართველო იბომბებოდა... მიუხედავად ამისა, ბევრი ვიმუშავეთ და ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ თამაში არ ჩაშლილიყო. რაც შეეხება სიას, მოდით, ამაზე ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს საუბარი. ამხანაგური თუ საკვალიფიკაციო მატჩისთვის შემადგენლობას მთავარი მწვრთნელი არჩევს. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ახლა ვინცაა ნაკრებში, ისინი იყვნენ გამოძახებულნი უელსისთვისაც. მაშინ, სავიზო პრობლემებისა და სხვა ობიექტური მიზეზების გამო რამდენიმე ფეხბურთელი ბრიტანეთში ვერ ჩაფრინდა. ეს ორი სია ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული რომ იყოს, მაშინ კიდევ შეიძლება ეჭვის საფუძველი გაჩნდეს. ვფიქრობ, ამომწურავად გიპასუხეთ და იმედი მაქვს, ამ თემა სპეკულაციას წერტილი დაესმება.

**- როგორ მიდის იტალიასთან მატჩისთვის მზადება?**

- დავიწყოთ იმით, რომ იტალია ჩვენთვის უცხო ხილი არ არის. გარდა ამისა, „სკუადრა აძურა" მსოფლიოს ჩემპიონია. რა თქმა უნდა, 10 სექტემბრის მატჩში ის ფავორიტია. აქედან გამომდინარე, ქართველი ფეხბურთელები, წესით, ფსიქოლოგიურ წნეხში არ უნდა მოექცნენ. სხვათა შორის, უდინეს მატჩს იმედით ველი.

**- ახალგაზრდულ ნაკრებსაც შევეხოთ. რუსეთთან დავმარცხდით. რას იტყვით ამ მატჩზე?**

- სამწუხაროდ, თამაშის ნახვის საშუალება არ მქონდა და ვერაფერს გეტყვით. საერთოდ კი, რა თქმა უნდა, წაგებამ გული დამწყვიტა. არადა, ჩვენმა ბიჭებმა რუსეთის ეს ნაკრები შარშან თბილისში 2:0 დაამარცხეს. ალბათ, იყო გარკვეული გარემოებები, რამაც მარცხი გამოიწვია. ეროვნული ჩემპიონატის დაწყება დაგვიანდა, ახალგაზრდულის წამყვანი ფეხბურთელები ეროვნულ გუნდში გამოიძახეს... თუმცა თავი არ უნდა ვიმართლოთ. მატჩი ცივი გონებითაა შესაფასებელი.

**- შეგრტმა გვითხრა, თბილისში დაბრუნების შემდეგ ახალკაცს უნდა ვესაუბროო...**

- მეც მინდა მასთან შეხვედრა. ყველა მატჩის შემდეგ ვხვდებით ერთმანეთს და ვაანალიზებთ ნაკრების თამაშებს. ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია. შეგრტთან მეც მაქვს სასაუბრო, მით უმეტეს, პოლონეთთან მატჩით შესარჩევი ციკლი მთავრდება. იმ ფეხბურთელების დიდ ნაწილს, რომელმაც რუსეთთან ითამაშა და ახლა პოლონეთთან მატჩისთვის ემზადება, საკვალიფიკაციო რაუნდში გაისადაც მოუწევთ ასპარეზობა. ამ ყველაფრის ანალიზი და მომავლის დაგეგმვაა საჭირო.

**- რამდენიმე დღეში ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება. დაბრუნდება ექტორ კუპერი იტალიიდან თბილისში? დაესწრება ჩვენი პირველობის მატჩებს?**

- დიახ, დაესწრება და ასეც იყო დაგეგმილი. კუპერმა არაერთხელ თქვა, რომ თბილისში იცხოვრებს და ეროვნული ჩემპიონატისა თუ თასის შეხვედრებზეც ივლის.

**დავით ცაბაძე**

საქართველო იტალიურ მედიაში

ექტორ კუპერი:

# იტალიას ჩვენი შეუფასებლობა ძვირად დაუჯდება

## ამაყი საქართველო შედეგისთვის იბრძოლებს

აპენინურ პრესაში ჯერ კიდევ 6 სექტემბრის მატჩის ანალიზით არიან დაკავებულნი. კვიპროსი-იტალიის მატჩმა მართლაც ბევრი სალაპარაკო დატოვა და ჟურნალისტებიც დეტალურად არჩევენ თითოეული ფეხბურთელის მოქმედებას და მთლიანად გუნდის თამაშს. თუმცა არც საქართველოს ნაკრებს და 10 სექტემბრის პაექრობას ივიწყებენ. „გაძეტამ" ჩვენი გუნდის უდინეში სტუმრობას სტატია მიუძღვნა, ფოკუსში კი **ექტორ რაულ კუპერი** მოაქცია.

ავტორიტეტული გამოცემა კიდევ ერთხელ უბრუნდება საქართველო-ირლანდიის შეხვედრას და აღნიშნავს, რომ ჯვაროსანთა ახალი თავკაცი ახლა იწყებს გუნდის კეთებას და მათგან რაიმე განსაკუთრებულს არ უნდა ელოდონ. იტალიელი ჟურნალისტი საქართველო-რუსეთს შორის არსებულ სამომარ ვითარებაზე წერს, მკითხველს ორი სიტყვით უხსნის კონფლიქტის არსს და შემდეგ სიტყვას კუპერს გადასცემს, რომელსაც კომენტარი ჩამოართვა: *„დიახ, საქართველომ მძიმე დღეები გადაიტანა, ქვეყანაში ომი იყო და ეს ჩემს ფეხბურთელებზეც აისახა. ბიჭებში ომის მძიმე ფსიქოლოგიური კვალი ჯერაც არ წაშლილა და ამას ვერსად გავექცევით. ჩვენ ამაყი გუნდი გვყავს, ფეხბურთელები სიამაყით იცვამენ ეროვნული ნაკრების ფორმას და ეს 10 სექტემბრის მატჩშიც გამოჩნდება".*

იტალიელი ჟურნალისტი კუპერს ირლანდიასთან მატჩის მაინცმი გადატანაზე დაეკითხა, შეიძლებოდა თუ არა შეხვედრის თბილისში ჩატარება? - კუპერი: *„რა თქმა უნდა შეიძლებოდა. ეს მატჩისწინა პრესკონფერენციაზეც განვაცხადე. საომარი მოქმედებები შეწყვეტილია და თბილისში სრული სიმშვიდეა. ფიფამ მცდარი გადაწყვეტილება მიიღო. ისედაც დაჩაგრულ ქართველ ხალხს საფეხბურთო ზეიმი მოაკლო. დიახაც, თბილისში შედეგი სხვა იქნებოდა„.*

ჟურნალისტი **ლუკა კალამაი** აღნიშნავს, რომ მასთან საუბარში არგენტინელი სპეციალისტი ემოციურად საუბრობდა, აშკარაა, რომ ეს კაცი ახალ სამსახურს დიდი ენთუზიაზმით ეკიდებაო. შემდეგი კითხვა შანსებს შეეხო, აქვს თუ არა კუპერს თუნდაც ქულის აღების იმედი: *„მაქვს ეჭვი, რომ იტალიელები სათანადოდ არ გვაფასებენ. აძურას ვურჩევდი, რომ მეტი სერიოზულობით მოგვეკიდოს. საქართველოს ნაკრების შეუფასებლობა იტალიის ნაკრებს კარგს არაფერს მოუტანს. მიუხედავად იმისა, რომ ირლანდიასთან დავმარცხდით, ვაჩვენეთ, რომ თამაში შეგვიძლია და კოზირები ჩვენც გვაქვს. იტალია ძლიერია და ის ფავორიტია, ლიპი კი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სპეციალისტი, მაგრამ დანებებას არც ჩვენ ვაპირებთ და უდინეში დადებითი შედეგისთვის ვიბრძოლებთ„.*

ექტორ კუპერს იტალიაში ტაქტიკოსად მიიჩნევენ, ჟურნალისტი მას აძურას დახასიათებას სთხოვს, რაზეც არგენტინელი ასე პასუხობს: *„კვიპროსი-იტალიის მატჩის ვიდეოფირის ყურებას არ ვაპირებ, რადგან ეს არაფერს მომცემს. იტალიის ნაკრებს ძალიან კარგად ვიცნობ, ვიცი, საიდან უნდა ველოდო ხიფათს და სად შეიძლება ვუპოვოთ სუსტი წერტილი. ნომერი პირველი ხიფათი ანდრეა პირლოა. ის აძურას სული და გულია, მთელი გუნდი მასზეა აგებული".*

„გაძეტას" ჟურნალისტის აზრით, კუპერი სწორედ პირლოს გადაკეტვას შეეცდება, მას სულის მოთქმის და შეტევების დაწყების საშუალება არ უნდა მიეცეს. კალამაი ცდილობს საქართველოს ნაკრების ტაქტიკა და მონახაზი გაშიფროს. ჟურნალისტი ვარაუდობს, რომ გუნდი იმავე სქემით ითამაშებს, თუმცა შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება მოხდება. სასტარტოში უნდა ველოდოთ **ლევან მჭედლიძეს**. ახალგაზრდა ნიჭიერ ფეხბურთელს ირლანდიასთან ბევრი დრო არ მიეცა, სამაგიეროდ აძურასთან შეეცდება თავისი შესაძლებლობების დამტკიცებას. შეხვედრას მოუთმენლად ელიან „პალერმოს" ხელმძღვანელებიც - მათ საქმეში აინტერესებთ ახალშეძენილი განძის ნახვა.

სტატიაში ცალკე საუბრის თემა გახდა საქართველოს ნაკრების კიპერი **გიორგი ლორია**. კუპერს მასზეც მოუხდა კომენტარის გაკეთება: *„ლორია ბუფონი ნამდვილად არაა, ეს თქვენც იცით და მეც, მაგრამ არც ისე ცუდი მეკარეა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ორ მატჩში ვუხელმძღვანელე საქართველოს ნაკრებს და ორივე შეხვედრაში უხეში შეცდომა დაუშვა. მიუხედავად ამისა, გიორგი კიდევ იმსახურებს შანსს, შეცდომები გაცილებით გამოცდილ და ძლიერ მეკარეებსაც მოსვლიათ, ნუ ვიქნებით ზედმეტად კრიტიკულები".* ბოლოსთვის, იტალიელი ჟურნალისტი კუპერის სიტყვებს იმეორებს და თანამემამულეებს მეტოქის სათანადოდ დაფასებისკენ მოუწოდებს.

**ლაშა ნიკლაური**



ექტორ კუპერი

U 21. საქართველო-პოლონეთი

# შეგრტი: ჩვენც ხომ უნდა გაგვიგონ?!

## ახალკაცსაც უნდა დაველაპარაკო და უგულავასაც

დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მინსკში შესარჩევი ციკლის დასკვნით მატჩს გამართავს. მეტოქე პოლონეთია. ჩვენების მოტივაცია გულშემატკივრის თვალში რეაბილიტაცია და ჯგუფში მესამე ადგილის დაკავებაა. საამისოდ მოგებაა საჭირო. გუშინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ამბებით დავინტერესდით და **პეტარ შეგრტს** შევეხმიანეთ. აი, რა გვითხრა მან:

*„გუნდში ცუდი ატმოსფეროა. რუსეთთან ჩვენი მარცხის შემდეგ ეროვნულმა ნაკრებმა ირლანდიასთან წააგო. იმედი გვქონდა, რომ მაინცში მოვიგებდით და 21-წლამდელთა ნაკრების ის ფეხბურთელები, რომლებიც კუპერის გუნდში არიან, ამაში თავიანთ წვლილს შეიტანდნენ. არადა, ის 9 ფეხბურთელი რომ მინსკში გვყოლოდა, რუსეთთან ნამდვილად არ წავაგებდით. ამ მარცხს იმიტომ ვერ ვივიწყებ, რომ კარგად მესმის, რას ნიშნავს რიგითი ქართველისთვის რუსებთან წაგება... და წავაგეთ არაფრის გამო. კარგით, დავანებოთ თავი ცხრავე ფეხბურთელს, ხუთი-ექვსი მათგანი მაინც გვყოლოდა. ვფიქრობ, ეს არ იყო გამართლებული. ჩვენც ხომ უნდა გაგვიგონ... თბილისში დაბრუნების შემდეგ, ნოდარ ახალკაცის გარდა, უჩა უგულავასაც უნდა ვესაუბრო. ბევრი რამ მაქვს სათქმელი და გასარკვევი. რუსეთთან მატჩის წინ ძალიან ცუდ სიტუაციაში ვიყავით. ფეხბურთელები, რომლებმაც მინსკში ითამაშეს, მზად არ იყვნენ. ვისაც თამაში არ მოუნია, ისინიც დაღლილები შემოგვიერთდნენ, თუნდაც კობახიძე ავიღოთ. მინსკში ორი-სამი დღე გვქონდა მოსამზადებლად. ახლა უკეთეს პირობებში ვემზადებით და გუნდიც უკეთ გამოიყურება. ბოლომდე ვიბრძოლებთ, რათა ჯგუფში მესამე ადგილი მაინც დავიკავოთ".*

შეგრტი კი ამბობს, უკეთ ვემზადებითო, მაგრამ ფაქტია, პრობლემები არ გვაკლია. ტრავმების ვერ ითამაშებენ **ნიკა ფირცხალავა** და **ბაქარ მირცხულავა**. დაშავებულია **დავით დევდარიანიც**. მისი თამაში საეჭვოა. **გურამ კაშია** კი დისკვალიფიკაცირებულია. სამაგიეროდ, სასჯელი მოიხადა **მირზა ბუალავამ** და დღეს, ალბათ, ძირითადშიც ექნება. საერთოდ, შეგრტი სასტარტოში ცვლილებებს გეგმავს.

რაც შეეხება პოლონეთს, ამ გუნდმა 6 სექტემბერს შვედ თანატოლებთან ამხანაგური მატჩი 1:0 წააგო. დღეს მინსკში საქართველო-პოლონეთის ახალგაზრდულთა შეხვედრა თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

ნომრის მორიგე რედაქტორი
გია თვალაბეიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლევან ყენია

მეტოქე. იტალია

# ლიპი სამი ფორვარდით შეგვიტევს

## ცვლილებები სკუადრა აძურაში




იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი გამარჯვებით დაიწყო, პირველი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში და საქართველოსთან მატჩისთვის შეუდგა სამზადისს. ჯვაროსნებს იტალიელები დანაკლისით ხვდებიან - კვიპროსთან მატჩის პირველივე წუთებზე **ალესანდრო გამბერინი** და **ფაბიო გროსო** დაიმტვრნენ, გამოკვლევების შემდეგ კი მათი სახლში გამგზავრება გადაწყდა. **ლიპიმ** უკანახაზელები **მარკო მატერაცით** და **დანიელე ბონერათი** ჩაანაცვლა. გუშინ გაცნობეთ, რომ ტრავმა მიიღო **ჯენარო გატუზომაც**. „მილანელმა" მარცხენა ხელი მოიტეხა და მარჩელო ლიპი საგონებელში ჩააგდო. სანამ მის შემცვლელზე გეტყოდეთ, აძურას ექიმს, **ენრიკო კასტელაჩის** დასკვნას გაეცანით: *„გატუზოს ხელის მოტეხილობა დაუდგინდა. მას მკურნალობის კურსს „მილანის" ექიმები დაუნიშნავენ. ჩემი მხრივ, შემიძლია გითხრათ, რომ რინოს დაახლოებით ერთი თვით მოუწევს დასვენება".*

გატუზოს ნაცვლად მარჩელო ლიპიმ „იუვენტუსის" ნახევარმცველი **ანტონიო ნოჩერინო** გამოიძახა. იტალიელი ჟურნალისტები კი მთავარ კითხვას სვამენ - შეცვლის თუ არა ლიპი სამფორვარდიან ტაქტიკას? ამ სქემამ კვიპროსთან აშკარად არ გაამართლა. სავარაუდოდ არ შეცვლის და კვლავ შემტევი ფეხბურთის მიმდევრად დარჩება. ჟურნალისტები შემადგენლობის პროგნოზსაც აკეთებენ. აძურას კარს რა თქმა უნდა **ჯანლუიჯი ბუფონი** დაიცავს, ვინაც კვიპროსთან გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. დაცვის ცენტრში **ფაბიო კანავაროს** წესით **ნიკოლა ლეგროტალიე** უნდა შეუწყვილდეს - დამტვრეულ გამბერინის ნაცვლად სწორედ იუვენტინოს დაყენებას ელიან, რადგან **ანდრეა ბარძალი** აშკარად ცუდ ფორმაშია. მარჯვენა ფლანგზე ისევ **ჯანლუკა ძამბროტა** დადგება, გროსოს მარცხენა ფრთას კი ლივერპულელი **ანდრეა დოსენა** გაამაგრებს. ნახევარდაცვაში სრულად გამოჯანმრთელებული **ალბერტო აკვილანის** გამოჩენას ელიან, ის ოდნავ მარცხნივ დადგება, მარჯვნივ კი **მაურო კამორანეზია** უალტერნატივო. საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ორი კანდიდატია, **ანდრეა პირლო** და **დანიელე დე როსი**, მცირე უპირატესობას აპენინელები რომაელს ანიჭებენ. შეტევაში **ალესანდრო დელ პიეროს** გამოჩენას ელიან, სასტარტოში იქნება **ალბერტო ჯილარდინოც**, ისევე როგორც უალტერნატივო **ანტონიო დი ნატალე**. არ გამორიცხავენ **ვინჩენცო იაკვინტას** ვარიანტსაც, „იუვეს" ფორვარდი აშკარად კარგ ფორმაშია და ამას ვარჯიშებზეც ამტკიცებს.

იტალიელი ექსპერტების აზრით ლიპი საქართველოსთან დასაყენებელ შემადგენლობაზე კვიპროსული პაექრობის ანალიზის შემდეგ ჩამოყალიბდება. აქვე, თავად აფასებენ იმ ფეხბურთელებს, ვინც ლარნაკაში ითამაშა და მოკლე დახასიათებასაც აძლევენ. ვფიქრობ, ეს შეფასებები ლელოს მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება:

### ბუფონი-9 ბალი

**ჯიჯიმ ფანტასტიურად ითამაშა და უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. იმ მომენტების ჩამოთვლა, რომელშიც** ნაკრები მეკარემ იხსნა, შორს წაგვიყვანს, ის უბრალოდ შეუდარებელი იყო. გაშვებული გოლის დროსაც, ეპიზოდის გმირი სწორედ კიპერი გახლდათ, მან სასწაულებრივ მოიგერია ოკასის დარტყმული და მხოლოდ დამატებაზე ველარ მოასწრო რეაგირება.

### ძამბროტა-4.5

მილანელი ბოლო დროს ველარ ბრწყინავს, კვიპროსთან მატჩი კი აშკარად ჩააგდო. მისი ფლანგი მასპინძლებმა აიკლეს და რა გასაკვირია, რომ დაბალი შეფასება დავუწერეთ. ამასთან, არც შეტევაში იყო ჩვეულად აქტიური.

### ბარძალი-5

ბარძალი „პალერმოში" ძალიან საიმედო იყო, ფაქტობრივად უშეცდომო. ეროვნულ ნაკრებშიც სრულიად დამსახურებულად იწვევდნენ, თუმცა ბოლო ხანებია სტაბილურობა დაკარგა და ნაკლებად საიმედო გახდა. თითქოს შენელებულია, იქნებ ეს მისი ახალი ვარცხნილობის ბრალია?

### კანავარო-5.5

კაპიტანს საუკეთესო თამაში ნამდვილად არ ჩაუტარებია, შეცდომებიც დაუშვა, თუმცა თანაგუნდელი მცველების უვარგისი თამაშის ფონზე მაინც გამოირჩეოდა. ეს კი არ გვაძლევს უფლებას ფაბიოს მაღალი შეფასება დავუწეროთ, მისგან მეტს მოველით.

### კასეტი-4.5

ძალიან ცუდად ითამაშა და შეფასებაც შესაბამისი ეკუთვნის. პირველი გოლი დიდწილად მის სინდისზეა, სხვა შემთხვევებშიც სცოდავდა და გადაცემებშიც უამრავი წუნი ჰქონდა. კასეტიმ ასეთი თამაშით სანაკრებო კარიერა საფრთხის ქვეშ დააყენა.

### კამორანეზი-6.5

ნორმალურად, შეიძლება ითქვას კარგად ისპარეზა. წუნი ცოტა ჰქონდა, დაცვასაც ეხმარებოდა და შეტევაშიც აქტიური გახლდათ. განსაკუთრებით მას შემდეგ გაეხსნა ხელფეხი, რაც მოედანზე გატუზო გამოვიდა. მისი საგოლე პასი კი მატჩის მშვენება გახლავთ.

### პირლო-5

მილანელმა თამაში ჩააგდო. არც პასები გამოსდიოდა და ვერც ართმევაზე ვარგოდა. ამად ვვარაუდობთ, რომ შესაძლოა ლიპიმ ის საქართველოსთან სასტარტოში არ დააყენოს. ალტერნატივა? - აკვილანი.

### დე როსი-6.5

პირლოსგან განსხვავებით პროდუქტიული იყო. კვიპროსელთა არაერთი იერიში ჩაშალა და კონტრშეტევა წამოიწყო. შეფასებაც კარგი ეკუთვნის, თუმცა დანიელეს რომ უკეთაც შეუძლია თამაში, ორი აზრი არ არსებობს.

### გატუზო-6

რინო მეორე ნახევარში გამოვიდა მოედანზე და ცენტრი გაამაგრა. მან თავისი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში, ეს უდავოა, მაგრამ ბევრი წუნიც ჰქონდა და მაღალი შეფასება ნამდვილად არ ეკუთვნის.

### დი ნატალე-7.5

ბუფონთან ერთად მატჩის უდავო გმირი. ბევრს მოძრაობდა, კვიპროსელ მცველებს მოდუნების საშუალებას არ აძლევდა, რამდენიმე ეპიზოდში ნახევარდაცვასაც წამოეხმარა და რაც მთავარია ორი გოლი გაიტანა. საქართველოსთან მშობლიურ „ფრიულიზე" ითამაშებს და მისგან კვლავ ბევრს ველით. მადლობა, ანტონიო.

### ტონი-4.5

რამდენადაც კარგია კლუბში, იმდენად ცუდი, ნაკრებში. არ ვიცით, რა სჭირს ტონის, მაგრამ ფაქტია რომ რაღაც უნდა შეცვალოს. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში შეუმჩნეველი იყო და ლიპიმ ის სამართლიანად შეცვალა. საქართველოსთან სავარაუდოდ სათადარიგო იქნება.

### ჯილარდინო-6.5

„ფიორენტინაში" გადასვლით მას მეორე სუნთქვა გაეხსნა. მართალია კვიპროსთან დი ნატალესავით ვერ იფრინა, მაგრამ ძალიან პროდუქტიული იყო და თავი კარგად დაგვამახსოვრა. გამარჯვების გოლში რომ ლომის წილი დაიდო, შეხსენება არ უნდა გჭირდებოდეთ.

**ლაშა ნიკლაური**



ინტერვიუ ლევან ყენიასთან

# ძლიერ გუნდებსაც აქვთ სუსტი წერტილები

## მოვიგოთ და, გავიტან თუ არა, ნაკლებად მაღელვებს

**ეროვნულმა ნაკრებმა ექტორ კუპერის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ორ მატჩში სამი გოლი გაიტანა, აქედან, ორის ავტორი „შალკეს" ნახევარმცველი ლევან ყენიაა. უელსთან გოლი მან ჩვეულებრივი სიხარულით გამოხატა, რასაც ვერ ვიტყვით ირლანდიასთან თამაშის მიწურულს გატანილი ბურთის შემდეგ გამოვლენილ რეაქციაზე. უფრო სწორედ, ეს არც იყო რეაქცია. რა თქმა უნდა, გოლი ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ.**

**დაგვეთანხმებით, ირლანდიელებთან მატჩშიც ქართველებიდან გამორჩეული ფიგურა ყენია იყო. მას იტალიაში დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ...**

**- რას ფიქრობ ირლანდიასთან მატჩზე?**

- ძალიან გვინდოდა, ეს მატჩი სასურველი შედეგით დასრულებულიყო. პირველ 15 წუთში არეულები ვიყავით. ირლანდიელებმა ჩვენი შეცდომებით კარგად ისარგებლეს და გაგვიტანეს. მერე თამაშის დალაგებას შევუდექით და ტაიმის დარჩენილ ნაწილში უკეთაც ვითამაშეთ. მეორე ტაიმის დასაწყისი კიდევ უფრო უკეთესი იყო. ის დასანანი გოლი რომ არ გაგვეშვა, ანგარიშს გავათანაბრებდით, ნამდვილად იყო ამის შანსი. ასე რომ მომხდარიყო, მატჩი სხვა შედეგით დასრულდებოდა. არ უნდა ნაგვეგო... შეხვედრის მიწურულს ერთი ბურთი კი გავიტანეთ, მაგრამ... მაგრამ უკვე გვიან იყო.

**- იქნებ, გაიხსენო შენი გოლის ეპიზოდი...**

- იმდენად ვიყავი დაღლილი, კარგად არც კი მახსოვს. ბურთი მივიღე, გავისწორე და კარში დავარტყი. მცველი კი მიწვდა თავით, მაგრამ კარის გადარჩენა ვერ შეძლო.

**- უელსში გატანილი გოლის შემდეგ შენი სიხარული და ემოცია სულ სხვა იყო, მაინცში კი, გოლის მერე, სრულიად უემოციო იყავი...**

- ფეხბურთით უნდა ისიამოვნო. კარგი პასი, გამორჩეული, საჭირო გოლი სხვებივით მეც სიამოვნებას მანიჭებს... უელსშიც ვაგებდით და როცა ანგარიში გავათანაბრე, თამაშის მოსაგებად დრო საკმარისი იყო. გამოვიყენეთ ეს დრო და გავიმარჯვეთ კიდეც. მაინცში აბსოლუტურად განსხვავებული ვითარება იყო. ორი ბურთით ვაგებდით, სხვაობა მინიმუმამდე კი შევამცირეთ, მაგრამ მატჩის გადასარჩენად დრო აღარ დაგვრჩა. ამიტომაც არ მქონდა ემოცია. თან, როგორც ვთქვი, მთლიანად დაღლილი და გამოფიტული ვიყავი... ისე, რაღაც სასწაულის შანსიც გვქონდა. ხდება ხოლმე ფეხბურთში ასეთი რამ. მაგრამ მსაჯმა მალე დაამთავრა თამაში...

**- კუპერმა, ყენიას გოლი ჩემთვის დიდი იმედიაო...**

- (იცინის)... მადლობელი ვარ ასეთი კომპლიმენტისთვის. ყველა თამაშში ვცდილობ გოლის გატანას და ბედნიერი ვიქნები, თუ ეს ხშირად გამომივა... ნეტავ, მოვიგოთ და, გავიტან თუ არა, ნაკლებად მაღელვებს.

**- ისიც ფაქტია, რომ კუპერის ნაკრების სამი გოლიდან ორის ავტორი ხარ...**

- საკუთარ თავზე საუბარი არ მიყვარს. ბედნიერი მაშინ ვიქნებოდი, რომ არ წაგვეგო...

**- ოთხშაბათს იტალიას ვეთამაშებით. მოასწრებ ძალების აღდგენას?**

- ვფიქრობ, მოვასწრებ. ჯერ კიდევ გვაქვს დრო ნაყოფიერად მომზადებისთვის. ირლანდიასთან წაგება მწარე იყო, მაგრამ ამით ყველაფერი არ დასრულებულა. ახლა მთავარია, ფსიქოლოგიურად არ გავტყდეთ და საკუთარი ძალების ვირწმუნოთ. მეტოქე მსოფლიო ჩემპიონია, მაგრამ ძლიერ გუნდებსაც აქვთ სუსტი წერტილები. ამ მხრივ არც იტალია იქნება გამონაკლისი. ჩვენ დადებითი შედეგისთვის ვიბრძოლებთ და ვნახოთ, რა გამოვა...

**- კვიპროსი-იტალიის მატჩი თუ ნახეთ?**

- ამ შეხვედრის ვიდეოჩანაწერი გვაქვს, მაგრამ ჯერ არ გვინახავს.

**დავით ცაგაძე**

ინტერვიუ გია კვარაცხელიასთან

# ევროპის ჩემპიონატზე ქართველებმა გაგვიყვანეს და შეგრტი საიდან მოძებნეს?

## კვარაცხელია ფეხბურთელების დადანაშაულებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება

**გია კვარაცხელია** მინსკის "ტრაქტორზე" თვალს ადევნებდა ქართველთა შერცხვენას და ნანახით გულდაწყვეტილია. მისი აზრით, საქართველოს ნაკრებს რუსეთის გუნდთან შერცხვენის უფლება არ ჰქონდა და გაცილებით უკეთესი ფეხბურთის ჩვენებაც შეეძლო.

მინსკის "მტზ-რიპოს" ქართველი ნახევარმცველი თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს.



**- გია, მინსკში თამაშობ და რუსეთ-საქართველოს ახალგაზრდულების შეხვედრას დაესწრებოდი.**

- რა თქმა უნდა, დავესწარი და გული ძალიან მეტკინა. თამაშამდე გუნდელები შეხვედრაზე მეკითხებოდნენ და ყველას ვპასუხობდი, რომ ჩვენები მაგარ ბრძოლას გაუმართავდნენ. სამწუხაროდ, რუსეთის ნაკრებმა დამსახურებულად გვაჯობა და შანსიც არ დაგვიტოვა. ბორის სტუკალოვს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყოლია. საკამათო არაა, გვაჯობეს. ეს არის ყველაზე გულდასაწყვეტი.

**- ტრიბუნებზე რა ხდებოდა, ქართველებს აგინებდნენ?**

- არა, არ აგინებდნენ, აქ ისეთი უწყინარი ხალხია, ზედმეტს არავის აკადრებენ. რომ ამბობენ, რუსებს უჭერდნენ მხარსო, არა მგონია, ასე ყოფილიყო.

**- რა ვიცი, მაყურებლების დიდი ნაწილი რუსეთს კი გულშემატკივრობდა.**

- თამაშის დღეს მინსკში რუსეთიდან უამრავი ფანი ჩამოვიდა. ძალიან გამიკვირდა, სტადიონი ლამის შეივსო. სხვა ქვეყნის ნაკრებების შეხვედრა ასეთ ინტერესს თუ გამოიწვევდა, ვერ წარმოვიდგენდი. ანტიქართული იქ არაფერი მომისმენია. პირიქით, ზოგიერთი ბელარუსი ქართველებს ქომაგობდა.

**- შენ პირადად რა შთაბეჭდილება დაგრჩა საქართველოს ნაკრებზე?**

- ფეხბურთი ასეთია, არ იყო ჩვენი დღე. მიმაჩნია, რომ ახალგაზრდულს სუსტი მწვრთნელი ჰყავს და შესაცვლელია, ფეხბურთელებს ხაზს ვერ გადავუსვამ, ვერ ვიტყვი, რომ არაფერი შეუძლიათ. ერთი-ორჯერ დავინახე რაღაც დამაიმედებელი, მაგრამ გუნდური თამაში არ ჩანდა.

**- მატჩი შენმა გუნდელებმაც ნახეს?**

- ნახეს და გაოცებულები დარჩნენ, ასეთ უცხოელ მწვრთნელს სად პოულობთო?! ამბობდნენ იმას, რასაც ჩვენც ვლაპარაკობთ და მართლებიც იყვნენ.

**- საქართველოს ნაკრებზე რას გეუბნებოდნენ?**

- ყველამ ვნახეთ, რა შემადგენლობა დაგვიყენა სტუკალოვმა, მარტო პრუდნიკოვი რად ღირს, უნიჭიერესი ბიჭია. მათი შემადგენლობიდან თითქმის ყველა რუსეთის პრემიერლიგაში თამაშობს. პრინციპულ მეტოქეს, რომელსაც ძლიერი შემსრულებლები ჰყავს, ასეთი მწვრთნელით ვერ მოვუგებდით.

**- პეტარ შეგრტის ტაქტიკამ არ გაამართლა? იქნებ დავალება ფეხბურთელებმა ვერ შეასრულეს?**

- საერთოდ, გამართული ტაქტიკა ვერ დავინახე. ბიჭები ფონს გასვლას მხოლოდ თავიანთი ნიჭით ცდილობდნენ. რუსებს იმაში გაუმართლათ, რომ სწრაფი ბურთი გაიტანეს და ჩვენები დაიბნენ, აირივნენ და წინააღმდეგობა ვერ მოახერხეს.

საერთოდ, თავიანთ სუსტ მუშაობას მწვრთნელები ფეხბურთელებს ნუ დააბრალებენ. აჯობებს, შეგრტმა თავისი შეცდომები შეაფასოს. როგორ დავიჯერო, რომ საქართველოში მასზე უკეთესი მწვრთნელი არ არის? ნიჭი არც ქართველ ფეხბურთელებს აკლიათ და არც მწვრთნელებს. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 16-წლამდელთა ნაკრები გაგუამ გაიყვანა, 18-წლამდელები - კოპალეიშვილმა, კობა ჟორჟიკაშვილმა 17-წლამდელები და გუნდი სულაც მეხუთე ადგილზე გაიყვანა. იმავე ნაკრებით ევროპის ოლიმპიურ თამაშებზე გაიმარჯვა. ამ ქვეყანაში შეგრტის დანიშვნა არ უნდა მიკვირდეს? მერე რატომ დავნიშნეთ უცნობი მწვრთნელი ახალგაზრდულში?

ვინც იტყვის, რომ ბიჭებმა არ მოინდომეს, ძალიან შეცდება. მარტო მონდომება არ კმარა, ტაქტიკა თუ უვარგისია, არაფერი გამოვა, შენს სირბილსა და შრომას ფასი ეკარგება. ჩვენი ბიჭები ბევრს ცდილობდნენ და მოგება როგორ არ სურდათ, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო.

წაგების მიუხედავად, ძალიან მომეწონა ბეგლარიშვილი. ის პირველად ვნახე და დავრწმუნდი, "აიაქსში" ტყუილად არ მიჰყავთ. თამაშის ბოლოს ორი კარგი გადაცემა გააკეთა.

ბიჭებს ბევრი არაფერი დაეწუნებათ, მწვრთნელი სჭირდებათ. ფეხბურთელებს ყვირილი კი არ უნდათ, ტაქტიკა და სწორად დაპირისპირება უნდა ასწავლონ. რუსები ტაქტიკურად ძალიან გამართულად თამაშობდნენ, ეტყობოდათ, რომ ჩვენი პლუს-მინუსები კარგად შეისწავლეს.

აქვე რომ არ ვთქვა, არ შემიძლია – ეროვნულის თამაში, რა თქმა უნდა, არ მომეწონა, მაგრამ ორი აზრი არაა - თუკი ზრდა ასე გააგრძელა და ჯანმრთელობაც ხელს შეუწყობს, ყენია დიდი ვარსკვლავი გაიზრდება. ლევანი ძალიან მომეწონა.

**- "ბატეში" ჩარიცხულ დეკანოსიძეს იცნობ?**

- დეკანოსიძის ამბავი მეც გაზეთებიდან შევიტყვე. მისი თამაში დღემდე არ მინახავს და არ ვიცი, ვინ არის, მაგრამ "ბატეში" ცუდ ფეხბურთელს არ აიყვანდნენ. "ბატე" ბელარუსში სწორედ საუკეთესო სელექციით გამოირჩევა.

**მერაბ მამულაშვილი**

ამხანაგური მატჩი

# დარასელიამ დაიწყო, ჩივაძემ დაასრულა

**სიონი–ლოკომოტივი 3:2**

0:1 დარასელია (35), 1:1 ლ. ჭელიძე (44), 1:2 ჩირიკაშვილი (65), 2:2 კაკაშვილი (72), 3:2 გ. ჩივაძე (84)

სიონი: ბობლიაშვილი, კობაური, კაკაშვილი, სვანიძე, ქემოკლიძე, ქურასბედიანი, ზ. ჭელიძე, კოშკაძე, ხუბუა, დავითაშვილი, ი. შენგელია (40. რ. გოცირიძე);

შეცვლაზე შევიდნენ: შ. ჯიქია, გ. ჩივაძე, ბაჯელიძე, შავგულიძე, ს. იაშვილი;

ლოკომოტივი: ლომაია, კ. მახარაძე, ფარულავა, სარალიძე, გუშარაშვილი, ცქიტიშვილი, სამხარაძე, დარასელია, კახელიშვილი, ჩირიკაშვილი, დ. ჩაგელიშვილი;

შეცვლაზე შევიდნენ: ბარბაქაძე, გ. ჭელიძე, გილაური;

გუშინ საგურამოში, ბოლნისის „სიონმა" და თბილისის „ლოკომოტივმა" ამხანაგური მატჩი გამართეს. ამ საკონტროლო შეხვედრაში **ოთარ კორღალიძის** გუნდი უკეთ წარმოჩნდა და მოიგო კიდეც. თუმცა, **გიორგი კიკნაძის** ბიჭები მატჩს ორჯერ იგებდნენ. ანგარიში **ვიტალი დარასელიამ** გახსნა, მაგრამ **ზაზა ჭელიძემ** წონასწორობა აღადგინა. მერე თბილისელები **ირაკლი ჩირიკაშვილმა** დააწინაურა. თუმცა, **რევაზ გოცირიძის** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი **ლადო კაკაშვილმა** გოლად აქცია. შეხვედრას წერტილი **გიორგი ჩივაძემ** დაუსვა. აღსანიშნავია ის, რომ გარკვეული პაუზის შემდეგ „ლოკომოტივში" კვლავ ითამაშა **ლევან ცქიტიშვილმა**. ბოლნისელთა რიგებში კი **სანდრო იაშვილის** არაოფიციალური დებიუტი შედგა.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# თეთრაძის ბოლო მატჩი



ომარ თეთრაძე

გუშინ **ომარ თეთრაძემ** უკანასკნელად უხელმძღვანელა მახაჭყალის „ანჟის" და გუნდს საბოლოოდ დაემშვიდობა. კავკასიელები როსტოვს ესტუმრნენ და სკა-ს 0:0 დაუზავდნენ. ამ ფრემ „ანჟი" კიდევ ერთი საფეხურით დააქვეითა, ახლა ქართველთა გუნდი 56 ქულით მეხუთე ადგილზეა და მეორეადგილოსან „ყუბანს" შვიდი ქულით ჩამორჩება.

სკა-სთან მატჩში ძირითად შემადგენლობაში იყვნენ, **ვალერი აბრამიძე, ზურაბ არზიანი, გოჩა ხოჯავა, მიხეილ აშვეთია** და **რევაზ ჯიქია. რევაზ ბარაბაძე** ტრავმირებულია, ხოლო **გიორგი ნავალოვსკი** საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშია გამოძახებული. აშვეთია მე-80 წუთზე შეცვალეს. მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **გია გრიგალავამ.** მე-6 წუთზე საინტერესო ეპიზოდი მოხდა – მიხეილ აშვეთიამ ყველა მცველს აჯობა და ის იყო მეკარესთან პირისპირ უნდა გასულიყო, რომ მასპინძლები გრიგალავამ იხსნა, რომელმაც თანამემამულეს წამით დაასწრო. ძალიან აქტიური იყო ხოჯავა, რასაც ვერ ვიტყვით ჯიქიაზე. ვალერი აბრამიძემ დაცვაში საიმედოდ ითამაშა, მეორე ტაიმში კი მისი თავური სანტიმეტრებში ასცდა მასპინძელთა კარს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მეკარე!

## ანუ ჟირაფის შესახებ

**ვლადიმირ ვისოცკის** ერთი, თითქოს, სალაღობო სიმღერა მახსენდება, „ჟირაფის შესახებ", ბოლოს ვისოცკი გენიალურ სიტყვებს ამბობს - Пусть жираф был не прав, Но виновен не жираф. А тот, кто крикнул из ветвей: „Жираф большой - ему видней. ამ სიტყვების გაგონებაზე ჩვენი ნაკრების სამეკარეო კრიზისი მახსენდება, რომელიც კარგა ხანია უკვე კრიზისზე მეტია. უმეკარეო ნაკრები ყველა თამაშს სულ მცირე 0:1-ით იწყებს, რაც სერიოზული გუნდისთვისაც დიდი პრობლემაა. **ლორია** შეცდა, როდესაც **უილანის** შორეულ დარტყმულს აქეთ წაეშველა, მაგრამ, მეგობრებო, ლორია (**ლომაია, მაკარიძე, ჭანტურია, რევიშვილი.** მნიშვნელობა არ აქვს, ვინ) დამნაშავე არ არის იმაში, რომ ჩვენი გუნდი უმთავრესად მეკარეების შეცდომების გამო აგებს. დამნაშავეები ცოტა სხვა მიმართულებით უნდა ვეძებოთ..




ალექსანდერ ბადე

**აკაკი დევაძის** შემდეგ საერთაშორისო დონის გოლკიპერი საქართველოს არ ჰყოლია, დევაძის კარიერაც, სამწუხაროდ, ისე წარიმართა, რომ ბევრჯერ ვერ დაეხმარა ეროვნულ ნაკრებს. ბევრი სპეციალისტი, ფეხბურთელი, ჟურნალისტი, გულშემატკივარი ამან მეკარის ნატურალიზაციის აუცილებლობაზე ჩააფიქრა, ჯერ კიდევ წლების წინ ლაპარაკობდნენ გერმანელი გოლკიპერის, **ალექსანდერ ბადეს** „გაქართველებაზე". ამ მეკარემ ახლახან ბილეფელდის „არმინიასთან" გააფორმა ხელშეკრულება. იმ დროში, რაც საქართველოში ლაპარაკობდნენ, ბადემ „კიოლნი", „ბოხუმი", „ჰამბურგი" და „დორტმუნდი" მოიარა, რომელი კლუბი დაიწუნება ჩვენგან? ის საუბრებიც კარგად გვახსოვს და ერთი ძალიან ცნობილი ქართველი გოლკიპერის პასუხიც, რომელსაც უშუალოდ ეხებოდა სამეკარეო საკითხი ნაკრებში – „ბადე არა, კარიო", საქართველოს ნაკრების კარში ქართველი უნდა იდგესო.



ალექსანდრე ჩიხრაძე

გამოხდა ხანი და ნაკრებში მეკარის ნატურალიზაციის კიდევ ერთი ცდა უშედეგოდ დასრულდა. ამჯერად, თითქოს, ფეხბურთის ფედერაციაც უშუალოდ იყო დაინტერესებული საკითხით და გოლკიპერიც ბადესავით მთლად გადამთიელი არ იყო, რუსეთში გაზრდილი, მაგრამ ერთი პერიოდი თბილისის „დინამოში" ნათამაშები **ალექსანდრე ჩიხრაძე**. თავად ჩიხრაძესაც ჰქონდა მაშინ საქართველოს ნაკრებში თამაშის სურვილი, მაგრამ ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა – კიდევ ერთმა წარსულში ცნობილმა ქართველმა გოლკიპერმა, რომელიც ჩიხრაძის საქმეში სანახავად იყო ჩასული, უარყოფითი დასკვნა დადო - ჩიხრაძე არაფრით სჯობს სხვა ქართველ მეკარეებს, რომლებიც ნაკრების კანდიდატები არიანო. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში დრომ და საქართველოს ნაკრების კარში პანტაპუნტით გაშვებულმა „კურიოზულმა" გოლებმა გვიჩვენა, რომ ჩვენი სპეციალისტები ცდებოდნენ.

საქართველოს ნაკრები მართლაც უნიკალურია - ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება გუნდი, რომლის მეკარეებსაც პრაქტიკულად ყველა სიტუაციაში აქვთ გაშვებული ეგრეთ წოდებული კურიოზული გოლები: კუთხურიდან, აუტიდან (!), კარიდან კარში (თუმცა ეს საკლუბო თამაშის დროს მოხდა), ლამის მოედნის ცენტრიდან, ფეხებს შუა (რამდენიც გინდა!), ჩვენს მეკარეებს უიშვიათესი საგოლე პასები მიუციათ მეტოქის ფორვარდებისთვის და ასე შემდეგ. დროა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას – კურიოზი ის იქნება, როცა ნაკრების მეკარე (სულ ერთია, რომელი) მატჩს მაღალ დონეზე ჩაატარებს და აუღებელ ბურთებს მოიგერიებს. ახლა რაც ხდება კი ეს სამწუხარო რეალობაა, რადგან საქართველოში უკლასო მეკარეები გვყავს.

თავის წილ დამნაშავეა **კლაუს ტოპმიოლერიც**, ვინც ამტკიცებდა, რომ მის გუნდს მეკარის პრობლემა არ აქვს, შემდეგ კი მორიგი „კურიოზული გოლის" გაშვების გამო გერმანელი ძალიან ცუდად მოექცა გიორგი ლომაიას, რომელსაც, ფაქტობრივად, ხელი შეაწმინდა. არაფერს ამბობს **ექტორ რაულ კუპერიც**, მართალია, მან ტოპმიოლერის უგვანო საქციელი არ გაიმეორა და ლორიას შეცდომას ადამიანური ტრაგედია უწოდა, მაგრამ, თუკი არც ის იტყვის ხმამაღლა, რომ მის გუნდში მეკარეების პრობლემაა...

ფიფამ ბოლო წლებში ფეხბურთელის ნატურალიზაცია გაართულა. საუბარია ნათესაურ კავშირებზე და ოთხი წელი იმ ქვეყანაში ცხოვრებაზე, რომლის ნაკრებშიც მეკარემ უნდა ითამაშოს. ანუ ამ პრობლემას ეგრევე ველარ ვუშველით, მოქმედებაა საჭირო. მანამდე კი? მანამდე ალექსანდრე ჩიხრაძე სულ რაღაც 33 წლისაა, ის უგუნდოდაა, ნათესაური კავშირის პუნქტი მის შემთხვევაში სასაცილოა, დანარჩენი კი, სურვილი იყოს და, მარიფათის ამბავია..

და, ვინ არის ყველაფერ ამაში დამნაშავე?

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს XX ჩემპიონატი. კალენდარი

# სუსხიანი პირველობა

იმედია, დარჩენილ ოთხ დღეში ალარაფერი შეიცვლება და საიუბილეო, XX ეროვნული ჩემპიონატი 13 სექტემბერს დაიწყება. ადრეც არაერთხელ ალვნიშნეთ, რომ დანავსული გამოდგა საიუბილეო ჩემპიონატი; ხან გუნდი გამოაკლდა, ხან ვადებმა გადაიწია და მივიღეთ ის, რაც მანამდე არ მომხდარა - ახალ სეზონს სექტემბრის შუა რიცხვებში ვიწყებთ. ვიწყებთ ჩვენთვის ახალი სისტემით - საქართველოს ჩემპიონატი სამ წრედ პირველად უნდა ჩატარდეს. არანაკლები სიახლეა მონაწილე გუნდების რაოდენობითაც - 11-გუნდიანი ჩემპიონატი არასდროს გვქონია. მოკლედ, ბევრი სიახლით ვხვდებით ახალ სეზონს და ამჟამად ძნელია ვივარაუდოთ, თუ რამდენად გაამართლებს თერთმეტგუნდიანი და სამწრიანი ჩემპიონატი.

სიახლეებით ვხვდებით ახალ სეზონსო, ვამბობთ და მთავარი არ გვითქვამს; არა, ეს ნოვაციაზე მეტიც არის - 19 ჩემპიონატი ჩავატარეთ და არ ყოფილა შემთხვევა, რომ თამაშები ლამის... ახალ წლამდე გამართულიყო. ჰო, ეგრეა - კალენდრის მიხედვით, 27-28 დეკემბერს XVII ტურის მატჩები უნდა გაიმართოს! ამ პერიოდში ევროპაში მხოლოდ ერთ ქვეყანაში - ინგლისში თამაშობდნენ და აი, ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენლებს ამ საქმეშიც მაინც „დავუდექით გვერდით". მოკლედ, ფეხბურთელები, მწვრთნელები, მსაჯები, დამკვირვებლები, დირექტორები და ჟურნალისტები... 2008 წელს, ფაქტობრივად, საფეხბურთო მოედნებზე გავაცილებთ.

...ადრე არაერთხელ გამოგვითქვამს კრიტიკული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ზამთრის პაუზა ერთობ გაწელილი ჩანდა. ხშირად ყოფილა, რომ სამ თვეზე მეტ ხანსაც ყოფილა შესვენება - ნოემბრიდან მარტამდე. აი, ახლა კი საქართველოს პროფესიული ლიგის ხელმძღვანელებმა ჩვენნაირი „მოკირკიტეები" გააჩუმეს: 2009 წლიდან ჩემპიონატი მთლად ძველით ახალ წელს! არა, მაგრამ მაინც ადრე განახლდება - 7 თებერვალს! წარმოგვიდგენია, რა სუსხი იქნება იმ დროს ზუგდიდში, ბოლნისსა თუ ბორჯომში; სამაგიეროდ, ფეხბურთელები 90 წუთის განმავლობაში არ გაჩერდებიან და რატომღაც გვგონია, რომ სწორედ თებერვალში უნდა ველოდოთ ტემპიან შეხვედრებსა თუ უხვგოლიან მატჩებს. აბა, 28 დეკემბერს ფეხბურთელს რა უნდა მოსთხოვო - ფიქრში, ალბათ, ყველას ახალი წელი, ბედობა და სხვა „მძიმე დღეები" ექნება.

სარკაზმს თავი დავანებოთ და უფრო სერიოზულად ვიმსჯელოთ სამწრიანი და თერთმეტგუნდიანი ჩემპიონატის ავკარგიანობაზე. ჯერ ის ვთქვათ, რომ ყველა ტურში ერთ გუნდს დასვენება მოუწევს; ამ მხრივ ყველაზე მეტად ბოლნისის „სიონს" გაუმართლა - 20 დეკემბერს დებიუტანტ „გაგრას" უმასპინძლებენ და მწვრთნელ-ფეხბურთელებსა თუ გამოცდილ პრესატაშეს საახალწლო სამზადისისთვის საკმაოზე მეტი დროც დარჩებათ.

თავისი მინუსები აქვს ჩემპიონატის სამ წრედ ჩატარებასაც, ანუ, გუნდები არათანაბარ პირობებში იქნებიან და ზოგიერთს უშუალო კონკურენტთან თუ ორჯერ შინ მოუწევს თამაში, ზოგი ამ უპირატესობის გამოყენებას ერთხელ მოახერხებს. იმედია, სხვა გუნდების ქომაგები არ გვიწყენენ, თუ წინა ჩემპიონატის ოთხ საუკეთესოზე გავამახვილებთ ყურადღებას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საიუბილეო ჩემპიონატშიც მედლებისთვის ბრძოლაში სწორედ „დინამოს", „ვიტ ჯორჯიას", „ზესტაფონსა" და „ოლიმპს" მივიჩნევთ უპირველეს კანდიდატებად (პლუს - „ლოკომოტივსა" და „სიონს"). ორწრიანი ჩემპიონატის დროს ყველაფერი მარტივად იყო - კონკურენტს მასპინძლობდი და მერე სტუმრად ეთამაშებოდი. ახლა კი, როგორც უკვე ალვნიშნეთ, ზოგიერთ გუნდს კონკურენტთან შედარებით უპირატესობა აქვს. აი, მაგალითად: „დინამო" ორჯერ მასპინძლობს „ოლიმპსა" და „ვიტ ჯორჯიას", სამაგიეროდ სეზონის განმავლობაში ორჯერ მოუწევს ჩასვლა ზესტაფონში; საკმაოდ გაძლიერებული და ამბიციური „ოლიმპი" ასევე ორჯერ უმასპინძლებს „ზესტაფონსა" და „ვიტ ჯორჯიას". ანუ, გამოდის, რომ „ზესტაფონსა" და „ვიტ ჯორჯიას" უფრო ნაკლებად გაუმართლათ. თუმცა, ეს მაინც პირობითად გვეჩვენება: გუნდს თუ საჩემპიონო ამბიცია გააჩნია, საშინაო ასპარეზზეც და საგარეო მატჩებშიც თავისი სიძლიერე უნდა დაამტკიცოს.

მოკლედ, რაღა დარჩა - ოთხი დღეც და საიუბილეო, მეოცე ეროვნულ ჩემპიონატს დავიწყებთ!

**გია ტუხაშვილი**



## I წრე

### I ტური

**13 სექტემბერი, შაბათი**

მგლები (ზუგდიდი)-სიონი (ბოლნისი)
ბორჯომი (ბორჯომი)- ვიტ ჯორჯია (თბ.)
ლოკომოტივი (თბ.)-მესხეთი (ახალციხე)

**14 სექტემბერი, კვირა**

ოლიმპი (რუსთავი)-ზესტაფონი
გაგრა (გაგრა)-დინამო (თბილისი)
*სპარტაკი (ცხინვალი) ისვენებს*

16-17-18 სექტემბერი,
თასის 1/8 საპასუხო მატჩები

### II ტური

**20 სექტემბერი, შაბათი**

მგლები-ბორჯომი
ვიტ ჯორჯია-გაგრა

**21 სექტემბერი, კვირა**

მესხეთი-ოლიმპი
სიონი-ზესტაფონი
დინამო-სპარტაკი
*ლოკომოტივი ისვენებს*

### III ტური

**26 სექტემბერი, პარასკევი**

ბორჯომი-სიონი
გაგრა-მგლები
ზესტაფონი-მესხეთი

**27 სექტემბერი, შაბათი**

ლოკომოტივი-დინამო
სპარტაკი-ვიტ ჯორჯია
*ოლიმპი ისვენებს*

### IV ტური

**30 სექტემბერი, სამშაბათი**

ბორჯომი-გაგრა
სიონი-მესხეთი

**1 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

მგლები-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი
დინამო თბ-ოლიმპი
*ზესტაფონი ისვენებს*
სექტემბერში თამაშები დაიწყება 16 საათზე

### V ტური

**4 ოქტომბერი, შაბათი**

გაგრა-სიონი

**5 ოქტომბერი, კვირა**

სპარტაკი-ბორჯომი
ზესტაფონი-დინამო
ლოკომოტივი-მგლები
ოლიმპი-ვიტ ჯორჯია
*მესხეთი ისვენებს*

### VI ტური

**18 ოქტომბერი, შაბათი**

ბორჯომი-ლოკომოტივი
გაგრა-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი

**19 ოქტომბერი, კვირა**

მესხეთი-დინამო
მგლები-ოლიმპი
*სიონი ისვენებს*

### VII ტური

**24 ოქტომბერი, პარასკევი**

სპარტაკი-სიონი
ზესტაფონი- მგლები
ოლიმპი-ბორჯომი

**25 ოქტომბერი, შაბათი**

ლოკომოტივი-გაგრა
მესხეთი-ვიტ ჯორჯია
*დინამო ისვენებს*

### VIII ტური

**28 ოქტომბერი, სამშაბათი**

სიონი-დინამო
ბორჯომი-ზესტაფონი

**29 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

სპარტაკი-ლოკომოტივი
მგლები-მესხეთი
გაგრა-ოლიმპი
*ვიტ ჯორჯია ისვენებს*
ოქტომბერში თამაშები დაიწყება 15 საათზე

### IX ტური

**1 ნოემბერი, შაბათი**

დინამო თბილისი-ვიტ ჯორჯია

**2 ნოემბერი, კვირა**

მესხეთი-ბორჯომი
ოლიმპი-სპარტაკი
ლოკომოტივი-სიონი
ზესტაფონი-გაგრა
*მგლები ისვენებს*

### X ტური

**8 ნოემბერი, შაბათი**

ლოკომოტივი-ოლიმპი
სიონი-ვიტ ჯორჯია
სპარტაკი-ზესტაფონი
მგლები-დინამო

**9 ნოემბერი, კვირა**

გაგრა-მესხეთი
*ბორჯომი ისვენებს*

12 ნოემბერი, თასის
1/4 პირველი მატჩები

### XI ტური

**16 ნოემბერი, კვირა**

ზესტაფონი-ლოკომოტივი
ოლიმპი-სიონი
მესხეთი-სპარტაკი
დინამო-ბორჯომი
ვიტ ჯორჯია-მგლები
*გაგრა ისვენებს*

## II წრე

### XII ტური

**21 ნოემბერი, პარასკევი**

სიონი-მგლები

**22 ნოემბერი, შაბათი**

მესხეთი-ლოკომოტივი
დინამო-გაგრა
ზესტაფონი-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ბორჯომი
*სპარტაკი ისვენებს*

26 ნოემბერი, თასის
1/4 საპასუხო მატჩები

### XIII ტური

**29 ნოემბერი, შაბათი**

ბორჯომი-მგლები

**30 ნოემბერი, კვირა**

სპარტაკი-დინამო
ზესტაფონი-სიონი
ოლიმპი-მესხეთი
გაგრა-ვიტ ჯორჯია
*ლოკომოტივი ისვენებს*
ნოემბერში თამაშები დაიწყება 14 საათზე

### XIV ტური

**6 დეკემბერი, შაბათი**

მგლები-გაგრა
სიონი-ბორჯომი
დინამო-ლოკომოტივი

**7 დეკემბერი, კვირა**

მესხეთი-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-სპარტაკი
*ოლიმპი ისვენებს*

### XV ტური

**13 დეკემბერი, შაბათი**

გაგრა-ბორჯომი
სპარტაკი-მგლები
ოლიმპი-დინამო

**14 დეკემბერი, კვირა**

ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია
მესხეთი-სიონი
*ზესტაფონი ისვენებს*

### XVI ტური

**20 დეკემბერი, შაბათი**

ბორჯომი-სპარტაკი
სიონი-გაგრა
დინამო-ზესტაფონი

**21 დეკემბერი, კვირა**

მგლები-ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია-ოლიმპი
*მესხეთი ისვენებს*

### XVII ტური

**27 დეკემბერი, შაბათი**

სპარტაკი-გაგრა
ოლიმპი-მგლები
დინამო-მესხეთი

**28 დეკემბერი, კვირა**

ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი-ბორჯომი
*სიონი ისვენებს*
დეკემბერში თამაშები დაიწყება 14 საათზე

### XVIII ტური

**7 თებერვალი, შაბათი (2009 წ.)**

მგლები-ზესტაფონი
ვიტ ჯოჯია-მესხეთი

**8 თებერვალი, კვირა**

სიონი-სპარტაკი
გაგრა-ლოკომოტივი
ბორჯომი-ოლიმპი
*დინამო ისვენებს*

### XIX ტური

**14 თებერვალი, შაბათი**

ოლიმპი-გაგრა
ლოკომოტივი-სპარტაკი

**15 თებერვალი, კვირა**

მესხეთი-მგლები
დინამო-სიონი
ზესტაფონი-ბორჯომი
*ვიტ ჯორჯია ისვენებს*

### XX ტური

**21 თებერვალი, შაბათი**

ბორჯომი-მესხეთი
გაგრა-ზესტაფონი
სიონი-ლოკომოტივი

**22 თებერვალი, კვირა**

ვიტ ჯორჯია-დინამო
სპარტაკი-ოლიმპი
*მგლები ისვენებს*

### XXI ტური

**28 თებერვალი, შაბათი**

ვიტ ჯორჯია-სიონი
ოლიმპი-ლოკომოტივი
ზესტაფონი-სპარტაკი

**1 მარტი, კვირა**

მესხეთი-გაგრა
დინამო-მგლები
*ბორჯომი ისვენებს*
თებერვალში თამაშები დაიწყება 14 საათზე

### XXII ტური

**6 მარტი, პარასკევი**

სპარტაკი-მესხეთი
მგლები-ვიტ ჯორჯია
ბორჯომი-დინამო

**7 მარტი, შაბათი**

ლოკომოტივი-ზესტაფონი
სიონი-ოლიმპი
*გაგრა ისვენებს*

## III წრე

### XXIII ტური

**10 მარტი, სამშაბათი**

ბორჯომი-ვიტ ჯორჯია
გაგრა-დინამო

**11 მარტი, ოთხშაბათი**

ოლიმპი-ზესტაფონი
მგლები-სიონი
ლოკომოტივი-მესხეთი
*სპარტაკი ისვენებს*

### XXIV ტური

**14 მარტი, შაბათი**

დინამო-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-გაგრა

**15 მარტი, კვირა**

სიონი-ზესტაფონი
მესხეთი-ოლიმპი
მგლები-ბორჯომი
*ლოკომოტივი ისვენებს*

### XXV ტური

**21 მარტი, შაბათი**

ბორჯომი-სიონი
გაგრა-მგლები
ლოკომოტივი-დინამო

**22 მარტი, კვირა**

ზესტაფონი-მესხეთი
სპარტაკი-ვიტ ჯორჯია
*ოლიმპი ისვენებს*
მარტში თამაშები დაიწყება 15 საათზე

### XXVI ტური

**4 აპრილი, შაბათი**

მგლები-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი

**5 აპრილი, კვირა**

დინამო-ოლიმპი
ბორჯომი-გაგრა
სიონი-მესხეთი
*ზესტაფონი ისვენებს*

### XXVII ტური

**10 აპრილი, პარასკევი**

ოლიმპი-ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი-დინამო
ლოკომოტივი-მგლები
გაგრა-სიონი

**11 აპრილი, შაბათი**

სპარტაკი-ბორჯომი
მესხეთი ისვენებს

14 აპრილი, სამშაბათი,
თასის 1/2, პირველი მატჩები

### XXVIII ტური

**17 აპრილი, პარასკევი**

ბორჯომი-ლოკომოტივი
გაგრა-სპარტაკი

**18 აპრილი, შაბათი**

მგლები-ოლიმპი
დინამო-მესხეთი
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი
*სიონი ისვენებს*

### XXIX ტური

**24 აპრილი, პარასკევი**

სპარტაკი-სიონი
ლოკომოტივი გაგრა

**25 აპრილი, შაბათი**

ოლიმპი-ბორჯომი
ზესტაფონი-მგლები
მესხეთი-ვიტ ჯორჯია
*დინამო ისვენებს*

29 აპრილი, ოთხშაბათი,
თასის 1/2, საპასუხო მატჩები
აპრილში თამაშები დაიწყება 16 საათზე

### XXX ტური

**2 მაისი, შაბათი**

მგლები-მესხეთი

**3 მაისი, კვირა**

სპარტაკი-ლოკომოტივი
სიონი-დინამო
გაგრა-ოლიმპი
ბორჯომი-ზესტაფონი
*ვიტ ჯორჯია ისვენებს*

### XXXI ტური

**9 მაისი, შაბათი**

ლოკომოტივი-სიონი
მესხეთი-ბორჯომი

**10 მაისი, კვირა**

ზესტაფონი-გაგრა
დინამო-ვიტ ჯორჯია
ოლიმპი-სპარტაკი
*მგლები ისვენებს*

### XXXII ტური

**17 მაისი, კვირა**

სიონი-ვიტ ჯორჯია
მგლები-დინამო
ლოკომოტივი-ოლიმპი
გაგრა-მესხეთი
სპარტაკი-ზესტაფონი
*ბორჯომი ისვენებს*

### XXXIII ტური

**23 მაისი, შაბათი**

ოლიმპი-სიონი
ზესტაფონი-ლოკომოტივი
მესხეთი-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-მგლები
დინამო-ბორჯომი
*გაგრა ისვენებს*

**28 მაისი, ხუთშაბათი**

თასის ფინალი

მაისში თამაშები დაიწყება 17 საათზე

# დააბრუნეთ ასათიანი ნაკრებში

**მალხაზ ასათიანი** საქართველოს ეროვნული ნაკრებიდან წავიდა. კითხვებით სავსე თემა მშრალი ამბებით ამოიწურა, თუმცა გვაქვს ეჭვი და შიში, რომ მალხაზი იძულებული გახდა, წასულიყო და არ არის გამორიცხული, ეს განშორება ხანგრძლივი აღმოჩნდეს.

დავიწყოთ თანამიმდევრობით: ირლანდია-იტალიასთან სათამაშოდ გამოძახებული ასათიანი მაინცში ყოფილ თანაგუნდელ **დავით მუჯირთან** ერთად, მოსკოვიდან უნდა გამგზავრებულიყო.

მოხდა გაუგებრობა - დაგეგმილი რეისი შუადღის ნაცვლად, მეორე დილით ყოფილა დანიშნული და ასათიანი და მუჯირი ნაკრებს დაგვიანებით შეუერთდნენ. ფეხბურთელებს ფრენის განრიგი შეეშალათ, მაგრამ მაინცში სამი დღით ადრე ჩავიდნენ და მწვრთნელს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

ძნელი სათქმელია, **ექტორ კუპერი** ასათიანს ამის გამო შემოსწყრა, მალხაზი მართლა ვერ იყო ფორმაში, თუ სხვა რამ მოხდა - ფაქტია, ირლანდიაში მხოლოდ შეცვლაზე ითამაშა. ეს მალხაზმა შეხვედრამდე ორი საათით ადრე გაიგო, რადგან ასეთია კუპერის სტილი - ორი დღით ადრე შემადგენლობას არ აცხადებს. ესეც საწყენი გამოდგა. მატჩის შემდეგ ასათიანისა და კუპერის მოლაპარაკების დეტალები ჩვენთვის ცნობილი გახდა. მალხაზმა არგენტინელ მწვრთნელს ჰკითხა, უპირებდა თუ არა ირლანდიასთან თამაშს, რაზეც კუპერმა უპასუხა, არც ითამაშებ და 18 კაცშიც ვერ მოხვდებიო.

ეს ასათიანისთვის სილის გაწნას ჰგავდა, თუმცა თავი შეიკავა და მშვიდად სთხოვა, კიევში გამიშვიო. ის, რომ კლუბში მაინც მოემზადებოდა, საგაზეთო ვერსიაა - საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი განაწყენებულია. კვირა დილით მალხაზი უკვე კიევში იმყოფებოდა. არც ისეთი



ვითარებაა, თავდაპირველად რომ ითქვა - თითქოს მალხაზმა ნაკრებიდან კლუბში წასვლა უმიზეზოდ მოისურვა. უმიზეზოდ არაფერი ხდება.

პირიქით, ასათიანს იტალიასთან თამაში ძალიანაც სურდა. ეს კუპერის ბოსტანში ნასროლი კენჭი არაა და მას არ ვაკრიტიკებთ - მწვრთნელის გადასაწყვეტია, ვის ათამაშებს და განაცხადში ვის დაასახელებს. საერთოდ, კუპერის პირველი ნაბიჯები პატივისცემას იმსახურებს, იმავე ლორიასთან დაკავშირებით.

**გიორგი ლორიამ** უელსსა და ირლანდიასთან მიუტევებელი შეცდომები დაუშვა, მაგრამ კუპერი ისე არ მოქცეულა, როგორც **კლაუს ტოპმიოლერი გიორგი ლომაიასთან** იტალიის შემდეგ - გერმანელმა ლომაია ნაკრებიდან გაუშვა. პირიქით, მაინცის მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ახალგაზრდა მეკარე გაამხნევა.

კუპერმა ისიც თქვა, რომ ყველა საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი მის განკარგულებაშია. უკვე გასაგებია, რომ მას არ აწოდებენ ზუსტ ინფორმაციას ქართველი მოთამაშების შესახებ და სანამ ვითარებაში გაერკვეოდეს, მართლა დაიჯერებს, რომ ლორია საუკეთესო მეკარეა. არა მგონია, რეალური მონაცემებისთვის თვალი გადაევლო და უთამაშებელი **გიორგი მაკარიძე** გამოცდილ ლომაიაზე წინ დაეყენებინა.

სადღაც ძაღლის თავი იმალება და ამ რებუსს ამოხსნა სჭირდება - რატომ ხდება ქართულ ფეხბურთში ბევრი რამ ძალზე ალოგიკურად? რაც შეეხება მალხაზს, ამ პატარა კონფლიქტს თუ უსიამოვნებას წერტილი სასწრაფოდ უნდა დაესვას. იმედია, არ გამართლდება ინფორმაცია, რომ მალხაზი ნაკრებში ასეთ ვითარებაში მომბრუნებელი არაა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან

# კუპერმა გამიგო და გამათავისუფლა

**მალხაზ ასათიანის მიერ ნაკრების დატოვებას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. გუშინ მას კიევის „დინამოს" საწვრთნელ ბაზა „კონჩა ზასპეზე" დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ.**

- მეგობრები, ახლობლები მირეკავენ და მეკითხებიან, რა ხდებაო, - დაიწყო მალხაზმა, - ასათიანმა ნაკრები გაბრაზებულმა დატოვა, ეროვნულ გუნდში აღარ ითამაშებს, მას და კუპერს შელაპარაკება მოუხდათ, ეს კონფლიქტიაო და რაღაც ამის მსგავსი... მინდა, ჭორებს წერტილი დავუსვა. ნაკრების თავკაცთან თბილი საუბარი მქონდა. ასე რომ, არანაირი კონფლიქტი არ ყოფილა და კვლავაც ნაკრების წევრად მივიჩნევ თავს.

**- მაინც რაზე ისაუბრეთ შენ და კუპერმა?**

- ირლანდიასთან მატჩში შეცვლაზე მომიწია თამაშმა. მესმის მწვრთნელის, უბრალოდ, მან ასე მიიჩნია საჭიროდ. შეხვედრის შემდეგ დავინტერესდი, ვითამაშებდი თუ არა იტალიასთან. თუ კუპერი არ აპირებდა ჩემს დაყენებას, სჯობდა, დარჩენილი დრო კლუბში ადაპტაციისა და მომზადებისთვის გამომეყენებინა. კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ - მწვრთნელთან ნორმალური, საქმიანი საუბარი მქონდა, ავუხსენი ჩემი მდგომარეობა, მან გამიგო და გამათავისუფლა. ეს იყო და ეს.

**- უკმაყოფილება არ გამოუთქვამს?**

- არა, არანაირი. საუბარში ვაგრძნობინე, რომ ჩემი სურვილი პროტესტით არ იყო გამოწვეული და არც მასზე ვბრაზობდი.

**- მაინც რატომ მიიჩქაროდი კიევისკენ? სიომინი ხომ არ დაგიკავშირდა?**

- არა, სიომინს არ დაურეკავს. კიევში დაბრუნების გადაწყვეტილება თავად მივიღე. კუპერს ავუხსენი, რომ მოსკოვის „ლოკომოტივმა" კიევის „დინამოში" სამი თვით გამანათხოვრა, ვუთხარი, რომ კიევში ის მწვრთნელი მუშაობს, რომელმაც თავის დროზე მოსკოვში გადამიყვანა, რომ ის მენდობა, მაგრამ უნდა დავუმტკიცო, რომ ძველებურად მაღალ დონეზე შემიძლია თამაში, საამისოდ კი დრო ცოტა მაქვს... თან, 13 სექტემბერს თასზე გვიწევს თამაში, 17-ში კი ჩემპიონთა ლიგაში. რაც უფრო მალე მოვიკიდებ ფეხს „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში, მით უფრო გამოვადგები ნაკრებს... მოკლედ, ეს საუბარი იყო. მწვრთნელის მადლობელი ვარ. მერე ნოდარ ახალკაცსაც ველაპარაკე...

**- ...და რა გითხრა ახალკაცმა?**

- ეს ნაკრების მწვრთნელის გადასაწყვეტიაო, მეტი არაფერი.

**- კიევში უკვე ვარჯიშობ?**

- კი, დღეში ორ-ორი ვარჯიში გვაქვს.

**- ნაკრებს ზურაბ ხიზანიშვილიც გამოაკლდა...**

- მართლა? ეს არ ვიცოდი... გადაწყვეტილია, რომ ზურა ვერ ითამაშებს? კი მაგრამ, რა სჭირს?

**- სამწუხაროდ, ვერ ითამაშებს, მუხლმა შეაწუხა...**

- დიდი დანაკლისია... მაგრამ გუნდში ბევრი მცველი გვყავს და იმედია, არ გაგვიჭირდება. მე კი კლუბში მომდევნო სანაკრებო მატჩებისთვის მოვემზადები. ძალიან მინდა, მალე დავიბრუნო ფორმა, „დინამოს" სასტარტოში ჩავჯდე და ეროვნულ გუნდში უკეთ ვითამაშო.

**- და ბოლოს, ირლანდიასთან მატჩს როგორ შეაფასებდი?**

- დასანანი მარცხი იყო. ირლანდია მოგებას ნამდვილად არ იმსახურებდა. იმ დონის გუნდი არაა, როგორსაც ველოდი. ახლა ვასკვნი, რომ ამ ირლანდიას ის შოტლანდია ჯობდა, თბილისში 2:0 რომ მოუგეთ. შაბათს მინიმუმ ფრეს მაინც ვიმსახურებდით. ორივე გოლი ჩვენი შეცდომებით ვაჩუქეთ, თორემ მათ სხვა რეალური მომენტი არც ჰქონიათ, კინის შანსს თუ არ ჩავთვლით.

**დავით ცაბაძე**

# კორღალიძე ნაკრებზე ოცნებობს

მოლდოვის ვიცე-ჩემპიონ "დაჩიაში" ქართველმა ფეხბურთელებმა ფეხი მყარად მოიკიდეს. **ჯაბა დვალი** შარშანდელ პირველობაზე გუნდის ბომბარდირი გახდა, **ლევან კორღალიძე** ნახევარდაცვაში საკმაოდ კარგად გამოიყურება, **სერგო ორბელაძე** კი დაცვაში საიმედოდ თამაშობს – ასე იწერება მოლდოვურ მედიაში და საფუძველი არ გვაქვს, რომ მათ არ ვენდოთ.

გასული სეზონის დასრულების შემდეგ ითქვა, რომ 28 წლის ნახევარმცველ კორღალიძეს სხვა კლუბში გადასვლის შანსი ჰქონდა.

*„ვარიანტები იყო, ამას არ დავმალავ, მაგრამ ახლა ამ თემაზე ლაპარაკი და დაინტერესებული კლუბების დასახელება აღარ ღირს. ეს უკვე დამთავრებული საქმეა, რადგან აქ დარჩენა გადავწყვიტე. დიდი ხანი არ არის, რაც "დაჩიაში" ჩავირიცხე და კლუბის ხშირი ცვლა არ მინდა. ჯერ ერთი, აქ თავს კარგად ვგრძნობ, მეორეც, სეზონი დაიწყო და "დაჩიასთან" ერთად, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ჩავერთე. ასეთ დროს კლუბის შეცვლა გაუმართლებელი მგონია. თუმცა ეს არ გახლავთ ჩემთვის მთავარი. მთავარი მიზანია, ფორმაში ჩავდგე და შემდეგ, იქნებ, ეროვნულ ნაკრებში მოვხვდე. მესმის, რომ მოლდოვასა და აზერბაიჯანში მოთამაშე ქართველებს დიდ ყურადღებას არ აქცევენ, მაგრამ იმედია, ადრე თუ გვიან ყურადღებას მოგვაქცევენ. უცხოეთში, მით უფრო ერთ-ერთ ლიდერ გუნდში ტყუილად არავინ გაგვაჩერებს. ასე რომ, ვიმედოვნებ, ეროვნულ ნაკრებში მიმიწვევენ", - გვითხრა გუშინ ლევანმა.*

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2010. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთ ამერიკა

# სუპერფაბიანო

## დუნგა გადარჩა, ბრაზილიამ თვალში გამოიხედა

**ჩილე-ბრაზილია 0:3**

ჩილე: ბრავო, მედელი, ხარა, ესტრადა, კარმონა, ვიდალი (46. ბოსეჟური), დროგე (40. ვალდივია), ფერნანდესი, სანჩესი, სუასო, გონსალესი (46. სერესედა).

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ლუსიო, ლუიზაო, კლებერი, ჟოსუე, დიეგო (79. ელანო), ჟილბერტო სილვა, ლუიშ ფაბიანო (86. ჟო), რონალდინიო (53. ჟუანი), რობინიო.

**გოლები:** 0:1 ლუიშ ფაბიანო (21), 0:2 რობინიო (45), 0:3 ლუიშ ფაბიანო (83)

*35-ე წუთზე რონალდინიომ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

გაძევება: კლებერი (47. ბრაზილია), ვალდივია (62. ჩილე)

**მაყურებელი:** 70 000

ბრაზილიის ნაკრებმა სანტიაგოში უპრინციპულესი მატჩი მოიგო. რომ არა ეს გამარჯვება, **კარლოს დუნგა** დღეიდან უმუშევართა არმიას შეუერთდებოდა. ამის თაობაზე ბრაზილიური პრესა სპეკულაციებს აღარ ერიდებოდა. ეგ იყო, ალტერნატიული კანდიდატურა შერჩეული არ ჰყავდათ, მაგრამ საკითხი მკაცრად იდგა - ოღონდ დუნგა არა და... ბევრი ბოლმა დაგროვდა „ტორსიდაში". ფანებს კარგა ხანს ემახსოვრებათ არგენტინის ნაკრებთან ოლიმპიადის ნახევარფინალში განცდილი ფიასკოც (0:3)...

მაგრამ „სელესაოს" ყოფილი კაპიტანი გადარჩა, მისმა გუნდმა კი ცხრილში სერიოზული ნახტომი გააკეთა. ბრაზილიელებისთვის მთავარი ისაა, რომ ამ კონკრეტულ სიტუაციაში არგენტინაზე წინ არიან. გაიტანეს გოლებიც, რაც ბოლო ხანებში პრობლემად ექცათ, რაოდენ ძნელი წარმოსადგენიც უნდა იყოს...

ჩილეს ნაკრებისთვის კი მთავარი მოტივატორი იყო მუნდიალზე მოსახვედრი შანსისთვის ბრძოლა, რაც ჯერჯერობით შესრულებადი ამოცანაა, მიუხედავად მძიმე მარცხისა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ბრაზილიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ თამაში ნებისმიერ სატურნირო ინტერესს სცილდება, მით უფრო, რომ ჩილეს ნაკრებს „სელესაოსთან" ბოლოს ზედიზედ 5 მატჩი აქვს წაგებული...

**რობინიოს** უკვე მე-9 წუთზე ჰქონდა გოლის გატანის შანსი. ის ორ მცველს დაუსხლტა და მეკარე **ბრავოს** მზაკვრულად დაურტყა, თუმც ჩილეს კარის დარაჯმა ბურთის მოგერიება მაინც მოახერხა. მერე იქით მხარეს იყო მომენტი. კუთხურის შემდეგ **სუასომ** („ინტერის" ფორვარდში არ აგერიოთ) 6-7 მეტრიდან „მოახერხა" აცილება.

21-ე წუთი დადგა და ბრაზილია წინ გაიჭრა. **ლუიშ ფაბიანომ**, რომელიც მატჩის გმირად იქცა, **რონალდინიოს** ჯარიმას თავი შეაშველა და 318-წუთიანი „გვალვის" შემდეგ (ბოლო გოლი კანადასთან, ივნისში) „სელესაომ" გოლის სიხარული განიცადა. ბრაზილიელთა მატერიალურ უპირატესობას ჩილემ გამძაფრებული იერიშებით უპასუხა და იგივე სუასო ორჯერ იყო ახლოს მიზანთან მანამ, ვიდრე სტუმრები 11-მეტრიანის უფლებას მოიპოვებდნენ. **ესტრადა** უხეშად მოექცა **დიეგოს** და არბიტრს პენალტზე არ უყოყმანია. რონალდინიომ მეკარისგან მარჯვენა კუთხე აირჩია და მნარედაც შეცდა. ბრავოს ნახტომმა ანგარიში უცვლელი დატოვა. მერე ჩილელებს კიდევ ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი, მაგრამ **მაიკონმა** ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა...

ამასობაში პირველი ტაიმის ბოლომაც მოაწია. ლუიშ ფაბიანომ მაღალი ბურთისთვის ბრძოლა მოიგო და თავით გაუგრძელა შეტევა რობინიოს, რომელმაც საჯარიმოს ხაზიდან მიზანში მოარტყა.

პირველ ტაიმში მოპოვებული სერიოზული უპირატესობა მეორე ტაიმის დასაწყისში ბრაზილიამ კინაღამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. **კლებერმა** მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და გასახდელის გზას გაუდგა. მაგრამ მას მალე ჩილელი **ვალდივიაც** მიჰყვა. 62-ე წუთზე მასპინძელმა ლუიშ ფაბიანო არ დაინდო და წითელი ბარათი იხილა. მიუხედავად ამისა, ჩილე შეტევაზე გადავიდა. ერთ მომენტში ისინი პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ ყური არავინ ათხოვა. ამასობაში კი „სელესაომ" მესამე გოლიც გაიტანა და ყველა ეჭვი (თუკი ასეთი რამ არსებობდა) გააბათილა. ამ ეპიზოდში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა ლუიშ ფაბიანომ, რომელმაც მცველ **მედელს** ფიზიკურად აჯობა, მეკარის პირისპირ აღმოჩნდა და ბურთი ლაჯებში გაუტარა - 0:3. სევილიელი ფორვარდი დუბლითა და ერთი საგოლე პასით მატჩის აბსოლუტურ გმირად იქცა.

მომდევნო ტურში ბრაზილიას, თამამად ვიტყვით, გარანტირებული 3 ქულა აქვს ბოლივიასთან საშინაო მატჩში. თუ არა და, ქვეყანა (თუ ბრაზილია?) ჩალით ყოფილა დახურული...

**გიორგი გელაშვილი**


ლუიშ ფაბიანოს მეორე გოლი გააქვს ჩილეს კარში

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პარაგვაი | 7 | 4 | 2 | 1 | 14-6 | 14 |
| 2. ბრაზილია | 7 | 3 | 3 | 1 | 11-4 | 12 |
| 3. არგენტინა | 7 | 3 | 3 | 1 | 10-4 | 12 |
| 4. ურუგვაი | 7 | 3 | 2 | 2 | 16-6 | 11 |
| 5. კოლუმბია | 7 | 2 | 4 | 1 | 4-3 | 10 |
| 6. ჩილე | 7 | 3 | 1 | 3 | 9-12 | 10 |
| 7. ეკვადორი | 7 | 2 | 2 | 3 | 10-14 | 8 |
| 8. ვენესუელა | 7 | 2 | 1 | 4 | 9-11 | 7 |
| 9. პერუ | 7 | 1 | 3 | 3 | 4-15 | 6 |
| 10. ბოლივია | 7 | 1 | 1 | 5 | 8-20 | 4 |

**VIII ტური**

**9 სექტემბერი**

პარაგვაი-ვენესუელა

**10 სექტემბერი**

ურუგვაი-ეკვადორი
ჩილე-კოლუმბია
ბრაზილია-ბოლივია
პერუ-არგენტინა

### მანჩესტერი არავის გაყიდის

"იუნაიტედის" აღმასრულებელი დირექტორი დევიდ გილი სერიოზულად არ განიხილავს "მანჩესტერ სიტის" მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას კრისტიანო რონალდოთი დაინტერესების თაობაზე. მოგეხსენებათ „სიტის" ახალმა მფლობელმა კომპანიამ, არაბულმა "აბუ დაბი იუნაიტედ გრუპმა" განაცხადა, რომ ზამთარშივე მზად იქნება ფეხბურთელის 135 მილიონად შესაძენად. *"135 მილიონი გირვანქა ერთი ფეხბურთელის სანაცვლოდ ის თანხაა, რასაც მთელი საფეხბურთო სამყაროს თავდაყირა დაყენება შეუძლია. არ ვფიქრობ, ისინი ამას სერიოზულად გვგმავდნენ. და თუკი ასეთი წინადადებით მართლა მოგვმართავენ, ბუნებრივია, კლუბის მესაკუთრეები ამას განიხილავენ, მაგრამ არ მგონია დადებითად ვუპასუხოთ. ჩვენ საუკეთესო ფეხბურთელებთან განშორებას არ ვგეგმავთ,"* - განაცხადა მანჩესტერელმა ჩინოვნიკმა.

### კუფური წავიდა

განის ნაკრების ფეხბურთელი, მიუნხენის "ბაიერნისა" და "რომას" ყოფილი ცენტრალური მცველი **სამუელ კუფური** ფეხბურთიდან წავიდა. წელს იანვარში ის არენდით "აიაქსში" გადავიდა, მაგრამ იქ ფეხი ვერ მოიკიდა. სეზონის დასრულების შემდეგ მან რამდენიმე წინადადება მიიღო გერმანული და რუსული კლუბებისგან. სამუელმა მისთვის მისაღები ვარიანტი ვერ შეარჩია და კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

კარიერის ყველაზე ხანგრძლივი და ღირებული ნაწილი მან რეკორდმაიტერში გაატარა, სადაც 6-ჯერ მოახერხა გერმანიის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება, გარდა ამისა მოიგო ჩემპიონთა ლიგა და ასევე საკონტინენტთაშორისო თასი, სადაც ერთადერთი გოლი გაიტანა და ფინალის საუკეთესო მოთამაშის ტიტული დაიმსახურა. 2007 წელს ის აფრიკის ყველა დროის 30 საუკეთესო ფეხბურთელს შორის დასახელდა.

### ფერდინანდი ისევ საეჭვოა

გუშინწინ გამენეთ, რომ **რიო ფერდინანდი** ხორვატიასთან შესარჩევის მატჩისთვის საბრძოლო ფორმაში იქნებოდა. გუშინ კი "დეილი ექსპრესმა" გაავრცელა ცნობა, რომ მისი თამაში ბალკანელებთან მაინც საეჭვოა, რადგან ფეხბურთელს ხერხემლის ტკივილები არა და არ უყუჩდება. ფეხბურთელს გამოჯანმრთელებისთვის დრო კიდევ დარჩა, მაგრამ შესაძლოა, პრინციპულ შეხვედრამდე ფორმაში ჩადგომა ვერ მოახერხოს.

### აბონდანსიერი ლაზარეთში

"ხეტაფესა" და არგენტინის ნაკრების მეკარე **რობერტო აბონდანსიერი** პარაგვაისთან შესარჩევ მატჩში უკვე მატჩის დებიუტში, მე-15 წუთზე შეცვალეს. ის და **გაბრიელ ჰაინცე** შეუთანხმებელი მოქმედების შედეგად ერთმანეთს დაეჯახნენ. "ალბისელესტემ" ორმაგად იზარალა, მადრიდის "რეალის" მოთამაშემ საკუთარი კარი დალაშქრა და მეკარეც დაამტვრია. ახლა რობერტოს მინიმუმ 2 და მაქსიმუმ 3 კვირით მოუწევს ფეხბურთისგან დასვენება.

### დომენეკი უნდა წავიდეს

ინგლისური "დეილი ექსპრესი" გვაუწყებს, რომ საფრანგეთის ფეხბურთის ასოციაციაში სერიოზულად განიხილავენ **რაიმონ დომენეკის** თანამდებობიდან დათხოვნის შესაძლებლობას. პირველ ტურში "მამლებმა" ვენაში უთავმოყვარეოდ ითამაშეს და მასპინძელ ავსტრიელებთან 3:1 წააგეს. თუკი გუნდმა 10 სექტემბერს სერბების დამარცხებაც ვერ მოახერხა, მოსიე რაიმონი თანამდებობას დაემშვიდობება. გასაგებია, რომ გუნდის ახლიდან მშენებლობის პროცესი მიდის, გასათვალისწინებელია, რომ ევროპის ჩემპიონატზე მიღებული ტრავმის შემდეგ გუნდს არ დაბრუნებია მისი ლიდერი **ფრანკ რიბერი**, მაგრამ ასე კოშმარულად თამაში დომენეკს მაინც არ ეპატიება.

### მეთოფეები თურანს უმიზნებენ

ლონდონის "არსენალი" ისევ აგრძელებს შეტევის გაძლიერებისთვის ზრუნვას. გუნდს ჰყავს ორი მაღალი კლასის ფორვარდი, **ემანუელ ადებაიორი** და **რობინ ვან პერსი**, მაგრამ ეს უკანასკნელი ტრავმებისკენ მიდრეკილი ე.წ. მუშის ფეხბურთელია. მისი ტრავმიანობის პერიოდში გუნდი ძალიან ზარალდება ხოლმე. 20 წლის **დანიელი ნიკლას ბენდტნერი** ჯერ ვერ ახერხებს მის ღირსეულად შეცვლას. **არსენ ვენგერმა** გამოსავალს მიაგნო, ფრანგმა თვალი დაადგა "გალათასარაისა" და თურქეთის ნაკრების ფეხბურთელ **არდა თურანს**. მართალია, ასაკით დიდი არც ეს ფეხბურთელია და არც სუფთა თავდამსხმელად ითვლება, მაგრამ მან ევროპის ჩემპიონატზე მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა და უშუალოდ გუნდის შემტევ პოტენციალს აშკარად დაატყობს ხელს. მისი ფასი 15 მილიონი გირვანქაა.

**შალვა ბიბილაშვილი**

პრემიერლიგა. დიდი მატჩის წინ

# ხანდახან თავდავიწყებაც კარგია

## ტორესის გარდა მანიუსთან სტივიც არ იქნება

**სტივ ჯერარდმა** გამორიცხა საკუთარი მონაწილეობა პრემიერლიგის უახლოეს ტურში "მანჩესტერის" წინააღმდეგ. ფეხბურთელი ჯერ აღდგენით პროცედურებს გადის რამდენიმე დღის წინ ჩატარებული ოპერაციის შემდეგ. "ლივერპულს" უმძიმეს თამაშში მეორე ლიდერიც არ ეყოლება, ასევე ტრავმირებულია ესპანელი **ფერნანდო ტორესი**. *"სამწუხაროდ, "იუნაიტედთან" შეხვედრა ძალიან მალეა,* - განუცხადა "ლივერპულ დეილი პოსტს" ფეხბურთელმა - *ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, ფეხბურთს 16 სექტემბერს, "მარსელთან" შეხვედრაში თუ დავუბრუნდები. ამ საკითხზე ვესაუბრე ბენიტესს და ვუთხარი, რომ მხოლოდ მაშინ ვითამაშებ, როცა სრულიად გამოვჯანმრთელდები და სათანადოდ მოვემზადები."* ნაკრების ფანების ნაწილი მიიჩნევს, რომ მას კიდევ რამდენიმე დღით შეეძლო ოპერაციის გადადება, რათა **ფაბიო კაპელოს** ხელმძღვანელობით ნაკრების პირველ ოფიციალურ მატჩებში ეთამაშა. ასეთ ვარიანტს თავად ფეხბურთელი კატეგორიულად გამორიცხავს:

*"ტკივილის შეგრძნებით უკვე ვითამაშე ლიგის "სტანდარტთან" შეხვედრებში. როცა კი თავი ჩემპიონთა ლიგაში დავიგულეთ, მაშინვე გადაწყდა, რომ ოპერაცია უნდა გამეკეთებინა. გადადება სიტუაციას კიდევ უფრო გაამწვავებდა. დამიჯერეთ, ბოლო დღეებში ტკივილი ისეთი აუტანელი გახდა, რომ გამაყუჩებლების ორმაგ დოზას ვიღებდი, მაგრამ ტკივილი მხოლოდ რამდენიმე საათით მანებებდა თავს. ასეთ დროს კონცენტრაცია და მაღალ დონეზე თამაში შეუძლებელი იყო,* - აცხადებს ფეხბურთელი - *ახლაღა ვხვდები, რომ მართლა შეიძლება დადგეს მომენტი, როცა იძულებული ხდები, დაივიწყო ნაკრებიც, "ლივერპულიც", საერთოდ ფეხბურთი და საკუთარ თავს მიხედო. ზაფხულზე ფანტასტიკურად დავისვენე, ვარჯიშებსაც კარგი განწყობით დავუბრუნდი, მაგრამ თანდათან დისკომფორტი მატულობდა, ჯერ ყურადღება არ მივაქციე და როცა მივაქციე, გვიანი იყო. ოპერაციის გარეშე პრობლემის გადაჭრა უკვე შეუძლებელი იყო".*

**შალვა ბიბილაშვილი**


სტივენ ჯერარდი

თავდამსხმელი კრიზისში

# ზედმეტად კეთილი მირო

## ძირითად შემადგენლობაში ადგილს ჩუქნიან, პენალტს სამადლოდ არტყმევინებენ, მაგრამ კლოზე ვერაფერს ახერხებს. ის ცუდადაა...



მირო თავის დროზე **პეტერ რუბეკმა** აღმოაჩინა და საფეხბურთო კლუბ „ჰომბურგში" მიიყვანა. ეს უკანასკნელი თითქმის დარწმუნებით მიუთითებს იმაზე, რომ კლოზეს ცხოვრებაში აქვს პრობლემები. „მირო ყოველთვის ძალიან მგრძნობიარე იყო. როდესაც ცუდ ხასიათზეა, გოლები საერთოდ ვერ გააქვს, რადგან ბევრს ფიქრობს და მერე ფეხბურთზე კონცენტრირება უჭირს. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ აქ სხვა რამეშია საქმე. მას მოედანს მიღმა აქვს პრობლემები."

რუბეკს ყოველდღიური კონტაქტი აქვს კლოზესა და მის მშობლებთან. „ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ფეხბურთის თამაშით სიამოვნებას ვერ იღებს. უბრალოდ, არ სიამოვნებს მოედანზე ყოფნა და შესაბამისად, არც არაფერი გამოსდის. რისი ბრალია ეს ყველაფერი, მხოლოდ კლოზემ იცის. იქნებ მისთვის უკეთესიც კი იყოს, რომ სათადარიგოთა სკამზე დასვან."

გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** სხვაგვარად ფიქრობს - მიიჩნევს, რომ კლოზეს ძალიან სჭირდება იმის შეგრძნება, რომ მწვრთნელი ენდობა. ფიზიკურად ცუდ ფორმაში ნამდვილად არ არის, უფრო მენტალურ პრობლემებს ვატყობო, ამბობს ბუნდესმწვრთნელი.

„მირო კეთილი ადამიანია. შეიძლება ითქვას, ზედმეტად კეთილიც კი. ასე რომ არ ყოფილიყო, გაცილებით მეტს მიაღწევდა. და აშკარაა, გაცილებით მეტის პოტენციალი ჰქონდა. ახლა კი უკვე 30 წლისაა. კარგი იქნებოდა, უფრო ცივსისხლიანი ყოფილიყო," – ამბობს რუბეკი.

სამწუხაროდ, გერმანიის ნაკრების ფანებმა არ იციან, როგორი ადამიანია კლოზე სინამდვილეში. ლიხტენშტაინთან მატჩის დროს მათ მიროს უსტვინეს და ამით მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმეს. მიიღებდა თუ არა კლოზე ბურთს, ფანები მაშინვე **ლუკას პოდოლსკის** გვარის სკანდირებას იწყებდნენ, რომელმაც ლიხტენშტაინს ორი გოლი გაუტანა.

რა დაემართა **მიროსლავ კლოზეს?** ეს არის კითხვა, რომელიც საფეხბურთო გერმანიას დღეს ყველაზე მეტად აწუხებს. გერმანიის ნაკრებისა და „ბაიერნის" თავდამსხმელი სერიოზულ კრიზისშია. მას მერე, რაც 2002 წლის მუნდიალზე თავი გამოიჩინა და მოგვიანებით, „კაიზერსლაუტერნიდან" ბრემენის „ვერდერში" გადავიდა, ასეთი აჭრილი და უმაქნისი კლოზე არავის უნახავს. გოლები რომ ვერ გააქვს, ეს ერთი საკითხია და სხვა საქმეა ის, რომ მატჩის დროს სახეიროს ფაქტობრივად ვერაფერს აკეთებს.

„ჰერტასთან" მატჩში, როდესაც ბერლინული კლუბის კარისკენ თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, **ლუკა ტონიმ** პენალტისტ **ბასტიან შვაინშტაიგერს** სთხოვა, მოდი, კლოზეს დავარტყმევინოთო და მირომაც სწორედ ასე გაიტანა მიმდინარე სეზონში თავისი პირველი გოლი და ბუნდესლიგაში 674-წუთიანი უგოლო სერია დაასრულა. თუმცა კლოზეს მდგომარეობას ეს ვერ ამსუბუქებს, რადგან მირო სამადლოდ დარტყმული პენალტებით გოლების გატანას მიჩვეული არ არის.

ამბობენ, კლოზე ძალიან მგრძნობიარეა და ნებისმიერ საკითხს მტკივნეულად აღიქვამსო. მას ყოველთვის ჩუმი და ზედმეტად კეთილი ბიჭის სახელი ჰქონდა. არადა, პატარაც აღარაა და გამოცდილებაც საკმარისი აქვს იმისათვის, რომ ყველაფერს გაცილებით პრაგმატულად მიუდგეს და სალი, რეალური თვალით შეხედოს. მირო უკვე 30 წლისაა და როგორც იტყვიან, ფეხბურთელისთვის იდეალური ასაკი სწორედ ახლა აქვს. რისი ბრალია კლოზეს კრიზისი, ეს შეიძლება, მხოლოდ თვითონ იცოდეს.

გერმანელები იმედოვნებდნენ, რომ მირო ლიხტენშტაინთან მაინც გაიხსენებდა ძველ დროს, მაგრამ რაც უნდა გასაკვირი იყოს, ჯუჯა გუნდთანაც კი ვერაფერი შეძლო. თვითონ ის ფაქტიც, რომ შესვენების შემდეგ, მოედანზე გამოსულს კაპიტნის სამკლაური გასახდელში დარჩა, ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს.

ექსპერტები ეჭვობენ, იქნებ პირად ცხოვრებაში აქვს პრობლემებიო, მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, ვერავინ გაიგებს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. ფაქტი ის არის, რომ მირო აღარ არის თავდაჯერებული. ფაქტია ის, რომ მას აღარ სჯერა საკუთარი თავის, იმის, რომ საგოლე ალღო ძველებური აქვს და კვლავ ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია, რომელიც შესანიშნავად თამაშობს თავით.

ლიხტენშტაინთან (6:0 გერმანიის ნაკრების სასარგებლოდ) მან ჯერ ერთი ყოვლად უმისამართო პასი გააკეთა, მერე კი ძალიან რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, როცა მეკარესთან მარტო მყოფმა ბურთი კარს 10 მეტრიდან ააცილა. ერთი სიტყვით, ეს აღარ არის ის კლოზე, რომელიც ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. არადა, „ბაიერნში" მისი კარიერა შესანიშნავად დაიწყო. შარშანდელ სეზონშიც **ფრანკ რიბერისთან** და **ლუკა ტონისთან** ერთად შესანიშნავ სამკუთხედს ქმნიდა და გოლები გაჰქონდა. დღეს კი, მოედანზე მისი მოქმედებები იმდენად შორსაა ნამდვილი კლოზეს მოქმედებებისგან, რომ გეგონებათ, მინდორზე მისი ორეული დარბის, ნამდვილი მირო კი სადღაც სხვაგანაა.

ფაქტი ერთია: შეუძლებელია, თავდამსხმელს გოლების გატანა დაავიწყდეს, კარგ ფეხბურთელს კი ფეხბურთის თამაში. შესაბამისად, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უკვე ძალიან ბევრი ფიქრობს, რომ მას ან პირადი პრობლემები აქვს, ანაც ფსიქოლოგიური. თუმცა ეს ზუსტად არავინ იცის და პრინციპში, არც არავის საქმე არ არის. სხვა მხრივ, გერმანიის საფეხბურთო კავშირი ფსიქოლოგ **ჰანს-დიტერ ჰერმანს** ხელფასს სწორედ იმაში უხდის, რომ ამ უკანასკნელმა ფეხბურთელების ფსიქიკაზე იზრუნოს და საჭიროების შემთხვევაში მათ დახმარება აღმოუჩინოს.

საუკეთესო ფორმაში მყოფ კლოზეს არასდროს ეშლება პასი, იდეალურად ირჩევს პოზიციას და გარდა იმისა, რომ კარგ პასს თითქმის ყოველთვის იყენებს, თვითონაც შეუძლია ასისტენტობა გაწიოს და თავისივე შექმნილი მომენტი გოლად აქციოს. დღეს კი ტვინი აქვს არეული, უაზროდ დარბის და პოზიციებს ვერ ირჩევს.

მოკლედ, კლოზე ერთ დიდ გამოცანად იქცა, რომლის ამოხსნასაც ვერავინ ახერხებს. ლიხტენშტაინთან მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს უთხრა, არანაირი პრობლემები არ მაქვს, თავს კარგად ვგრძნობო, მაგრამ ფაქტია, არ დაეჯერება. გაცუდებული საგოლე მომენტი მან ასე ახსნა: „მეგონა, თამაშგარე მდგომარეობაში ვიყავი." ის ალიბებს ეძებს.

გარდა იმისა, რომ პენალტი აჩუქეს და როგორც გერმანიის ნაკრების, ასევე „ბაიერნის" ფეხბურთელებიც ცდილობენ, თამაშში რაც შეიძლება ხშირად ჩართონ, კლოზე თავს ველარ აკონტროლებს და ეს იმდენად თვალსაჩინოა, რომ ყველა ამჩნევს. მისი მწვრთნელებიც ყველაფერს ეცადინენ: **იურგენ კლინსმანი** და **იოახიმ ლიოვი**, მიუხედავად ყველაფრისა, სასტარტო შემადგენლობაში თამაშის გარანტიას აძლევენ. ლიხტენშტაინთან სულაც კაპიტნის სამკლაური ემოსა (**ბალაკის** არყოფნის გამო), რომელიც, როგორც იცით, შესვენებაზე გასახდელში დარჩა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ლიოვი და კლინსმანი მისდამი რწმენას არ კარგავენ. ლიოვი ამბობს, რომ მირო ოთხშაბათს, ფინეთთანაც ძირითად შემადგენლობაში იქნება გამწესებული. ეს კი, უკვე სპეციალურ თერაპიას ჰგავს.

ლიოვი: „რეალობის შეგრძნება არ დამიკარგავს, ყველაფერს ვხედავ და ვგრძნობ, რომ კლოზემ აუცილებლად უნდა ითამაშოს. მას შესანიშნავი თვისებები აქვს, რაზეც უარს ვერ ვიტყვით."

გერმანიის ნაკრებში მიროს 83 მატჩი აქვს ჩატარებული და 41 გოლი გატანილი. 2006 წლის მუნდიალის წინ მან ბუნდესგუნდის ბანაკი ოჯახური პრობლემების გამო ორი დღით დატოვა და მერე მსოფლიოს ჩემპიონატზე შესანიშნავად იასპარეზა. იქნებ ახლაც სჭირდება რამდენიმე დღე განტვირთვისთვის?

**გოტფრიდ ლენცი**

დორტმუნდი

# კლოპი: ღმერთს ყოველდღე ვესაუბრები



**ის ფეხბურთით ცხოვრობს და ისე უყვარს ფეხბურთი,** როგორც არავის! დორტმუნდის „ბორუსიის" მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** სპორტის ამ სახეობაზე ფანატიკურად შეყვარებული კაცია. როდესაც მისი „ბორუსია" თამაშობს, 41 წლის მწვრთნელი პირველიდან ბოლო წუთამდე ფეხზე დგას და სათადარიგოთა სკამს არ ეკარება. იურგენი მოედანზე მიმდინარე მოვლენებს ხელ-ფეხით აჰყვება ხოლმე და თითოეულ მომენტს ნებისმიერ ფეხბურთელზე მეტად განიცდის. ფეხბურთი მისი სტიქიაა.

„იმპულსური ვარ და ემოციებს ვერ ვიოკებ. ვფიქრობ, ამაში ცუდი არაფერია," - ამბობს კლოპი და სწორედ ეს არის იმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რისთვისაც „დორტმუნდის" ფანებს მასზე მზე და მთვარე ამოსდით. ფეხბურთი ხომ უყვარს, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი რამ, განსაკუთრებით პირადული მხარე... კლოპი და მისი რწმენა!

კლოპი: „რწმენა ჩემი ცხოვრების უმთავრესი ნაწილია. ოჯახსა და მეგობრებთან ერთად, ეს უმნიშვნელოვანესია რამაა. ღმერთს ყოველდღე ვესაუბრები. ლოცვა ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალია."

მართალია, ეკლესიაში ხშირად არ დადის და არც მესას ესწრება, მაგრამ...

კლოპი: „რაც უნდა დამღლელი დღე მქონდეს, თუნდაც ისეთი, რომ საღამოს 7 საათზე ჩამეძინოს, დღეს ყოველთვის ღმერთთან საუბრით, ლოცვით ვამთავრებ."

ბავშვობაში იურგენი ბებიას ეკლესიაში დაჰყავდა. **კლოპი ღიმილით იხსენებს, ბებიაჩემს** ტაძარში ყოველთვის ჩაეძინებოდა ხოლმეო. პატარა იურგენი კი ჯერ კიდევ მაშინ იხიბლებოდა იმ სიმშვიდით, რომელიც ეკლესიაში ეუფლებოდა.

დღესდღეობით მას ტაძარში სასიარულოდ თითქმის არ სცალია, მაგრამ როგორც კი თავისუფალ დროს გამონახავს, მეუღლე ულასთან ერთად ყოველთვის სალოცავად მიდის. თვითონ კლოპი პროტესტანტი ქრისტიანია, ულა კი კათოლიკე.

„ძალიან ბევრი მიზეზი მაქვს იმისათვის, რომ ღმერთს მადლობა გადავუხადო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ როცა ცუდად ვარ, რწმენა მეკარგება. პირიქით, როდესაც ძალიან ცუდად ვყოფილვარ და ასეთი შემთხვევა ძალიან ხშირად ყოფილა, რწმენა ოდნავადაც არ შემრყევია," - ამბობს 41 წლის მწვრთნელი.

შესაბამისად, არც ისაა გასაკვირი, რომ იურგენს ძალიან არ უყვარს გამოთქმა - ფეხბურთის ღმერთი. კლოპი: „არსებობს უამრავი, გაცილებით მნიშვნელოვანი რამ, ვიდრე ფეხბურთია. ასე რომ, ღმერთს გაცილებით მეტი საზრუნავი აქვს, ვიდრე ფეხბურთია. შესაბამისად, არასდროს მომივა აზრად ის, რომ რთული მატჩის წინ მოგებისთვის ვილოცო. მე ღმერთს მხოლოდ ძალას და განონასწორებას ვთხოვ, რათა ყველაფერი, რაც ჩემ გარშემო ხდება, რეალურად შევაფასო და შეცდომები არ დავუშვა."

**გოტფრიდ ლენცი**

მწვრთნელი და რწმენა. რა სიტყვაა ფეხბურთის ღმერთი?




ოცნება ბერნაბეუზე

# თქვენ ისე გიყვართ რეალი, როგორც მე?

## მანჩესტერის ნების საწინააღმდეგოდ წასვლა არასოდეს მიფიქრია



**თუკი თქვენ კრისტიანო რონალდოსთან ინგლისელი ჟურნალისტის საუბრის ჩანაწერებს გადაიკითხავთ, აუცილებლად გაგიჩნდებათ შეგრძნება, რომ პორტუგალიელი ვარსკვლავი "მანჩესტერში" ცოდვაა, მაგრამ ემოციებს ნუ აჰყვებით. ასევე გაგიჩნდებათ შეკითხვა, კი მაგრამ, მადრიდში რა ასეთი თაფლი იშოვება, ბუზი ბაღდადიდან კი არა, იმაზე შორიდან რომ ეტანება. რა განსაკუთრებული ნიშანი აქვს ამ გუნდს, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა ყველა ფეხბურთელი დედამიწის ზურგზე ბერნაბეუზე ბურთის გაგორებაზე ოცნებობს. კონკრეტულად რონალდოს რა თაფლიც უყვარს, მაგის ეჭვი დიდი ხანია გვაქვს, მაგრამ ახლა ჩვენს ეჭვებს აღარ დავაკონკრეტებთ.**

"ორი წლის წინ ვიყავი მადრიდში, "სანტიაგო ბერნაბეუს" მუზეუმი დავათვალიერე. ექსკურსია იქ ათი ევრო ღირს, უფრო ძვირი, ვიდრე მსოფლიოში არანაკლებ სახელგანთქმული პრადოს მუზეუმი, იქვე, რამდენიმე კილომეტრში... ყოველ შემთხვევაში ორი წლის წინ ასე იყო," - იხსენებს **კრისტიანო რონალდო**. ვარსკვლავის განცხადებით, არც მანამდე იყო ეს საიდუმლო ვინმესთვის და არც ახლა გამოაცხადებს ასეთად სურვილს, რომ სურს ესპანეთში, კონკრეტულად "რეალის" შემადგენლობაში ამ სტადიონზე ითამაშოს. პორტუგალიელმა იქვე დაამატა, რომ მას ოდნავი ილუზიაც კი არ ჰქონია იმასთან დაკავშირებით, გაუშვებდნენ თუ არა "ოლდ ტრეფორდიდან". იცოდა რა, რომ **სერ ალექს ფერგიუსონი** ხანდახან პრინციპის გამო ჯიუტობს, როცა მას არ უჯერებენ. ამიტომ რონალდო მუხლმოდრეკილი ეხვეწება ფანებს, რომ გაუგონ მას, ყოველ შემთხვევაში შეეცადონ მაინც, რადგან "ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ ვიგრძენი, რომ რაღაც ახალი მიზანი მჭირდებოდა ცხოვრებაში, ახალი გამოწვევა. მე ხომ "რეალში" თამაშის სურვილი არასოდეს დამიმალავს და საფინალო სასტვენის შემდეგ ჩავთვალე, რომ უკვე შეიძლებოდა სულ სხვა თავგადასავლები მეძებნა." შეიძლება, მისი ეს სურვილი გაიგოს ადამიანმა, მაგრამ ერთი ცნობილი ფილმისა არ იყოს, როგორ უნდა გაუგოს მას გულშემატკივარმა, თუკი ამაზე არ ლაპარაკობს? დიახ, პორტუგალიელს მსგავსი სურვილი ხმამაღლა არასოდეს დაუფიქსირებია. ამირანი კიდევ გულში რას მღეროდა, ყოველთვის ძნელად მისახვედრი იყო. არადა, მას მშვენივრად ესმოდა, რომ მისი ოცნება ამ ეტაპზე გულუბრყვილობა იყო და მეტი არაფერი. "მინდოდა სახლთან და ჩემს ოჯახთან მაქსიმალურად ახლოს ვყოფილიყავი. წარმოიდგინეთ, მადრიდიდან მადეირამდე სულ რაღაც ერთი საათის ფრენა დამჭირდებოდა მათ სანახავად. ჩემი გუნდის ხელმძღვანელობასა და, კონკრეტულად, მთავარ მწვრთნელს ესმით ჩემი არგუმენტების... მაგრამ მაინც არ იზიარებენ. ახლა ვხვდები, რომ როცა ჩემს ოცნებაზე ხმამაღლა ლაპარაკი დავიწყე, უკვე გვიანი იყო. შევცდი იმაშიც, რომ სრული პასუხისმგებლობა ჩემი ტრანსფერის შესახებ კლუბის ხელმძღვანელობას დავაკისრე, ამით უამრავი ჭორისა და სპეკულაციის გავრცელებას შევუწყვე ხელი. მთელი სპორტული სამყარო ამ თემაზე ალაპარაკე. არადა, მხოლოდ ის ვთქვი, რასაც ვფიქრობდი, "რეალში" გადასვლა მინდა მეთქი. რატომღაც ჩავთვალე, რომ შესაბამისი მომენტი იდგა." ასეთი შეცდომები ხდება და კარგია, რომ კრისტიანო თავადვე მიხვდა საკუთარ "დანაშაულს". უშეცდომო არავინ არის, მით უფრო, 23 წლის ასაკში.

"მესმის, რომ საზოგადოება არ არის ვალდებული იფიქროს იმაზე, თუ როგორ ავიხდენ ბავშვობის ოცნებას. ეს არაა მათი სანერვიულო. უბრალოდ, ვიცოდი, რომ ჩემით დაინტერესება ძალიან დიდი იყო, გამახსენდა ბავშვობისდროინდელი ფიქრები და ამ ფიქრებმა გამიტაცა. გარწმუნებთ, ჩემპიონთა ლიგა რომ არ მოგვეგო, აქედან წასვლაზე არც კი ვიფიქრებდი. კიდევ ერთი რამე მსურს გითხრათ, "მანჩესტერ იუნაიტედის" ნების წინააღმდეგ მე არასოდეს წავიდოდი," - განაცხადა ფეხბურთელმა. "უბედური" რონალდოს გულისამაჩუყებელმა პოზიციამ შედეგი უკვე გამოიღო. ერთ-ერთ ბრიტანულ საფეხბურთო ფორუმზე მისმა ერთ-ერთმა მომხმარებელმა, რომელიც აცხადებს, რომ "წითელი ეშმაკების" გულშემატკივარია, უკრიტიკოდ მიიღო და დაიჯერა პორტუგალიელი ვარსკვლავის ცრემლიანი აღსარება, რომ ის არაფერ შუაშია, მხოლოდ ბავშვობის დროინდელმა ოცნებებმა აიძულა, "რეალში" გადასვლაზე ეოცნება... მოგეხსენებათ, უკვე 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ, ჩვენს დროში კი ოცნებებისა და მათ გახსენებაზე მოგვრილი ცრემლების ზრდასრულ ადამიანებს უკვე აღარ სჯერათ. გულუბრყვილობას, ეტყობა, სადღაც-სადღაც გასავალი ჯერ კიდევ აქვს. ხსენებულმა მომხმარებელმა ფრენკმა სიტუაცია ისე აღიქვა, თითქოს ზაფხულის ამ უმნიშვნელოვანეს საფეხბურთო ინტრიგას ორი მხარე ჰქონდა, სიკეთე და ბოროტება. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ამ ბრძოლაში ბოროტმა იმძლავრა და კეთილი რონალდო (ასევე კეთილი **რამონ კალდერონი**, რომელიც კეთილი ჯადოქარია, ბავშვური ოცნებების ახდენისთვის დაუღალავად მებრძოლი) დაამარცხა. ზემოთ აღწერილი ზღაპრის პრაქტიკული შედეგი უკვე ვიცით: რონალდოს "რეალში" თამაში სურს, "რეალს" რონალდოს გადაბირების სურვილი კლავს, მაგრამ "მანჩესტერ იუნაიტედს" სულ არ აინტერესებს, რა სურს ერთს ან მეორეს. მას თავისი ინტერესი აქვს და სანამ ეს ინტერესი იარსებებს, იქამდე პირველი ორის სურვილს ახდენა არ უწერია. გავიმეორებთ, რომ 21-ე საუკუნის უხეში რეალობა ასეთია. გნებავთ შეეგუეთ... პრინციპში სხვა გზა მაინც არ გაქვთ.

რაც შეეხება რონალდოს მანჩესტერული კარიერის პერსპექტივას: გარწმუნებთ, მიმდინარე სეზონში ყველაფერი ძველებურად იქნება. რატომ? რონალდო რაც უნდა გულუბრყვილოდ ცდილობდეს ჩვენთვის თვალში ნაცრის შეყრას, იმას ვერ დავუკარგავთ, რომ თავისი საქმის დიდი პროფესიონალია. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სადაც უნდა თამაშობდეს ის, "იუნაიტედში", "რეალსა" თუ იაროსლავლის "შინიკში" (თავისთავად ვადასტურებთ იაროსლაველთა მიმართ ღრმა პატივისცემას) ამას თავადაც ადასტურებს: "პროფესიონალი ვარ და ყოველთვის ასი პროცენტით დავიხარჯები იმ გუნდისთვის, სადაც ვითამაშებ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის დაფიქსირება, რომ თუკი ოდესმე აქედან სხვაგან სათამაშოდ გადავალ, მსურს, წავიდე იმისი ღრმა რწმენით, რომ იქამდე ყველაფერი გავაკეთე "მანჩესტერის" ტრიუმფისთვის."

ზედა აბზაცებში სიტყვამ ზღაპარი მოიტანა, ბარემ ასეთსავე სტილში დავასრულოთ: იმედი ვიქონიოთ, რომ კრისტიანო რონალდო აუცილებლად შეასრულებს სიტყვას, როცა წავა ამ კლუბიდან, წავა სწორედ გადახდილი ვალის შეგრძნებით და ამაყად თავაწეული. ვისურვოთ, რომ ოდესმე აუცილებლად ითამაშოს "რეალში" და... 20 წლის ფრენკს კარგად გამოძინება, ფერადფერადი სიზმრები და ძალების აღდგენაც ვუსურვოთ, რადგან წინ მთელი საფეხბურთო და არასაფეხბურთო ცხოვრება ელის. ჭირი იქა, ქატო აქა... თუ როგორ არის? დაგვავიწყებია... კარგად ბრძანდებოდეთ!

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსფერო ორომტრიალი



ბუნდესლიგა. 10 საუკეთესო დებიუტანტი

# დიეგოდან სალუმდე

გერმანიის ჩემპიონატის დაწყებიდან სამი ტური გავიდა და ამ სამ ტურში რამდენიმე ფეხბურთელი განსაკუთრებით გამოირჩა. პირველ რიგში აღნიშვნას „ჰოფენჰაიმის“ თავდამსხმელი ვედად იბიშევიჩი იმსახურებს, რომელმაც სამ ტურში 4 გოლის გატანა და 2 საგოლე გადაცემის გაკეთება შეძლო. უეჭველია ის, რომ განვლილ სამ ტურში იბიშევიჩი საუკეთესო იყო და წლევანდელი სეზონის საუკეთესო დებიუტანტის წოდებაც დაიმსახურა. არანაკლებ კარგი სტარტი აიღეს ბილეფელდის „არმინიის“ თავდამსხმელმა არტურ ვიხნიარეკმა, ლევერკუზენის ფორვარდმა პატრიკ ჰელმესმა და დორტმუნდის „ბორუსიის“ მცველმა ნევენ სუბოტიჩმა. ბუნდესლიგის ისტორიაში, სეზონი არაერთ ფეხბურთელს დაუწყია გრანდიოზულად და მოუხდენია ფურორი. ზოგიერთმა მათგანმა მომავალშიც კარგად განაგრძო, ზოგს კი ჩავარდნა დაეწყო. გთავაზობთ იმ 10 ფეხბურთელის რეიტინგს, რომლებმაც ბოლო წლებში საუკეთესო დებიუტი იზეიმეს.

### 1. დიეგო (ვერდერი, 2006/07)

ბოლო წლებში საუკეთესო დებიუტი უდავოდ „ვერდერის“ ბრაზილიელ პლეიმეიქერ დიეგოს ჰქონდა. თავად განსაჯეთ, ბუნდესლიგაში ჩატარებულ პირველსავე შეხვედრაში მან „ჰანოვერთან“ ანგარიში გახსნა და მერე ორი საგოლე გადაცემაც მიითვალა. მეორე ტურში, „ლევერკუზენთან“ ორი საგოლე პასი გააკეთა და ამრიგად, 2006/07 წლების სეზონში, „ვერდერის“ ჩინებული სტარტი მხოლოდ მისი დამსახურება გახლდათ. ჩვენი გაზეთის მკითხველს კარგად ეხსომება ის ეიფორია, რომელიც იმხანად დიეგოს შესანიშნავი და რაც მთავარია, შედეგიანი თამაშით იყო გამოწვეული.

### 2. მიროსლავ კლოზე (ბაიერნი, 2007/08)

როდესაც **მიროსლავ კლოზე** ბრემენის „ვერდერიდან“ „ბაიერნში“ გადავიდა, სეზონი არნახულად კარგად დაიწყო. რეკორდმაისტერის მაისურით ჩატარებულ პირველსავე შეხვედრაში მან დუბლი შეასრულა და ერთი საგოლე პასიც გააკეთა. პირველ 6 შეხვედრაში კლოზემ 8 გოლის გატანა მოახერხა, თუმცა მერე იმ სეზონში მხოლოდ 3 გოლის გატანაღა შეძლო. დღეს კლოზე ძალიან ცუდ ფორმაშია.

### 3. ჰამით ალთინთოფი (შალკე, 2003/04)

პირველ მატჩში, 58-ე წუთისთვის **ჰამითს** უკვე ორი გოლი ჰქონდა გატანილი და „შალკე“ 2:0-ს იგებდა. თანაც, გელზენკირხენული კლუბის მეტოქე იმ შეხვედრაში მოსისხლე მტერი დორტმუნდის „ბორუსია“ იყო. მატჩი საბოლოოდ 2:2 დასრულდა, მაგრამ შედეგს თურქი ნახევარმცველის ჩინებული დებიუტისთვის ჩრდილი არ მიუყენებია.

### 4. მარტინ მაქსი (ჰანზა, 2003/04)

ამაზე მეტი მართლაც შეუძლებელია: **მარტინ მაქსი** ბუნდესლიგაში ჩატარებული უკანასკნელი სეზონის დასაწყისში, „ჰანზას“ პირველ 7 გოლში მონაწილეობდა. აქედან 6 მისი გატანილი იყო. საბოლოოდ, იმ სეზონში მაქსმა 20 გოლის გატანა შეძლო.

### 5. მარსიო ამოროზო (ბორუსია დორტმუნდი, 2001/02)

„პარმადან“ 25 მილიონ ევროდ ნაყიდმა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა, დორტმუნდის „ბორუსიაში“ იდეალური დებიუტი იზეიმა და ფანებიც გადარია. პირველ სამ ტურში ის მოედანს უგოლოდ არ ტოვებდა. საერთო ჯამში კი, საწყის სამ შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა. საბოლოო ჯამში, **ამოროზომ** იმ სეზონში 18 გოლის გატანა შეძლო და მარტინ მაქსთან ერთად ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ამასთან, „დორტმუნდთან“ ერთად გერმანიის ჩემპიონობაც იზეიმა.

### 6. აილტონი (შალკე, 2004/05)

2005 წელს **აილტონმა** „შალკეში“ თამაში ინტერტოტოს თასზე გატანილი ორი გოლით დაიწყო და გელზენკირხენელ ქომაგებსაც იმედი მიეცათ, რომ ბრაზილიელი მათი გოლეადორი გახდებოდა. თუმცა ბუნდესლიგის პირველ ორ ტურში უგოლოდ დარჩა, მერე კი არასპორტულად მოიქცა და 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციაც მიიღო. მას მერე აილტონს „შალკეში“ ხეირიანი არაფერი გაუკეთებია და ერთ დროს ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირმა **ლევან კობიაშვილის** გუნდი მალევე დატოვა.

### 7. ლუკა ტონი (ბაიერნი, 2007/08)

შარშან იტალიელმა **ლუკა ტონიმ** „ბაიერნის“ ქომაგებს და ხელმძღვანელებს პირველსავე მატჩებში გაუმართლა იმედები. პირველ სამ ტურში მან სამი გოლი გაიტანა. პირველ რვა შეხვედრაში იტალიელმა მხოლოდ ერთხელ დატოვა მოედანი უგოლოდ. საბოლოოდ კი, 24 გოლით ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

### 8. სებასტიან დაისლერი (ჰერტა, 1999/00)

2000 წელს **სებასტიან დაისლერს** ბერლინის „ჰერტაში“ შთამბეჭდავი დებიუტი ჰქონდა. „ჰანზასთან“ 5:2-ზე მოგებულ შეხვედრაში სებამ გოლიც გაიტანა და საგოლე პასიც გააკეთა. სამი ტურის შემდეგ კი დაისლერს ორი გოლი და ორი პასი ჰქონდა.

### 9. სერგეი ბარბარესი (ბორუსია დორტმუნდი, 1998/99)

პირველ ტურში ბოსნიელმა მოედანზე მხოლოდ ბოლო 15 წუთი გაატარა. სამაგიეროდ, მეორე ტურში ძირითად შემადგენლობაში ათამაშეს და დუბლი შეასრულა.

### 10. ბაშირუ სალუ (აინტრახტი, 1999/00)

ტოგოელმა თავდამსხმელმა ბუნდესლიგაში მოღვაწეობა შესანიშნავად დაიწყო. პირველ ტურში „უნტერჰახინგთან“ გოლი გაიტანა და საგოლე გადაცემაც გააკეთა. ერთი კვირის შემდეგ კი დუბლი შეასრულა და „აინტრახტი“ გაალიდერა. **სალუმ** მე-3 და მე-5 ტურებშიც გაიტანა, მაგრამ მერე, პირველ წრეში ალარ უხეირია.

გოტფრიდ ლენცი

სერია A

# ვინ უფრო მეტი დახარჯა?

სერია A-ს ხუთმა გრანდმა ამ ზაფხულს ტრანსფერებზე დიდძალი თანხა დახარჯა. მოულოდნელად, ამ შოუში ლიდერი „ფიორენტინა“ აღმოჩნდა. „კალჩოს“ ექსპერტი სალვატორე ლანდოლინა ცდილობს, გაერკვეს, ვინ შეტოპა ამ თამაშში ღრმად და ვინ გამოძვრა იოლად...

იტალიური ფეხბურთის „დიდმა ბიჭებმა“ ახალი ფეხბურთელების შესაძენად ივლის-აგვისტოში 182 მილიონი ევრო გაიღეს. ყველა შეამჩნევდა „ფიორენტინას“ გაძლიერებას. ტოსკანურმა კლუბმა პირველად **ვიტორიო ჩეკი გორის** ეპოქის შემდეგ საუკეთესო სატრანსფერო კამპანია მოაწყო. აღნიშვნის ღირსია სპორტული დირექტორის **პანტალეო კორვინოს** ძალისხმევა, რომლის წყალობითაც „ვიოლამ“ დიდ მეტოქეებთან კიდევ ერთხელ გამართა პაექრობა.

„ფიორენტინამ“ დაადასტურა, რომ გრანდებისგან გამოწვევა მიიღო. ქვემოთ სერია A-ს მხარჯველთა ჩამონათვალს გთავაზობთ. მათ, ვისაც ჰგონიათ, რომ „მილანმა“ და „იუვენტუსმა“ საუკეთესოდ იმუშავეს, ყურადღებით დააკვირდნენ, როგორ გააცამტვერა „ფიორენტინამ“ გიგანტები.

აი, სერია A-ს დიდი მფლანგველების წლევანდელი სია.

### მილანი: 39 მილიონი ევრო

**უდიდესი შენაძენი:** *რონალდინიო 21 მილიონი ევრო, ჯანლუკა ძამბროტა 9 მილიონი ევრო*

„როსონერი“ მიხვდა, რომ დროა, დიდი ფული დაიხარჯოს გასული რამდენიმე სეზონის განმავლობაში აღებული პაუზის შემდეგ. „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტის **ადრიანო გალიანის** ძალისხმევით, მრავალი ფეხბურთელი მოვიდა და ასევე მრავალი წავიდა „მილანელოდან“. დიდმა მელოტმა მენეჯერმა მუშტების ქნევა მაშინ დაიწყო, როცა „ბარსელონამ“ **რონალდინიოს** გაყიდვაზე უარი თქვა, მაგრამ იტალიურმა გრანდმა 21 მილიონ ევროზე მაინც დაითანხმა ესპანური გუნდი, რონალდინიოც გალიანის მხარეზე აღმოჩნდა, მან თავადაც მოისურვა ესპანეთის დატოვება.

იტალიელ მენეჯერსა და „ბარსელონის“ პრეზიდენტ **ჟოან ლაპორტას** შორის ბიზნესგარიგება ამით არ დასრულებულა, რონის კვალს **ჯანლუკა ძამბროტაც** მიჰყვა. იტალიის ნაკრების ფეხბურთელს უპრიზო სეზონის შემდეგ „ბლაუგრანას“ დატოვება სურდა - „მილანმა“ 9 მილიონი ევრო „მოიძია ჩანთაში“ მის გადმოსაბირებლად. ძამბროტას მილანელობა ჯერ კიდევ 1999 წელს შეეძლო დაებევებინა, იქამდე სანამ „იუვეში“ გადავიდოდა.

### ფიორენტინა: 47 მილიონი ევრო

**უდიდესი შენაძენი:** *ფელიპე მელუ 15 მილიონი ევრო; ალბერტო ჯილარდინო 13 მილიონი ევრო*

„ვიოლა“ ბაზარზე დაბრუნდა მას შემდეგ, რაც **დელა ვალეს** ოჯახის მიერ უდიდესი ინვესტიციები გამოიყო მნიშვნელოვან საქმესთან შესაჭიდებლად. მრავალი კარგი ფეხბურთელის გადმობირების შემდეგ **ჩეზარე პრანდელის** შეგირდებისთვის რეალური გახდა სკუდეტოსა და ჩემპიონთა ლიგისთვის ბრძოლაც.

„ალმერიიდან“ ბრაზილიელი ნახევარმცველის, **ფელიპე მელუს** გადმოყვანა უდიდესი შენაძენი იყო. მელუ ლა ლიგაში დიდებულად გამოიყურებოდა. ამ ფეხბურთელის გადმოსაბირებლად „ფიორენტინამ“ მძიმე ბრძოლა მოუგო მადრიდის „რეალსა“ და „ბარსელონას“ - ალალი იყოს გამარჯვებას მოწყურებული კლუბისთვის. ბრაზილიელმა უკვე მოასწრო თავისი ოსტატობის დემონსტრირება. 15 მილიონი ევრო, ის თანხა, რაც კორვინომ მასში გადაიხადა, როგორც ჩანს, უცბად ანაზღაურდება.

მეორე უდიდესი შენაძენი იყო **ალბერტო ჯილარდინო**. „როსონერის“ „ვიოლამ“ ჯიბეში 13 მილიონი ევრო ჩაუჩხრიალა. „სან სიროზე“ სამი წარუმატებელი სეზონის შემდეგ მის კარიერას კვლავ აღმასვლა ელის. „მილანის“ ჩემპიონთა ლიგის მილმა დარჩენის შემდეგ მან სერია A-ს წლევანდელი სეზონის პირველსავე ტურში, „ფიორენტინას“ რიგებში „იუვეს“ გოლი გაუტანა. აშკარაა, ჯილარდინო ამართლებს გაცემულ დივიდენდებს. „კატანიიდან“ ასევე გადმოვიდა **ხუან მანუელ ვარგასი** 11 მილიონ ევროდ. **სტევან იოვეტიჩმა** კი 8 მილიონი ევრო გადაახდევინა კლუბს და ბანკიც დაიხურა.

### ინტერი: 49.2 მილიონი ევრო

**უდიდესი შენაძენი:** *რიკარდუ კვარეშმა 18,5 მილიონი ევრო; სულეიმან მუნტარი 17,7 მილიონი ევრო; ამანტინო მანსინი 13 მილიონი ევრო.*

**ჟოზე მოურინიოს** უნდოდა, რომ **ფრენკ ლემპარდს** წელს „ნერაძურის“ მაისურა მოერგო. იტალიურმა კლუბმა „ჩელსის“ ვერაფრით დაათმობინა ფეხბურთელი. „განსაკუთრებულ ადამიანს“ სხვაგან უნდა ეცადა ბედი.

**კვარეშმას** „პორტუდან“ გადმოყვანა დიდი თანხა დაჯდა. პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელი დიდი ენთუზიაზმით მოვიდა გუნდში, მაგრამ სკეპტიკოსებს არ სჯერათ, რომ მასში 16 მილიონის დახარჯვა ღირდა. არის თუ არა პანიკის საბაბი, ამას დრო დაგვანახვებს. პორტუგალიაში ადვილია კარგად თამაში, მაგრამ სერია A სრულიად განსხვავებული სამყაროა. მოურინიოს სჯერა, რომ მისი ძალისხმევა გაამართლებს.

პრემიერლიგაში გატარებული ერთი სეზონის შემდეგ სერია A-ს დაუბრუნდა განის ნაკრების ფეხბურთელი **სალიმ მუნტარი**, მაგრამ ნახევარმცველში გადახდილი 17,7 მილიონი ევრო ალბათ ზომაზე მეტია. მოურინიომ უკვე განაცხადა, რომ ჯობია განელმა შეცვლაზე ითამაშოსო. ეს ტრანსფერი ისეთი ადამიანის არჩევანს ჰგავს, რომელიც მდიდრულად ცხოვრებასაა მიჩვეული.

13 მილიონ ევროდ „რომადან“ **მანსინის** გადმოყვანა მშვენიერი გარიგებაა. „ინტერი“ დახარჯული თანხით „ფიორენტინას“ უტოლდება.

### იუვენტუსი: 30,2 მილიონი ევრო

**უდიდესი შენაძენი:** *კარვალიო ამაური 22,7 მილიონი ევრო; კრისტიან პოულსენი 7,5 მილიონი ევრო*

**ლუჩანო მოჯის, რობერტო ბეტეგასა** და **ანტონიო ჯირაუდოს** სახელოვანი ტრიოს დაშლის შემდეგ „ბიანკონერიმ“ სატრანსფერო ბაზრობაზე მონაწილეობა ასე ხმაურიანად პირველად მიიღო. „პალერმოდან“ **ამაურის** გადმოსვლას მაინცდამაინც დიდი აჟიოტაჟი არ მოჰყოლია. იტალიური პასპორტის მქონე ბრაზილიელში 22,7 მილიონი ევროს გადახდა „როზანეროს“ პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინისთვის** სასაცილოდ არ ღირდა. „ბებერი ქალბატონი“ წინდაუხედავად ჩაება ამ საქმეში და ვგონებთ, არც იცის, სინამდვილეში ვის ყიდულობს.

„სევილიიდან“ პოულსენის გადმოსვლას ასევე სკეპტიკურად უყურებენ. დანიელი ვარსკვლავმა, რომელმაც ევრო 2004-ზე **ფრანჩესკო ტოტისგან** ფურთხი მიიღო, ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ ღირდა მისი გადმობირება, რათა დაიცვას „იუვე“ იმის მტკიცებისგან, რომ ის გაუთვალისწინებლად ხარჯავს ფულს.

### რომა: 39,75 მილიონი ევრო

**უდიდესი შენაძენი:** *ჟერემი მენეზი 14 მილიონი ევრო; მირკო ვუჩინიჩი 12 მილიონი ევრო; ჟულიო ბაპტიშტა 9 მილიონი ევრო*

„რომამ“ გვიან დაიწყო თანხის ხარჯვა, მაგრამ მან თითქმის 39 მილიონი ევრო გაიღო ბოლო კვირების განმავლობაში, სანამ სატრანსფერო ფანჯარა დაიხურებოდა. მთელი ყურადღება გადატანილი იყო თავდასხმის ხაზის გაძლიერებაზე და მათ ეს სატრანსფერო საქმეში მთელი ნიჭის დემონსტრირებით მოახერხეს. სიურპრიზი იყო „მონაკოდან“ **ჟერემი მენეზის** გადაყვანა. ფრანგების 21-წლამდელთა ნაკრების წევრი 14 მილიონ ევროდ გადაიბირეს, რაც ძალიან ბევრია ისეთი ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის, რომელმაც მხოლოდ ფრანგულ ლიგაში მოასწრო ოსტატობის დემონსტრირება. **ლუჩანო სპალეტი** დიდ რისკზე წავიდა, მაგრამ სჯერა, ახალი შენაძენი რაღაც განსაკუთრებულს შემატებს მის მხარეს.

კიდევ ერთ დიდ გარიგებას წარმოადგენდა „რეალიდან“ **ჟულიო ბაპტიშტას** ტრანსფერი. ამან კლუბის მისწრაფებებში ცვლილებების სიგნალი მოგვცა. დაირღვა თანხის ხარჯვის ძველებური წესი, რომელიც ითვალისწინებდა 2,5 მილიონი ევროს ხარჯვას ყოველ სეზონში. „ცხოველი“ (ბაპტიშტას მეტსახელი), როგორც ჩანს, ნახევარდაცვაში ითამაშებს (და არა თავდასხმაში), მაგრამ მან უნდა სცადოს, დაიმკვიდროს ადგილი სერია A-ში. ბრაზილიელები ყოველთვის განსაკუთრებულები არიან და ბაპტიშტას, ალბათ, მოუხდება **ამანტინო მანსინის** მიერ დატოვებული სიცარიელის შევსებაც.

„რომამ“ ამ ზაფხულს 12 მილიონი ევრო გადაუხადა „ლეჩეს“ იმის დასამტკიცებლად, რომ სრული უფლება აქვს **მირკო ვუჩინიჩზე**. ადრე ის სამხრეთულ კლუბს ნაწილობრივ ეკუთვნოდა.

მოკლედ, 11 ფეხბურთელზე 182 მილიონ ევროზე მეტი დაიხარჯა. ყველაფერს ფული წყვეტს, თამაშიც დამოკიდებულია ევროზე და ბიზნესი უფროა, ვიდრე სპორტი.

მოამზადა
დავით ჩუბინიძემ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. პეკინი 2008. ოლიმპიური ჩემპიონები. ინტერვიუ მენუჩარ კვირკველიასთან

# ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს...



უნებურად შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ფინალი გამახსენდა - 74 კილოში მაშინ **მანუჩარ კვირკველია** ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ **რაფაელ მარტინეტის** ფავორიტ შვეიცარიელ **რეტო ბუჩერს** დაუპირისპირდა. მსაჯებმა პირველი პერიოდი ჩვენებურს აშკარად წააგებინეს. მეორე რაუნდში ქართველმა ფალავანმა წონასწორობა ალადგინა, მესამეში კი ძალოსანივით მკერდამდე აიტაცა შვეიცარიელი, გემრიელად ჩაიხუტა გულში, მერე ამოატრიალა და ხალიჩაზე რომ დაახეთქა, ნირწამხდარ არბიტრებს ეგონათ, იატაკი ჩაინგრაო.

თითქმის ანალოგიური პეკინშიც განმეორდა, ისიც - ფინალში: მანუჩარმა მასპინძელთა კერპი **იონგ-სიან ჩანი** უკუსარტყლიდან ეფექტური გდებით ისე დაანარცხა ხალიჩას, მეტოქეს კი არა, ლამის მთელ ჩინეთს თავბრუ დაესხა.

ძნელი გზა გაიარა კვირკველიამ ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე, თანაც ისეთი ზიგზაგებით, რომ გულშემატკივრები გვარიანად გვანერვიულა. ოზურგეთში დაბადებული და გაზრდილი 29 წლის ფალავანი (თავიდან **გურამ მაჭარაშვილთან** ვარჯიშობდა, კარგა ხანია **ბეგი დარჩიასთან** იმაღლებს ოსტატობას) გამოცდილი მოჭიდავეა, სახელოვანიც - 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა, ევროპის ჩემპიონატზე კი ერთი საფეხურით დაწინაურდა. მომდევნო წელს პლანეტის უძლიერეს ფალავნებთან პაექრობაში ყველას აჯობა. შარშანწინ ბრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილდა. შარშან სოფიაში ერთი ამოსუნთქვით მოიგო კონტინენტის პირველობა, ხოლო ბაქოში სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე ხელი მოეცარა - მეორე წრეში თითქმის უბრძოლველად დანებდა გერმანელ **კონსტანტინ შნაიდერს** და, მედალს ვინ ჩივის, უსაგზუროდ დარჩა. ამას კი არავინ მოელოდა. თავადაც.

ემოციური პიროვნებაა მანუჩარ კვირკველია. ძალიან განიცადა მარცხი. დეპრესიული მდგომარეობიდან გამოსასვლელად დიდი დრო დასჭირდა - ოჯახის წევრები და მეგობრები დაუდგნენ გვერდით. შეძლო ნერვების მოთოკვა და გულმოდგინედ შეუდგა ვარჯიშს. შარშან, წლის მიწურულს, მისგან ინტერვიუს რომ ვიღებდი, აუცილებლად ოლიმპიურ კვარცხლბეკზე უნდა ავიდეო, მითხრა.

წლევანდელი სეზონი იღბლიანად დაიწყო: უნგრეთში ჯერ მსოფლიოს თასზე მოიგო ერთი შეხვედრა. ტრავმამოუშუშებელმა იქვე საერთაშორისო ტურნირზე კიდევ სამ მეტოქეს სძლია. ბორჯომის საწვრთნელი შეკრების შემდეგ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ კვირკველია ევროპის ჩემპიონატზე წასასვლელი გუნდის შემადგენლობაში არ დააყენა.

- ეს იყო გონივრული გადაწყვეტილება, - მითხრა მანუჩარმა. - მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი ჩვეულ ფორმაში, წონაც უნდა დამეკლო. გვეეჭვებოდა, შევძლებდი კი კონტინენტის პირველობაზე მეტოქეთა დამარცხებას, რომ პეკინის ერთადერთი საგზური დამესაკუთრებინა. ვარჩიეთ, უფრო მშვიდად მოვმზადებულიყავი რომის სალიცენზიო ტურნირისთვის, სადაც ოლიმპიადის ოთხი საგზური თამაშდებოდა.

იტალიის დედაქალაქში საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან უსაგზუროდ დარჩენილ ბევრ სახელოვან ფალავანს სწორედ აქ უნდა დაემტკიცებინა მკლავისა და მუხლის ძალა. მათ შორის გახლდათ მანუჩარ კვირკველია. სტარტზე მან კანადელ **კოლინ დეინესს** იოლად სძლია (6:0, 6:0). მეორე წრეში **ვარტერეს სამურგაშევს** დაუპირისპირდა. 29 წლის რუსი მოჭიდავე საკმაოდ გამოცდილია და ტიტულიანიც. შეჯიბრებებზე მას შეძლებული ძმები დაჰყვებიან. მოსკოვში 2006 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში არბიტრებმა კვირკველიას ფანდი რატომღაც სამურგაშევს ჩაუთვალეს და ფინალში გაიყვანეს. ქართველი ფალავანი კი „ბრინჯაოს" დააჯერეს. ეს ეპიზოდი კარგად ახსოვდა მანუჩარს და მასთან პაექრობისას ფრთხილობდა. საბედნიეროდ, ამჯერად თემიდის წარმომადგენლებმა პატიოსნად იმსაჯეს. ჩვენმა მოჭიდავემ შეხვედრა 2:1 მოიგო. მომდევნო ორთაბრძოლებში მან ესტონელ **ეერიკ აპსს**, შვედ **ბაბულფატს**, აზერბაიჯანელ **აბდულოვსაც** დააყრევინა ფარ-ხმალი და პირველ ადგილთან ერთად პეკინის საგზურსაც დაეუფლა.

ჩინეთის დედაქალაქში გამგზავრებამდე ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრებები გაიარა წახკაძორში (სომხეთი), მინსკსა და ბორჯომში; ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა. ის იყო, პეკინში წასასვლელად ემზადებოდა, რომ წინა დღით ავტომანქანა დაამტვრია. შინ უხასიათოდ დაბრუნებულს ჩვეულებისამებრ ინგა შეეგება. დალვრემის მიზეზი რომ შეიტყო, გაუღიმა და ეს ბედნიერების ნიშანიაო, უთხრა მეუღლეს.

- ინგა არაჩვეულებრივი პიროვნებაა - იგი არა მარტო მეუღლე, არამედ უახლოესი მეგობარიცაა, - მითხრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა. - ჩემს გამარჯვებაში მასაც მიუძღვის დიდი წვლილი. სწორედ მან შემაგულიანა პეკინში გამგზავრების წინ - 29 წლის ხარ, 29-ე ოლიმპიადაა და აუცილებლად მოიგებო; 13 აგვისტოს იჭიდავებ, მაგრამ ნუ გეშინია, შენთვის ბედნიერი რიცხვია, რადგან 13 ოქტომბერს დაიბადე, ისიც ნუ დაგავიწყდება, 13 აგვისტოს გოგონა შეგვეძინება და ხელცარიელი ხომ არ დაგვიბრუნდებიო. საკვირველია, მაინც ამდენი როგორ დაემთხვა.

**- ამის შემდეგ, ბიჭი ხარ და, ჩემპიონი ნუ გახდები, არა?**

- ჰო, მაგრამ საქართველოზე რუსეთის აგრესიამ ყველას თავგზა აგვიბნია. ხომ იცით, ოლიმპიადის დატოვებაც კი გვინდოდა. როგორი საქმეა, ათასობით კილომეტრი გაშორებს სამშობლოს, რომელსაც გიბომბავენ. ნათესავები, ახლობლები, მეგობრები განსაცდელში არიან, შენ კი ყველაფერი ეს უნდა დაივიწყო სარბიელზე გასვლის წინ და მხოლოდ მეტოქის დამარცხებაზე იფიქრო. ღმერთი გაახარებს **ნინო სალუქვაძეს** - მან მოგვცა საკუთარი თავის ძლევისა და ვაჟკაცობის მაგალითი. მისი მედალი ჩვენთვის უდიდესი სტიმული იყო...

13 აგვისტოს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს რუსი აგრესორები ბომბავდნენ, ბევრ ქალაქსა და რაიონში ჩვენი „უფროსი ძმების" ტანკები და ქვემეხები გრუხუნებდნენ, მაგრამ იმ დღეს თითქმის მთელი საქართველოს ყურადღება პეკინისკენ იყო მიპყრობილი: ჩინეთის დედაქალაქში ქართველმა ბიჭებმა ორი ოლიმპიური ოქროს მედალი დაისაკუთრეს. ერთ-ერთის მფლობელი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე მანუჩარ კვირკველია გახლდათ. პირველ წრეში მან ფრანგ **კრისტოფ გენოს** მოუგო, შემდეგ გერმანელ კონსტანტინ შნაიდერთან ბაქოს მსოფლიოს ჩემპიონატზე დამარცხებისთვის აილო ღირსეული რევანში, ნახევარფინალში წლევანდელი ევროპის ჩემპიონი უნგრელი **პეტერ ბაში** დააჩოქა, გადამწყვეტ პაექრობაში კი ჩინელ ჩანს აჯობა.



**- კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მდგარს ისეთი სახე გქონდა, თითქოს რიგითი საერთაშორისო ტურნირი მოგეგოს...**

- ჩემი ქვეყნის განსაცდელმა ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვებით გამოწვეული სიხარული დამიჩრდილა. იმწუთას მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, ომით გაწამებულ ქართველებს ოდნავი შვება მაინც თუ მოვგვარე-მეთქი. დოპინგ-კონტროლის ოთახში რომ შემიყვანეს, ჩვენმა ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა ოჯახთან ტელეფონით დამაკავშირა. ინგას პირველი ის ვკითხე, შვილი თუ შეგვეძინა და საქართველოში რა მდგომარეობაა-მეთქი. მხოლოდ ამის შემდეგ ვისაუბრეთ ჩემს გამარჯვებაზე. ყველაზე მეტად ის გამიხარდა, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება დაიდო.

**- ყოველივეს მიუხედავად, მთელმა მსოფლიომ დაინახა, ხუთჯვრიანი დროშით როგორ შემოურბინე სარბიელს.**

- ეს იყო სიმბოლური მომენტი: ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს, რომ საქართველოს ეროვნული დროშა ყოველთვის ლაღად იფრიალებს და ვერავითარი აგრესიული ძალა მას ხელს ვერ შეუშლის.

**- სხვა ქვეყნების წარმომადგენლები თუ გამოხატავდნენ ჩვენდამი თანაგრძნობას?**

- რა თქმა უნდა. მოდიოდნენ ჟურნალისტები, სპორტსმენები. ყველაფერი აინტერესებდათ საქართველოზე. ამგვარი რამ პირველად ვნახე შეჯიბრებებზე. დაჯილდოების შემდეგ შნაიდერმა დამამშვიდა - ნუ გეშინია, რუსების თარეში თქვენს ქვეყანაში მალე დამთავრდებაო.

**- როგორც ვიცი, ქალიშვილის დაბადების შესახებ პეკინის აეროპორტში შეიტყვე.**

- ექიმების გამოთვლით, მარიამი 13 აგვისტოს უნდა დაბადებულიყო. ეტყობა, ჩემს დაბრუნებას ელოდებოდა (ეცინება). მე ხომ ვაჟიშვილიც ორი წლის წინათ მაშინ შემეძინა, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებისას შეკრებაზე რომ ვიყავი. აბა, მარიამმა რა იცოდა, პეკინის აეროპორტის თანამშრომლები რომ დაგვალალატებდნენ და შინ დაბრუნებას ერთი დღით გადაგვივადებდნენ. მთავარია, ჯანსაღი ბავშვი დაიბადა, ინგაც კარგადაა. 26 აგვისტოს აეროპორტიდან პირდაპირ სამშობიაროში მოვინახულე ცოლ-შვილი. ჩემი ვაჟი კი თვითმფრინავის ტრაპთან დამხვდა.

**- სამომავლოდ რას აპირებს 30 წლის ოლიმპიური ჩემპიონი?**

- ჯერ ოცდაცხრის ვარ, ოცდაათი 13 ოქტომბერს შემისრულდება. ჯანზე ვარ და სპორტში ვრჩები. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

**- ოცნება, რომელიც ჯერ არ აგსრულებია...**

- რაც თავი მახსოვს, ჩემი ხალხი და ქვეყანა იბრძვის. დაილალა ერი და ბერი. უფალს ვთხოვ, ომი მალე დამთავრდეს. გამთლიანდეს და გაძლიერდეს ჩემი სამშობლო.

**- ღმერთმა გისმინოს!**

- ამინ!

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

კალათბურთი. ინტერვიუ დავით უსტიაშვილთან

# ლუქსემბურგი–ირლანდიის გზაზე



დავით უსტიაშვილი

**საქართველოს ნაკრებმა საკვალიფიკაციო ეტაპი ლუქსემბურგთან გამარჯვებით დაიწყო. ეს მნიშვნელოვანი გამარჯვებაა, მაგრამ გზადაგზა საქმე ერთიორად რთულდება. 10 სექტემბერს გაცილებით ძლიერ ირლანდიას ვსტუმრობთ, ხოლო შემდეგ სლოვაკეთსა და შვედეთში გავდივართ. კალათბურთის ფედერაციის საიტზე (h) გამოქვეყნდა იგორ კოკოშკოვის თანაშემწის, დავით უსტიაშვილის ინტერვიუ, რომელშიც იგი ლუქსემბურგთან თამაშსაც იხსენებს და ირლანდიასთან დაპირისპირებაზეც საუბრობს. მეტს აღარ განვაგრძობთ, გაეცანით ნაკრების მწვრთნელის ინტერვიუს.**

**– კმაყოფილი ხართ ჩვენი გუნდის თამაშით?**

– საბოლოოდ 33 ქულით გავიმარჯვეთ, რაც ცოტა ნამდვილად არ არის, მაგრამ მეტით მოგებაც შეიძლებოდა. თავიდან ცოტა მძიმედ დავიწყეთ, მაგრამ ნელ-ნელა თამაში გამოვასწორეთ და მთლიანობაში კმაყოფილები ვართ.

**– რომელ სათამაშო კომპონენტს გამოარჩევთ?**

– ყველა რგოლში ნორმალურად ვითამაშეთ, თუმცა ხარვეზები დაცვაშიც გვქონდა და შეტევაშიც. კომბინაციების გათამაშებაც სულ არ გამოგვივიდა. იყო მომენტები, როცა ყველაფერს კარგად ვართმევდით თავს, თუმცა რაღაცები არ გამოგვდიოდა. დღეს დავბრუნდით ავსტრიაში და სალამოს ვარჯიშზე მოგვეცემა ლუქსემბურგთან მატჩის ვიდეოფირის ნახვისა და ყველაფრის გაანალიზების შესაძლებლობა.

**– ჩვენი ხუთეულის ყველა წევრი ასცდა 10-ქულიან ზღვარს. ეს გუნდურ თამაშზე მიუთითებს...**

– ძალიან კარგია, რომ უწინდელივით ერთ მოთამაშეზე არ ვიქნებით დამოკიდებულნი. გუნდში არაერთი მოთამაშეა, რომელსაც შეუძლია ლიდერობა შეითავსოს.

**– ზაზა ფაჩულიას 3 პასი დაუგროვდა, რაც ტაირონ ელისის იმავე მონაგართან ერთად საუკეთესო შედეგი იყო ამ მატჩში.**

– მართლაც კარგი ამბავია, რომ ზაზა ფაჩულიას ბოლო მატჩებში პასები უგროვდება. მას გაცილებით მეტი შედეგიანი გადაცემა ჰქონდა, მაგრამ არ ჩაუთვალეს, რაკი ფარქვეშიდან პერიმეტრზე გადააწოდა. ზაზას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, მჭიდრო მეურვეობა დაუწესეს და ისიც გუნდურ თამაშზე გადაერთო. ახლა მთავარია, ირლანდიასთან მატჩს სრული მობილიზებით შევხვდეთ და გამარჯვებას მივაღწიოთ.

**– ირლანდიელთა თამაში თუ გაქვთ ნანახი?**

– ვიდეოფირს ირლანდიაში ჩასვლის შემდეგ მოგვცემენ და მათი თამაშის გასაანალიზებლად დრო გვექნება. ირლანდიამ შვედეთში კი წააგო, მაგრამ როგორც გამოჩნდა, ჩვენს მომავალ მეტოქეს საკმაოდ მებრძოლი გუნდი ჰყავს.

**– ჩვენი მომავალი მეტოქეა შვედეთიც...**

– შვედებზე ჯერ არ ვფიქრობთ. ირლანდიაში ძალიან პრინციპული მატჩი გველის, რომლის წაგების უფლებაც არ გვაქვს. ისე კი, შვედების თამაშის ვიდეოფირი ნანახი გვაქვს, როცა ისინი აგვისტოს შუა რიცხვებში ლატვიელებს გაეჯიბრნენ. ლატვია ლიდერის, ანდრეს ბიედრინსის გარეშე თამაშობდა და შვედებს ერთი სპარინგი მოუგო, მეორეში კი დამარცხდა.

**პაატა შალამბერიძე**

ლეგიონერი

# ნიკა მეტრეველმა მონტეპასკიში ითამაშა



ნიკა მეტრეველი

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** ეროვნული გუნდის შეკრებაზე გამოიძახა ჭაბუკთა ნაკრების სამი კალათბურთელი, **ნიკა მეტრეველი, კოკა ტომარაძე** და **თორნიკე შენგელია.** როგორც სერბმა სპეციალისტმა აღნიშნა, მასზე სამივემ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ საბოლოო 12-კაციან განაცხადში მხოლოდ თორნიკე შენგელია დატოვა. იგი უნივერსალი ფორვარდია და ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია კარგად თამაში. რაც შეეხება ნიკა მეტრეველს, იგი 212 სმ სიმაღლის ცენტრია და ნაკრებში **ფაჩულია-შერმადინი-უგრეხელიძის** კონკურენციის დაძლევა გაუჭირდა. თუმცა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ნიკა გაისადაც ნაკრების კანდიდატი იქნება და მისი თორმეტეულში მოხვედრა არავის უნდა გაუკვირდეს.

ასეთი თამამი განცხადების უფლებას მეტრეველის ბოლოდროინდელი თამაში გვაძლევს. იგი საქართველოს ნაკრების შეკრებიდან იტალიაში, "მონტეპასკიში" წავიდა და იტალიის ჩემპიონის განაცხადშიც მოხვდა. სიენელები ახლა იტალიის ქალაქ ბორმიოში იმყოფებიან და საერთაშორისო ამხანაგურ ტურნირში მონაწილეობენ.

შეჯიბრების პირველ დღეს "მონტეპასკიმ" სანკტ-პეტერბურგის "სპარტაკს" უმასპინძლა და 92:58 დაამარცხა. სწორედ ამ შეხვედრაში ჰქონდა დებიუტი ახალგაზრდა ქართველ ცენტრ ნიკა მეტრეველს. იგი მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და მოედანი 2 ქულით დატოვა. შეხვედრის ბომბარდირი ნიკას თანაგუნდელი **ბენიამინ ეზე** გახდა. მან 19 ქულა ჩააგდო.

მომდევნო მატჩში მონტეპასკელებმა თურქული "ტრაბზონსპორის" წინააღმდეგობა დაძლიეს – 96:50. ასეთ იოლ მატჩში მწვრთნელმა, **სიმონე პიანიჯანიმ** მეტრეველი მაინც მცირე დროით ათამაშა და ქართველმა ქულის ჩაგდებაც ვერ მოახერხა.

ბორმიოს ტურნირის მსვლელობაზე უახლოეს დღეებში კიდევ გესაუბრებით. აქ კი დავაყოლებთ, რომ ნიკა მეტრეველი შარშანაც "მონტეპასკის" მთავარ გუნდთან ვარჯიშობდა, მაგრამ არ უთამაშია. ახლა მწვრთნელი მას უკვე ენდობა და იმედი დავიტოვოთ, რომ საევროლიგო და იტალიის ჩემპიონატის განაცხადშიც შეიყვანს.

**პაატა შალამბერიძე**

პარაოლიმპიადა

# პეკინში ოლიმპიადა განახლდა

როგორც დაგეგმილი იყო, პეკინში ზაფხულის 29-ე ოლიმპიური თამაშების დამთავრებიდან ორი კვირის თავზე დაიწყო პარაოლიმპიური თამაშები, რომელშიც მონაწილეობენ თანდაყოლილი ან შეძენილი ფიზიკური ნაკლის ადამიანები. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დახმარებით, ეს ასპარეზობა, ისევე როგორც ოლიმპიური თამაშები, ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება იქვე, სადაც ოლიმპიური თამაშები იმართება.

*„საქართველო პარაოლიმპიადაში პირველად წლეულს ჩაერთო. თამაშებში ჩვენი ქვეყანა ერთი სპორტსმენით იქნება წარმოდგენილი. ესაა იაგო გორგოძე, რომელიც ძალოსნობის ერთ-ერთ სახეობაში - წოლჭიმში იასპარეზებს.*

*ჩვენი სპორტსმენი და საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი დავით მაისურაძე უკვე პეკინში არიან. 9 სექტემბერს თამაშებზე მეც მივემგზავრები",* - თქვა გუშინ „ლელოსთან" საუბარში საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა და **იაგო გორგოძის** მწვრთნელმა **გიორგი წასიძემ.**

საკუთარი ინფორმაცია

მილოცვა

**ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ბატუტზე ხტომებში საქართველოს ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენს, მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს, ევროპის ხუთგზის ჩემპიონს, მსოფლიოს თასისა და სუპერთასის მფლობელს, ათენის ოლიმპიური თამაშების ფინალისტს, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენს, ღირსების ორდენის კავალერს, ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ რუსუდან ხოფერიას.**

სეოკ-ი. წინასაარჩევნო კამპანია

# კანდიდატი ფედერაციებს უსმენს


შეხვედრა კალათბურთის ფედერაციაში


შეხვედრა სროლის ფედერაციაში

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი **გია ნაცვლიშვილი,** რომელმაც პირველმა შეიტანა განცხადება და გამოთქვა სურვილი, კენჭი იყაროს ამ თანამდებობაზე, განაგრძობს შეხვედრებს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ფედერაციებთან. მნიშვნელობა არ აქვს, ეს ფედერაციები ოლიმპიურ სახეობებს წარმოადგენენ თუ არაოლიმპიურს. არაოლიმპიურში ვგულისხმობთ სპორტის იმ სახეობებს, რომლებიც აღიარებულნი არიან სეოკ-ის მიერ და მის სუბიექტებად ითვლებიან.

გუშინ გ. ნაცვლიშვილი ცალ-ცალკე შეხვდა აფროსნობის, კალათბურთის, თანამედროვე ხუთჭიდის, სროლის, ბიატლონის, ბილიარდის ეროვნული ფედერაციების და სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებს. ყოველი შეხვედრის მოტივაცია ერთი იყო - ფედერაციებში სადღეისოდ არსებული ვითარების გაცნობა და სამომავლოდ რეალური გეგმების დასახვა. სეოკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატისთვის ამგვარი დიალოგი მხარეებს შორის, წინასაარჩევნო კამპანიის შემადგენელი ნაწილია, ამასთან, ყველა შენიშვნა და სანუხარი, რომელიც უშუალოდ ფედერაციებიდან მოდის, კონკრეტულად აისახება სეოკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის პროგრამაში, რომლის პრეზენტაცია შედგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც კანდიდატი სეოკ-ის ყველა სუბიექტის ხელმძღვანელებს შეხვდება. გუშინდელი შეხვედრებიდან ერთი საერთო დასკვნის გამოტანა შეიძლება: მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს და ვიაროთ წინ არსებული და დამატებითი რესურსების მაქსიმალურად სრული გამოყენებით, ყველა ღონისძიება და თითოეული ნაბიჯი კი უნდა განიხილებოდეს აქედანვე ლონდონის ოლიმპიადისთვის მზადების ნიშნით. მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი ვითარებისა, სპორტული ცხოვრების რიტმი არ უნდა შენელდეს, ზიანი ომმა ყველა სფეროს მიაყენა, ცხადია, სპორტსაც, მაგრამ ქართული სპორტი კვლავ ხმიანობს და თავის სიტყვას ამბობს. ჩვენი სპორტული ფედერაციები კი გულმოდგინედ ემზადებიან თავიანთი ყრილობების და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესიისთვის.

საკუთარი ინფორმაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუმო

# ქართველები და ოსები იაპონიაშიც დააშორეს

## სისხლში მარიხუანის კვალი დადასტურებულია


კიტანოუმი გადადგა

სუმოს სამყაროში უდიდესი სკანდალია – გუშინ თანამდებობიდან გადადგა სუმოს ასოციაციის კომისიონერი **კიტანოუმი**. კიტანოუმი არა მარტო პირველი პირი იყო პროფესიული სუმოს მართვაში, არამედ გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დიდი ჩემპიონი და ოსი სუმოისტის **ჰაკუროძანის** პირადი მასწავლებელი. კიტანოუმი სწორედ ჰაკუროძანის გამო გადადგა. მან ჩათვალა, რომ პასუხი უნდა აგოს მოსწავლის საქციელზე. გუშინ განმეორებითმა ტესტებმაც დადებითი პასუხი აჩვენა, ჰაკუროძანის და მისი უფროსი ძმის **როჰოს (ბათრაზ და სოსლან ბორაძოვები)** სისხლში მარიხუანის კვალი დადასტურებულია. სუმოს ასოციაციამ ძმები არ დაინდო და მათაც თანამემამულის, **სოსლან გაგლოევის (ვაკანოჰო)** კვალად სამუდამო დისკვალიფიკაცია გამოუწერა.

მაშ ასე, სექტემბრის ბაშო 14-28 რიცხვებში სამი ოსის გარეშე ჩაივლის. ჰაკუროძანი არ იყო ელიტურ დივიზიონში, ვაკანოჰოს და როჰოს რანგით კი არავინ იასპარეზებს, დასავლეთის მესამე მაეგაშირა და აღმოსავლეთის მერვე მაეგაშირა არავინ იქნება, ანუ უმაღლეს დივიზიონში 40 რიკიში იჭიდავებს. მათ შორის დასავლეთის მეათე მაეგაშირა **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** და აღმოსავლეთის მე-16 მაეგაშირა **კოკაი (ლევან ცაგურია)**, რომელიც მსუბუქი ოპერაციის შემდეგ მწყობრში ჩადგა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# პირველი ისევ ტატიშვილია


ანა ტატიშვილი

გუშინ, ორკვირიანი შესვენების შემდეგ, რაც ამერიკის ღია პირველობის მიმდინარეობით იყო გამოწვეული, უნდა განახლებულიყო მსოფლიოს რეიტინგ-ლისტი, თუმცა საქმეში ისევ ეს ტურნირი ჩაერია – იმის გამო, რომ ვაჟთა ფინალი ჯერ არ იყო დასრულებული, მხოლოდ ქალთა რეიტინგი განახლდა. WTA-ს სიაში კვლავ 11 ქართველია. კიდევ ერთხელ შეიცვალა პირველი ჩოგანი – **მაკა ჩახნაშვილმა** პირველობა კვლავ **ანა ტატიშვილს** დაუთმო.

17 წლის ანა ტატიშვილი 137 ქულით მსოფლიოს 211-ე ჩოგანია, ორ კვირაში მან მხოლოდ სამი საფეხურით წაიწია წინ, თუმცა მაკა ჩახნაშვილის უკუსვლის ფონზე ესეც საკმარისი აღმოჩნდა. ჩახნაშვილს 130 ქულა აქვს, მან 11 ადგილი დაკარგა რეიტინგში, ჩვენებური მსოფლიოს 221-ე ჩოგანია. მესამე ასეულში კიდევ ერთი ქართველია – **სოფიო შაფათავამ** 11 საფეხურით დაიხია უკან, ის მსოფლიოს 257-ეა.

სხვა ქართველები რეიტინგში: 490 (+2) **თინათინ ყაველაშვილი** – 34 ქულა; 517 (+6) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 31; 610 (-20) **მანანა შაფაქიძე** – 22; 654 (-1) **სალომე დევიძე** – 19; 669 (-3) **სოფიო ქაცაბაია** – 18; 741 (-8) **ეკა გორგოძე** – 14; 951 (-9) **მაგდა ოქრუაშვილი** – 6; 957 (-8) **სოფიო მელიქიშვილი** – 6.

სოფიო შაფათავა ათენშია, სადაც წარმატებით ასპარეზობს ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდიც 100 ათასი დოლარია. ბუნებრივია, სოფიოს რეიტინგით ასეთი დონის ტურნირის ძირითად ბადეში ვერ ითამაშებ, ამიტომაც შაფათავას საკვალიფიკაციოში მოუწია თამაში. საკვალიფიკაციო ბადეში შაფათავა მე-7 ნომრად განთესეს და პირველი წრიდან გაათავისუფლეს. მეორე წრეში მან ბრიტანელ **ამანდა ელიოტს** (316) იოლად აჯობა – 6:2, 6:3. ფინალურ წრეში ქართველის მეტოქე კვალიფიკაციაში პირველ ნომრად განთესილი უკრაინელი **ვიქტორია კუტუზოვა** (152) გახლდათ, თითქოს სლავის გამარჯვება მოსალოდნელი იყო, მაგრამ შაფათავამ ამჯერადაც ორ სეტში იმარჯვა – 6:4, 6:1. ქართველი ჩოგბურთელი ათენის ტურნირის ძირითად ბადეში გავიდა.

სოფიო შაფათავა ათენის ტურნირის წყვილთა თანრიგშიც იასპარეზებს, სადაც ის ამერიკელ **მეგან მოლტონ-ლევის** შეუწყვილდება. პირველ წრეში მათი მეტოქეები იქნებიან, ავსტრიელი **სანდრა კლემენშიტცი** და არგენტინელი **ერიკა კრაუზი**.

როგორც ჩანს, ჩერკასის ჩელენჯერის სერიის ტურნირის მეოთხედფინალში **ირაკლი ლაბაძის** მიერ მიღებული ტრავმა სერიოზულია – მან დონეცკის ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ტრავმის გამო ვერ ითამაშა მე-2 ნომრად განთესილ ამერიკელ **ალექს ბოგომოლოვთან**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხელბურთი. ლეგიონერი

# ჭანტურია ცალი ფეხით ჯგუფშია

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრ **რეზო ჭანტურიას** მაკედონიურმა „მეტალურგმა" ევროსეზონი დაიწყო. სკოპიელებმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი გამართეს სტუმრად თურქულ „იზმირთან" და 33:29 მოიგეს. ჭანტურია ერთადერთ გოლს დასჯერდა.

განმეორებითი მატჩი სკოპიეს „ავტოკომანდაზე" 13 სექტემბერს შედგება. სტუმრად გამარჯვებით „მეტალურგმა" დიდი ნაბიჯი გადადგა ლიგის ჯგუფური ეტაპისკენ. თუკი „მეტალურგი" საკუთარ მოედანზე 4-ბურთიან ფორას არ გაანიავებს, ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება, სადაც გერმანულ „კილთან", ესპანეთის „ბარსელონასა" და ნორვეგიის „დრამენთან" ერთად ითამაშებს.

ევროთასებზე საუბარი კი ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასით დავასრულოთ, რომელზეც წლეულს ერთადერთ ქართულ კლუბს - „თბილისს" უნდა ეთამაშა. თუმცა, რაკილა „თბილისისა" და ისრაელის „მაკაბის" მატჩები საქართველო-რუსეთის გაგანია ომს დაემთხვა, შეხვედრები არ შედგა. ვერც ებრაელები ჩამოვიდნენ საქართველოში და ვერც „თბილისმა" შეძლო სტუმრად ან ნეიტრალურ მოედანზე თამაში. შესაბამისად, ევროპის ხელბურთის ფედერაციამ „მაკაბს" ორივე მატჩში 10:0 მოგება ჩაუთვალა და მეორე ეტაპზე რიშონელები უბრძოლველად გავიდნენ.

**პაატა შალამბერიძე**


რეზო ჭანტურია

რაგბი. ლეგიონერები

# კლერმონის ცუდი სტარტი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტარულ პირველ დივიზიონში მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. ჯერჯერობით დაუმარცხებლად ორი გუნდი- ქვეყნის ჩემპიონი „სტად ფრანსე" და გათამაშების ყველაზე დიდი მოულოდნელობა ბასკური „ბაიონია". ასევე მოულოდნელია შარშანდელი ფინალისტის, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონის" ცუდი სტარტი.

ვულკანებმა მესამე ტურში სწორედ „ბაიონთან" გამართეს გასვლითი შეხვედრა - 6:17. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 65-ე წუთზე შეცვალეს. აღსანიშნავია, რომ მრისხანე „კლერმონს" მთელი მატჩის განმავლობაში იოტისოდენა უპირატესობაც არ ჰქონია.

ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან ჯერჯერობით ყველაზე კარგი შედეგი **გოდერძი შველიძის** „მონტობანს" აქვს. ჩვენებურის გუნდმა სამი შეხვედრიდან ორი მოიგო და ახლა სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა. „მწვანეებმა" მესამე ტურში „ბურგუენს" უმასპინძლეს" და 18:14 დაამარცხეს. შველიძემ წლეულს პირველად ითამაშა ოფიციალურ მატჩში „მონტობანის" შემადგენლობაში. ის ძირითადში იყო და 44-ე წუთზე შეცვალეს.

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

III ტური

**ბაიონი-კლერმონი 17:6, მონტობანი-ბურგუენი 18:14, ბრივი-კასტრი 16:16, დაქსი-მონპელიე 6:9, პერპინიანი-სტად ფრანსე 11:26, მონ დე მარსანი-ტულონი 25:18, ტულუზი-ბიარიცი 20:6.**

**სატურნირო მდგომარეობა:**

**1.სტად ფრანსე-13 ქულა, 2.ბაიონი-12, 3.მონტობანი-10, 4.ტულუზი-10, 5.ბიარიცი-8, 6.პერპინიანი-8, 7.მონპელიე-8, 8.ტულონი-7, 9.კლერმონი-6, 10.მონ დე მარსანი-5, 11.ბრივი-4, 12.კასტრი-3, 13.ბურგუენი-3, 14.დაქსი-2.**

სტარტი აილო გათამაშებამ მეორე დივიზიონშიც. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან გამარჯვებას „ორიაკმა" და „აჟენმა" მიაღწიეს. **დავით ჟღენტის, ლევან დათუნაშვილისა** და **მალხაზ ურჯუკაშვილის** „ორიაკმა" შინ პირველი დივიზიონიდან დაქვეითებული „ალბი" მიიღო და 11:6 გაიმარჯვა. ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შეცვალეს. დათუნაშვილი შეხვედრაში 55-ე წუთიდან ჩაერთო. ურჯუკაშვილი განაცხადში არ იყო.



ფრედ- 6:6 დამთავრდა **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონისა" და **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბის" შეხვედრა. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 48-ე წუთზე შეცვალეს. კუთარაშვილი განაცხადში არ იყო.

სამიდან ორი შეხვედრა მოიგო **მამუკა გორგოძის** „მონპელიემაც", თუმცა რვა ქულით მხოლოდ მე-7 ადგილზეა. გულივერას გუნდმა, ამჯერად სტუმრად დაამარცხა **ირაკლი გიორგაძის** „დაქსი" - 9:6. გორგოძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. გიორგაძე განაცხადში არ იყო.

სამაგიეროდ, ახალ სეზონში პირველად გამოჩნდა „კასტრის" შემადგენლობაში ირაკლის უფროსი ძმა **აქსენტი გიორგაძე**. კასტრელებმა სტუმრად გამართეს შეხვედრა **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივთან" და ფრეს დასჯერდნენ -16:16. ხინჩაგიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. გიორგაძე შეხვედრაში 63-ე წუთიდან ჩაერთო.

პირველი მარცხი განიცადა ელიტარულ პირველ დივიზიონში **გია ლაბაძისა** და **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა". ჩვენებურთა ეს გუნდი სტუმრად დამარცხდა მასავით დებიუტანტ „მონ დე მარსანთან" 25:18. აღსანიშნავია, რომ მარსანელებს სეზონის დაწყებასთან ერთად ფინანსური პრობლემებიც დაეწყოთ, თუმცა ამას მათ თამაშზე გავლენა არ მოუხდენია. ქართველ მორაგბეებს ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

შინ მოუგო „ოშ" **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **ირაკლი მაჩხანელის** „აჟენმა"- 27:16. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ. სტუმრად დამარცხდა „ლიონთან" **გიორგი ჩხაიძის** „მეტრო რასინგი"- 9:18. ჩხაიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს.

ასევე სტუმრად წააგო „ლა როშელთან" **დავით აშვეთიას** „ოიონაქსმა"- 12:30. აშვეთიამ ბოლომდე ითამაშა და 29-ე წუთზე მატჩის არბიტრისგან ყვითელი ბარათი დაიმსახურა. გასვლით შეხვედრაში წააგო „გრენობლთან" **ავთანდილ კოპალიანის** „კოლომიემ"- 6:31. კოპალიანი განაცხადში არ იყო.

**საფრანგეთი. II დივიზიონი**

I ტური

**ნარბონი-ტარბი 6:6, ორიაკი-ალბი 11:6, ბეზიე-პო 15:15, გრენობლი-კოლომიე 31:6, ლიონი-მეტრო რასინგი 18:9, ლა როშელი-ოიონაქსი 30:12, ბურგ ან ბრესი-ბორდო 18:25, აჟენიოში 27:16.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# შავი მარგალიტი

შაბათისგან განსხვავებით, როცა ქარიშხალმა „ჰანამ" ნიუ იორკი წალეკა, კვირას ჩოგბურთელებს სათამაშოდ კომფორტული პირობები ჰქონდათ. განრიგის მიხედვით, ჯერ ესპანელ **რაფაელ ნადალსა** და ბრიტანელ **ენდი მიურეის** უნდა დაესრულებინათ წინა დღეს გადადებული ნახევარფინალი და შემდეგ „ფლეშინგ მედოუზე" ქალთა ფინალი უნდა გამართულიყო. ჩვენი მიმოხილვა სწორედ **სერენა უილიამსისა** და **ელენა იანკოვიჩის** მატჩით დავიწყოთ.

გუშინაც ვთქვით, რომ ფავორიტად ამერიკელი ჩოგბურთელი ითვლებოდა. სერენა ტურნირზე ბრწყინვალე ჩოგბურთს აჩვენებდა და საკუთარ დასთან, **ვენუსთან** მეოთხედფინალურ დაპირისპირებას თუ არ ჩავთვლით, მეტოქეებისთვის მატჩში ხუთზე მეტი გეიმი არ დაუთმია. რაც შეეხება სერენასა და ელენას ურთიერთშეხვედრათა ანგარიშს, ის საყაიმო იყო - 3:3. მათი ბოლო შეხვედრა წელს, მაიამის ტურნირის ფინალში გაიმართა და უპირატესობა ამერიკელის მხარეს იყო.

მასპინძელი შეხვედრის სტარტიდანვე შეეცადა ინიციატივის ხელში აღებას და მუდმივი ზეწოლის ქვეშ ჰყავდა მეტოქე. თუმცა სერენას მხრიდან აქტიურ თამაშს შეცდომებიც საკმარისად ახლდა. იანკოვიჩი კი არ აპირებდა თავის ტაქტიკაზე უარის თქმას და აქტიურ მოქმედებებს არ მიმართავდა. პირველი სამი გეიმის განმავლობაში, სერბმა საკუთარი აქტიურობის ხარჯზე მხოლოდ ერთი ქულა აილო და ამასთან, მხოლოდ ერთი უნებლიე შეცდომა დაუშვა. ესეც საკმარისი აღმოჩნდა ბრეიკის გასაკეთებლად და პირველ პარტიაში წინ გასასვლელად.

ამასობაში, ამერიკელმა მიზანი გაასწორა და ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო. იანკოვიჩი ყველაფერს აკეთებდა, რაც მის ძალებში იყო, ჩვეულებრივზე მეტს უტევდა და თითქმის დაეწია მეტოქეს, მაგრამ 4:5-ზე საკუთარი მოწოდება და მასთან ერთად სეტი სერენას დაუთმო.

მეორე პარტიაში სურათი დიდად არ შეცვლილა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ჩოგბურთელებმა პუბლიკას უფრო მაღალი კლასის თამაში აჩვენეს. ისევე როგორც პირველ პარტიაში, იანკოვიჩმა პირველმა მოიგო გეიმი მეტოქის მოწოდებაზე. ეს მეშვიდე გეიმში მოხდა, რაც იშვიათი მოვლენაა ქალთა ჩოგბურთში. სერბმა საკუთარი მოწოდებაც შეინარჩუნა და სეტის მოგების კარგი შანსიც მიიღო. იანკოვიჩს მეცხრე გეიმში სამი სეტ-პოინტი ჰქონდა, თუმცა ამერიკელი არ აპირებდა ფინალის დროში გაწელვას. მან ჯერ ეს ხიფათი აიცილა თავიდან, შემდეგ კი გარდატეხა შეიტანა თამაშში და მეორე სეტი 7:5 მოიგო.

სერენასთვის ეს „დიდი სლემის" მეცხრე ტიტულია კარიერაში. ამერიკელს ამ სერიის ოთხივე ტურნირი აქვს მოგებული: სამ-სამჯერ იმარჯვა ავსტრალიასა (2003, 2005, 2007) და ამერიკაში (1999, 2002, 2008), ორჯერ უიმბლდონზე (2002, 2003) და ერთხელ როლან გაროსზე (2002). ამ წარმატების წყალობით, დღეიდან სერენა სათავეში ჩაუდგა WTA-ის რეიტინგს. ბოლოს კლასიფიკაციის ლიდერი ის ხუთი წლის წინ იყო.

■ ■ ■

ნადალისა და მიურეის ნახევარფინალი წვიმამ რომ შეწყვიტა, ამის შესახებ გუშინ მოგიყევით და ისიც გითხარით, რომ ბრიტანელი სეტებში 2:0-ს უგებდა მსოფლიოს პირველ ჩოგანს, მაგრამ მესამეში ნადალს ბრეიკი ჰქონდა გაკეთებული და 3:2 იყო წინ.

თითქმის ერთდღიანი პაუზა ორივე ჩოგბურთელს წაადგა. ნადალის წინააღმდეგ ზედიზედ სამი სეტის უმაღლეს დონეზე ჩატარება ურთულესი საქმეა და ორი წარმატებული პარტიის შემდეგ, ბრიტანელის თამაშში ლოგიკური ჩავარდნა უნდა დამდგარიყო. თავის მხრივ, ნადალიც ოდნავ გადაღლილი ჩანდა და შესაძლოა, მას ძალები არ ჰყოფნოდა ხუთსეტიანი მატჩისთვის.

შეხვედრის განახლების შემდეგ, მეტოქეები სწრაფ გეიმებს თამაშობდნენ და იოლად ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებებს. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ნადალი სეტზე არ აწვდიდა. მიურეიმ ყველაფერი გააკეთა ანგარიშის გასათანაბრებლად, ბრეიკ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ მისი გამოყენება ვერ შეძლო. საბოლოოდ, რაფამ პირველი პარტია მოიგო მატჩში.

მეოთხე სეტი მთელი ნახევარფინალის მშვენება გახდა. ორივე ჩოგბურთელის შესრულებით უმაღლესი დონის თამაში ვიხილეთ. მესამე გეიმში, რომელიც 20 წუთს (!) გაგრძელდა, მიურეის შვიდი (!) ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენა. შესაბამისად, იმ მომენტისთვის ბრიტანელს ასეთი შანსის გამოყენების საშინელი პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდა - 17-დან 2 (!). თანაც მიურეი თავის შეცდომებზე აგებდა ბრეიკ-პოინტებს. მინიმუმ ოთხ შემთხვევაში, ის ახლო იყო მეტოქის მოწოდების მოგებასთან, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში დამაგვირგვინებელი დარტყმა არ გამოსდიოდა.

ამან კინაღამ მორალურად გატეხა მიურეი. მან ზედიზედ ორი გეიმი დათმო, თანაც თავისი მოწოდება „მშრალად" წააგო. რაფას მეხუთე გეიმში კიდევ ერთი ბრეიკის შესრულება შეეძლო, მაგრამ 0:30-დან ენდის ბრძოლის გაგრძელების შანსი დაუტოვა. როგორც შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, შესაძლოა, სწორედ ეს იყო შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი.

მიურეი გონს მოეგო და შეეცადა ესპანელისთვის მისივე მოწოდებაზე ბრძოლა მოეხვია თავს. მაგრამ ბრიტანელს არაფერი გამოუვიდოდა, თავად რაფას მარტივ სიტუაციებში რომ არ დაეშვა ორი შეცდომა. არადა ამ დროს ის გეიმს 40:30 იგებდა. მოკლედ, ის, რაც მიურემ ვერ მოახერხა, თავად ნადალმა გააკეთა - დაუთმო საკუთარი გეიმი მეტოქეს და მეოთხე სეტში ანგარიში გათანაბრდა - 4:4.



გადამწყვეტი აღმოჩნდა მეათე გეიმი ესპანელის მოწოდებაზე. ორჯერ რაფაელის წინააღმდეგ ბადემ ითამაშა, შემდეგ მიურეიმაც გამოილო ხელი - უკანა ხაზზე ბევრი არბენინა მეტოქე და ნადალმა ძლივს მოითქვა სული. ესპანელმა თამაში ველარ გადაარჩინა - ბოლო გათამაშებაში ცუდად მოჭრა ბურთი და ენდიმ იოლად დაუსვა წერტილი შეხვედრას. ასე გავიდა ბრიტანელი ჩოგბურთელი კარიერაში პირველად „დიდი სლემის" ტურნირის ფინალში.

ფინალი გუშინ, გვიან ღამით გაიმართა. მიურეის **როჯერ ფედერერთან** უწევდა შეხვედრა. *„როჯერი ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი ჩოგბურთელია და მის წინააღმდეგ სასლემო ტურნირის ფინალში თამაში ჩემთვის უდიდესი პატივია. ფედერერს ადრე წარმატებით ვეთამაშებოდი და იმედი მაქვს, რომ ამჯერადაც გამომივა მასთან ბრძოლა"*, - თქვა მატჩის შემდეგ მიურეიმ.

| კაცები |
|---|
| **1/2 ფინალი** |
| **ენდი მიურეი** (ბრიტ, 6)-რაფაელ ნადალი (ესპ, 1) 6:2, 7:6 (5), 4:6, 6:4. |
| **ქალები** |
| **ფინალი** |
| **სერენა უილიამსი** (აშშ, 4)-ელენა იანკოვიჩი (სერ, 2) 6:4, 7:5. |

ინტერვიუ როჯერ ფედერერთან

# იქნებ ოლიმპიადის შემდგომი სიგიჟე მჭირს?!



**შვეიცარიელი როჯერ ფედერერი ამ სეზონში „დიდი სლემის" ზედიზედ მესამე ტურნირის ფინალში გავიდა. წინა ორ შემთხვევაში მან რაფაელ ნადალთან დათმო როლან გაროსისა და უიმბლდონის ფინალები. ამჯერად ფედერერი აცდა ესპანელთან დაპირისპირებას, მაგრამ ამერიკის ღია პირველობის გადამწყვეტ შეხვედრაში რაფას მძლეველ ენდი მიურეს შეხვდება.**

**ფინალის წინ შვეიცარიელის განწყობას ტურნირის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინტერვიუს მეშვეობით გავეცნოთ.**

**- თქვენი დიად გამარჯვებათა სერიებიდან, ამ ეტაპზე მხოლოდ ერთადერთია მოქმედი - ამერიკის ღია პირველობაზე ზედიზედ მოგებათა სერია. ამასთან დაკავშირებით, მომავალი ფინალის წინ დამატებით პასუხისმგებლობას ან ზეწოლას ხომ არ განიცდით?**

- არა, რადგან უკვე შევძელი ერთი სერიის გაგრძელება - 2004 წლიდან მოყოლებული, „დიდი სლემის" ზედიზედ 18 ტურნირის ნახევარფინალში ვითამაშე. ამითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემი აზრით, ეს უდიდესი მიღწევაა, როცა ოთხი წლის განმავლობაში, ყველაზე პრესტიჟულ ტურნირებზე ოთხ საუკეთესო ჩოგბურთელს შორის ხვდები. იმედი მაქვს, ახლა ერთი ნაბიჯით წავიწევი წინ და პარიზსა და უიმბლდონის განსხვავებით, ფინალს აღარ წავაგებ.

**- ამ ტურნირზე კორტზე გაცილებით მეტ ემოციას გამოხატავთ, ვიდრე წინა წლებში. ჯოკოვიჩთან მატჩში ხშირად გერმანულად გაჰყვიროდით რაღაცას. ცოტა რამ მოგვიყევით კორტზე თქვენი შეგრძნებების შესახებ.**

- ამჯერად კარგ ხასიათზე ვარ. ამაში თავისი როლი ოლიმპიადის ოქროს მედალმაც ითამაშა. ალბათ, ახლა კორტზე გაცილებით ბედნიერი ვარ, ვიდრე წინა თვეების განმავლობაში. სიმართლე გითხრათ, სწორედ დღეს ხედავთ თქვენ ფედერერის ნამდვილ სახეს. ადრე, მატჩების დროს იმაზე ვიყავი კონცენტრირებული, რომ ჩემი ყველა გამარჯვებათა სერია შემენარჩუნებინა. ამის გამო ემოციებს ვერიდებოდი, ვცდილობდი ყურადღება არ გამეფანტა. ახლა კი ვგრძნობ, რომ შემიძლია უფრო გახსნილი ვიყო და მეტი ემოციურობით ვიმოქმედო კორტზე. როგორც ადამიანი, არ შევცვლილვარ, უბრალოდ ახლა კორტზე უფრო ხშირად ხედავთ ნამდვილ ფედერერს.

**- ეს ყველაფერი რაღაცით პიტ სამპრასს გვაგონებს. კარიერის დასაწყისში ისიც მალავდა ემოციებს და ბოლოსკენ გაიხსნა პუბლიკის წინაშე...**

- მის კარიერას არც ისე კარგად ვიცნობ. არაფერი ვიცი იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ასეთი გარდასახვა. ადრე, ვერ ვახერხებდი მოდუნებას, მიჭირდა საკუთარი თავის კონტროლი. არ ვიცი, ჰქონდა თუ არა მსგავსი პრობლემები სამპრასს. როგორც კი საკუთარი ემოციების კონტროლი ვისწავლე, შედეგები გაუმჯობესდა, ამიტომაც ვიყავი ამდენ ხანს ასეთი თავშეკავებული. ახლა კი შემიძლია ვიყო ნამდვილი როჯერ ფედერერი და ამასთან, შედეგებიც არ დავაზარალო. თუმცა ვინ იცის, იქნებ ეს ოლიმპიადის შემდეგ დროებითი ორკვირიანი სიგიჟეა და მომავალ ტურნირზე თქვენ ისევ მშვიდ და გაწონასწორებულ ფედერერს იხილავთ?!

**- „დიდი სლემის" ტურნირის მოგება ყოველთვის დიდი მიღწევაა, მაგრამ თუ წლევანდელი აშშ-ის ღია მოიგეთ, იქნება თუ არა ეს თქვენს კარიერაში ყველაზე დიდი წარმატება? მხედველობაში მაქვს ის, რომ წლევანდელი სეზონი თქვენთვის ძალიან ცუდად მიმდინარეობს.**

- გამორიცხული არ არის, რომ ასეც იყოს. ამაზე ჯერ მხოლოდ ვარაუდების გაკეთება შეიძლება. ახლა დიდი სიამოვნებით მოგიყვებოდით, რა ვიგრძენი ამ ჩემპიონატის მოგების შემდეგ, მაგრამ ჯერ ფინალში ნათამაშები არ არის და სამწუხაროდ, არ შემიძლია ამის გაკეთება.

**- ენდი როდიკმა მეორე წრეში გულბისთან გამარჯვების შემდეგ განაცხადა: დიდი ემოციური მუხტი მომცა იმ ფაქტმა, რომ ბევრი გამარჯვებას ლატვიელ ჩოგბურთელს უწინასწარმეტყველებდა. მსგავსი სიტუაციებიდან თქვენც იღებთ დამატებით მოტივაციას?**

- პირველად მესმის, რომ გულბისს როდიკთან მატჩში ვინმე გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. ეს რაღაც ახალია. ისე კი ეს შეიძლება ვინმეს მართლაც ეხმარებოდეს მატჩების მოგებაში. ამით ისინი ცდილობენ დაამტკიცონ პროგნოზის ავტორთა შეცდომები. მაგრამ ჩემთვის უკან დარჩა ის დრო, როცა ვინმესთვის რაიმეს დამტკიცება მინდოდა. ასეთი პერიოდი დაახლოებით ხუთი წლის წინ მქონდა. მას შემდეგ მშვიდად ვცხოვრობ, ჩოგბურთისგან სიამოვნებას ვიღებ და პრესისგან არანაირ ზეწოლას არ ვგრძნობ. ვერაფერი ამაღელვებს, საკუთარი საქმით ვარ დაკავებული, მიყვარს სპორტის ეს სახეობა და ვცდილობ გულშემატკივრებს კარგი ჩოგბურთი ვაჩვენო.

**- როგორ ფიქრობთ, ფინალში რა უფრო მნიშვნელოვანი იქნება - მონაწილეების ფიზიკური ფორმა, მოტივაცია თუ გამოცდილება?**

- ეს არავინ იცის. გამოცდილება არა მგონია, რადგან მიურეისთან არაერთხელ მითამაშია და ერთმანეთის შესახებ ყველაფერი ვიცით. წელს ენდი ჰარდზე უკეთ თამაშობს და ამიტომაც რთული მატჩი იქნება. როცა საუკეთესო მოთამაშეები ხვდებიან ერთმანეთს, ხშირად ყველაფერს კონკრეტულ მომენტში თითოეული ჩოგბურთელის ფიზიკური ფორმა განსაზღვრავს.

**- როგორ შეაფასებთ თქვენს დღევანდელ მდგომარეობას შარშანდელ ტურნირთან შედარებით?**

- გასულ წელს, მოულოდნელად რთული მატჩების ჩატარებამ მომიწია. მაგალითად, ძალიან გამიჭირდა მესამე და მეოთხე რაუნდებში ჯონ ისნერისა და ფელისიანო ლოპესის წინააღმდეგ. ორივესთან პირველი სეტი დავთმე. შემდეგ იყვნენ როდიკი, ნახევარფინალში დავიდენკო და ფინალში ჯოკოვიჩი. წინა რაუნდებისგან განსხვავებით, ამ მატჩებში სეტი აღარ წამიგია. აი, ასეთი უცნაური ამბებიც ხდება ხოლმე. წელს იგორ ანდრეევის წინააღმდეგ ხუთსეტიანი მატჩის გამართვა მომიხდა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა და თან, იმ შეხვედრას ფიზიკურად ცუდად არ უმოქმედია ჩემზე.

·გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი

# სამის ნაცვლად შვიდი პრიზიორი

როგორც ჩანს, ჩინელებისთვის კვლავინდებურად აქტუალურია ოლიმპიური თამაშების თემა. ერთ-ერთი მათგანია, პროვინცია ჰუნანის მცხოვრები **ჟან ი.** ეტყობა, მან ჭარბი უარყოფითი ემოცია მიიღო იმის გამო, რომ პეკინში წამყვანი სპორტსმენები პრიზიორთა სამეულს მიღმა რჩებოდნენ. ჟან იმის აზრით, ეს უსამართლობა იყო იმ ათლეტების მიმართ, რომლებმაც ოთხწლიანი ციკლის განმავლობაში გაუთავებელ ვარჯიშებსა და საწვრთნელ შეკრებებზე ოფლი დაღვარეს, მაგრამ თამაშებზე მაინც მედლების



გარეშე დარჩნენ. ამიტომაც ჩინელმა წერილი მისწერა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **ჟაკ როგეს**, სადაც ბელგიელ ჩინოვნიკს დაჟინებით სთხოვს, რომ მან ოლიმპიური მედლების რიცხვი სამიდან შვიდამდე გაზარდოს!

ჩინელის ჩანაფიქრით, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების გარდა, უნდა არსებობდეს რკინის, ალუმინის, კალისა და ტყვიის მედლები. ჟან ის აზრით, სპორტსმენებს დაჯილდოების ახალი სისტემა ათლეტებს ოლიმპიადაზე გამოსვლის მოტივაციას აუმაღლებს.

კალათბურთი



# დაბოლილი ახალბედები

სტუდენტური ლიგის (NCAA) შარშანდელი ტრიუმფატორები, ამჟამად NBA-ის მოთამაშეები **მარიო ჩალმერსი** („მაიამი ჰიტი") და **დარელ არტური** („მემფის გრიზლისი") ასოციაციის ახალბედა კალათბურთელების მომზადების პროგრამიდან გარიცხეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კალათბურთელთა ნომერში მარიხუანა იპოვეს. გარიცხვის გარდა, მოთამაშეებს 20-20 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმას გადაახდევინებენ და რეგულარულ ჩემპიონატში რამდენიმე მატჩს გამოატოვებინებენ.

ასეთი სასჯელი პროფესიული კარიერის არცთუ ისე საბარბიელო დასაწყისია, თუმცა მსგავსი პრობლემები სხვა შავკანიან ახალბედებსაც ხშირად აქვთ ხოლმე. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩალმერსსა და არტურს დებიუტანტთა მზადების პროგრამის გავლა გაისად ზაფხულში მაინც მოუწევთ.

# ლებრონმა მტვირთავთან წააგო

„კლივლენდ კავალიერზის" ლიდერმა **ლებრონ ჯეიმსმა** ლოს-ანჯელესში, ერთ-ერთი ქუჩის საკალათბურთო მოედანზე სამარცხვინო მარცხი იწვნია. NBA-ის ვარსკვლავი ორჯერ გაეჯიბრა ვინმე **დევიდ კელბს** თამაშში, რომლის სახელწოდებაა H-O-R-S-E (ჩვენებურად ამ თამაშს „მინუს ხუთი" ჰქვია).

ჯეიმსმა ხეირიანი ვერაფერი აჩვენა იმ დროს როცა საწყობის მტვირთავმა კელბმა თავისი ტრიუკებით ყველა გააოცა.

*„მისი დამარცხება ოლიმპიადის მოგებაზე რთული აღმოჩნდა, რადგან ამჯერად გვერდით პარტნიორები არ მყავდა"*, - მოჰყავს ჯეიმსის სიტყვები Sports-Illustrated-ს.



ცხენოსნობა



# ზარამ კინაღამ კისერი მოიტეხა

ბრიტანეთის დედოფალ **ელიზაბეტ II-ის** შვილიშვილის, **ზარა ფილიპსისთვის** ეს სეზონი მეტად უიღბლო გამოდგა. ინგლისელი ცხენოსანი პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლას აპირებდა, მაგრამ მისი ცხენი ავად გახდა და ზარამ ჩინეთში გამგზავრება ვერ შეძლო.

ცხენი სახელად „არტფილდ მეჯიქ სტარი" ახლახან ჩადგა მწყობრში და ზარა ფილიპსმა ბრიტანეთში ერთ-ერთ ადგილობრივ ტურნირში მიიღო მონაწილეობა, თუმცა სარბიელზე დაბრუნება კინაღამ ტრაგედიით დასრულდა.

„არტფილდმა" ერთ-ერთი ბარიერი ვერ გადალახა, რის გამოც ზარა ფილიპსი თავზე გადააფრინდა ცხენს და ბალახზე დაეცა. საბედნიეროდ, გოგონას ტრავმა არ მიუღია და ის დამოუკიდებლად წამოდგა მინდვრიდან. არადა, ცხენოსნობაში ასეთი ინციდენტები ზოგჯერ ფატალური შედეგით სრულდება.

ჭადრაკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

# ევროპა აზიის წინააღმდეგ

მეოთხედფინალური შეხვედრები რომ დიდ ინტერესს გამოიწვევდა საჭადრაკო სამყაროში, ბუნებრივი იყო. სპორტული მხარე ერთია, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში ხომ ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული და ტურნირი თუ გვარიან შემოსავალს არ იძლევა, მას ფუჭად ჩავლილად მიიჩნევენ... ჩემპიონატის რუსი მასპინძლები სიამოვნებისგან ნერწყვებს ყლაპავენ და ემოციებს ვერ იოკებენ - ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველდღიურად ათასობით მატულობს მომხმარებელი და წარმოიდგინეთ, ნახევარფინალური და ფინალური ეტაპებისას რა იქნებაო. გასაოგნებელი არც არაფერი მოხდება - რაც უფრო ახლოვდება ფინალი, ინტერესიც მატულობს და ასე მარტო საჭადრაკო მსოფლიოს ჩემპიონატზე კი არა, ყველა სახეობაში ხდება, ანუ ერთგვარ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე.

სხვისას ვერას გეტყვით და ეს არცთუ მნიშვნელოვანი სტატისტიკა რუსებისთვის დაგვითმია. ჩვენ ყოველდღიურად შევდიოდით ჩემპიონატის ვებგვერდზე და სასურველ ინფორმაციას ვიღებდით. მართალია, ადგილზე ნანახი სულ სხვაა, მაგრამ რუსეთის აგრესიის გამო არ მოგვეცა ქართველებს ნალჩიკში ჩასვლის საშუალება. სხვა რა გზა გვაქვს - რუსების მიერვე მოწოდებულ ინფორმაციას უნდა დავეყრდნოთ.

გუშინ მეორე პარტიები გათამაშდა. თუ კარგად გახსოვთ, პირველ დღეს გამარჯვება ინდოელმა **ჰამპი კონერუმ** და **პია კრამლინგმა** შეძლეს; **ანა უშენინა-ალექსანდრა კოსტენიუკისა** და **იფან ჰოუ-ლილიტ მკრტჩიანის** შეხვედრები ზავით დასრულდა.

თუკი კონერუს გამარჯვება, თანაც თეთრებით, მოულოდნელი სულაც არ ჩანდა, პია კრამლინგის მოგება, თანაც შავებით, სენსაციათა კატეგორიას თამამად მივაკუთვნეთ, მიუხედავად იმისა, რომ კრამლინგი 2004 წლის ევროპის ჩემპიონია და 20 ნელზე მეტია, ქალთა ელიტის ნევრად ითვლება. **ანტუანეტა სტეფანოვა** ძალიან ნიჭიერია, კრამლინგზე ახალგაზრდაცაა და რეიტინგთან ერთად, უფრო პრესტიჟული საჭადრაკო ტიტულიც აქვს - მსოფლიოს 2004 წლის ჩემპიონია. ბულგარელი მეორე ტურში ურთულესი ამოცანის წინაშე დადგა - შავებით აუცილებლად უნდა მოეგო. ბევრს ეცადა ანტუანეტა, მაგრამ შვედი მოჭადრაკე ურყევი კედელივით ალიმართა და ძვრა ვერ უყო. ის კი არადა, ხარისხითაც დაწინაურდა კრამლინგი და თავი რომ გადაედო, ეგებ მოეგო კიდეც, თუმცა ეს არ გააკეთა, მეტოქეს ყაიმი შესთავაზა და დასტურიც მიიღო.

ამ მოგებით კრამლინგი ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად იქცა. ნახევარფინალში მისი მეტოქე რუსი ალექსანდრა კოსტენიუკია, რომელმაც ყველას გასაოცრად შავებით იოლად მოუგო უკრაინელ ანა უშენინას. არადა, პირველ პარტიაში თავად რუსი იყო თეთრებით ნაგების ზღვარზე და მეტოქის შეცდომა რომ არა, ქულას დაკარგავდა. ამჯერად ანამ თავიდანვე უძღვნა საჩუქარი კოსტენიუკს და 26 სვლაში დანებდა.

ბრწყინვალე იყო 15 წლის ჩინელი იფან ჰოუ, რომელმაც თეთრებით 26 წლის სომეხ ლილიტ მკრტჩიანს საჭადრაკო გაკვეთილი ჩაუტარა. საბოლოო ანგარიშით 1.5:0.5 ჩინელმა იმარჯვა და ნახევარფინალში გავიდა. აი, აქ კი ნამდვილად ყველაზე დრამატულ და საინტერესო მატჩს ვიხილავთ - იფანის მეტოქე კონერუ იქნება და გენიოსად წოდებულთა ჯახი რომ სხვაზე მეტ ხმაურს გამოიწვევს, თქმა არ უნდა... კონერუმ მეორე შეხვედრაშიც დაჯაბნა ჩინელი **იანგ შენი** და 2:0 მოიგო მატჩი.

ვინაიდან ორი მატჩის ჯამში ოთხივე ნახევარფინალისტი გაირკვა, დღეს ტურზე ტაი-ბრეიკები არ გაიმართება. ქალბატონები დაფებს ხვალ მიუსხდებიან. ალსანიშნავი ერთი გარემოებაც არის: მეოთხედფინალში ბადის ერთ მხარეს ევროპელები არკვევდნენ ურთიერთობას, მეორე მხარეს კი - აზიელები. ცხადია, ნახევარფინალშიც იგივე სურათი იქნება. შესაბამისად, ფინალი რომ ევროპა-აზიის დაპირისპირებად მოინათლება, აქედანვე ცხადია...

**ზვიად შათირიშვილი**

# ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ვიჩენცა-ემპოლი | 1:1 |
| **სერია C1/A** | |
| ვერონა-სპალ | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ატვიდაბერგი-ფალკენბერგი | 2:0 |
| იონჩოპინგი-ჰაკენი | 0:2 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| საქარია-დიარბაქირი | 0:1 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-სტ. პატსი | 3:0 |
| **პოლონეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| არკა-ლეხია | 2:0 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მეტალი-ყუბანი | 0:1 |
| დინამო (ბარ)-ჩერნომორეცი | 1:0 |
| სიბირი-ვოლგა | 1:0 |
| ნოსტა-მაშუკი | 3:1 |
| ურალი-კამაზ | 1:3 |
| ვიტიაზი-ალანია | 1:0 |
| ბალტიკა-ზვეზდა | 2:0 |
| სკა (რ)-ანჟი | 0:0 |
| დინამო (ბრ)-როსტოვი | 0:1 |
| ტორპედო-ენერგია | 2:1 |
| სალუტი-სკა | 1:2 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| სიბირი-დინამო (რგ) | 6:1 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ბუქარესტი** | |
| სტარაჩე-გრანოლერსი | 6:2, 6:4 |
| შარდი-გრემელმაირი | 1:6, 7:5, 4:6 |
| დევილდერი-სერა | 6:3, 6:7, 6:7 |
| გარსია ლოპეის-ზვერევი | 6:4, 3:6, 6:0 |
| მონტანიესი-ლი | 6:1, 7:6 |
| **WTA. ბალი** | |
| დომახოვსკა-პენგი | 6:2, 6:3 |
| შვედოვა-იუანი | 7:5, 2:6, 5:7 |
| ამანმურადოვა-დამაიანტი | 6:2, 6:1 |
| სკიავონე-გუმულია | 6:2, 6:0 |
| ნა ლი-მორიტა | 6:2, 6:1 |
| გრონეფელდი-პაჩეკი | 5:7, 4:6 |

# TV სპორტი

**9 სექტემბერი. შაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. სომხეთი-თურქეთი.
14:10 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ლიხტენშტაინი-გერმანია.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. კვიპროსი-იტალია.
18:05 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ანდორა-ინგლისი.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 ჩემპიონთა ლიგა 2007-08. ფინალი. მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი
23:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:00 საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:25 სპორტდოსიე. თხილამურები.
07:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.
09:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-იუვენტუსი.
11:10 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ხორვატია-ყაზახეთი.
12:55 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. რიეტი. იტალია.
15:20 ვეიკბორნინგი.
17:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შალკე.
19:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ინტერი.
21:25 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. დალასი-დეტროიტი.
23:00 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.
23:25 პეკინი 2008. თავისუფალი ჭიდაობა.
01:25 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. რიეტი. იტალია.
03:50 ვეიკბორნინგი.
04:25 სპორტდოსიე. თხილამურები.
04:50 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
13:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. ფინალი. როჯერ ფედერერი-რაფაელ ნადალი.
15:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. რიეტი. იტალია.
16:30 ველოსპორტი. ვუელტა. IX ეტაპი. ესპანეთი.
18:00 ველოსპორტი. ვუელტა. X ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
19:30 მულტისპორტი.
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
22:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
23:00 პროფესიული კრივი. სუპერმძიმე წონა. ა. პოვეტკინი (რუსეთი)-ტ. საიქსი (აშშ). რუსეთი.
01:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ზაგრები. ხორვატია.
02:00 რალი-რეიდი. I ეტაპი. პორტუგალია.
03:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:15 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. ბელგია.
13:00 ახალი ამბები.
13:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
14:30 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
18:15 კარომი. მსოფლიოს სერია.
18:45 ახალი ამბები.
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია.
21:00 ავტოსპორტი. ლე მანის ამერიკული სერია. დეტროიტი. აშშ.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
23:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. ბრიტანეთი.
23:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. ბრიტანეთი.
00:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
01:00 ახალი ამბები.

ველოსპორტი. ვუელტა

| IX ეტაპი | |
|---|---|
| **ვიელა-საბინიანიგო (200.8 კმ)** | |
| 1. გრეგ ვან ავერმაეტი (ბელგია, „საილენს ლოტო") | 4.57,22 |
| 2. დავიდე რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი") | იგივე დრო |
| 3. ხუან ანტონიო ფლეხა (ესპანეთი, „რაბობანკი") | იგივე დრო |
| 4. რინალდო ნოჩენტინი (იტალია, AG2R) | იგივე დრო |
| 5. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე") | იგივე დრო |
| 6. ჩაბიერ სანდიო (ესპანეთი, „კეს დ'ეპარნი") | იგივე დრო |
| 7. პატრის ჰაგლანდი (საფრანგეთი, „კრედიტ აგრიკოლი) | იგივე დრო |
| 8. ანდრეა ტონტი (იტალია, „ქუიქ სტეპი") | იგივე დრო |
| 9. კრისტოფ კერნი (საფრანგეთი, „კრედიტ აგრიკოლი) | იგივე დრო |
| 10. ეგოი მარტინესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | იგივე დრო |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ეგოი მარტინესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | 33.23,56 |
| 2. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, „ასტანა") | +0,11 |
| 3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა") | +0,32 |
| 4. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კეს დ'ეპარნი") | +1,00 |
| 5. კარლო სასტრე (ესპანეთი, CSC) | +1,38 |
| 6. ეზეკიელ მოსკერა (ესპანეთი, „ხაკობეო-გალისია") | +2,10 |
| 7. იგორ ანტონი (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | +2,23 |
| 8. დანიელ მორენო ფერნანდესი (ესპანეთი, „კეს დ'ეპარნი") | +2,34 |
| 9. იურგენ ვან გოოლენი (ბელგია, CSC) | +2,54 |
| 10. რობერტ გესინკი (ჰოლანდია, „რაბობანკი") | +3,22 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



# ალონსო BMW-ში გადავიდა?

ბელგიის გრანპრის გარშემო ატეხილი სკანდალის გამო, ჩრდილში მოექცა ერთი მნიშვნელოვანი ახალი ამბავი. ტელეკომპანია Sky ირწმუნება, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა **ფერნანდო ალონსომ** „BMW-ზაუბერთან" გააფორმა კონტრაქტი. ესპანელი პილოტი გერმანულ საჯინიბოში 2009 წლის სეზონიდან დაიწყებს გამოსვლას. ხელშეკრულება სამწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს.

ჯერჯერობით ეს ინფორმაცია არაოფიციალურია. არც ერთი მხარე არ ადასტურებს კონტრაქტის გაფორმების ფაქტს. ალონსომ მხოლოდ ის განაცხადა, რომ არ ჩქარობს თავისი მომავალი კარიერის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. *„ამ ეტაპზე მხოლოდ იმით ვარ დაკავებული, რომ სეზონის დარჩენილ რბოლებში „რენოს" მაქსიმალურად დავეხმარო"*, - განაცხადა ალონსომ.

■ ■ ■

ამასობაში, ახალი ცნობები ვრცელდება „რედ ბულისა" და „ტორო როსოს" სავარაუდო შემადგენლობებთან დაკავშირებით. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ „რედ ბულის" შოტლანდიელი ვეტერანი **დევიდ კულტჰარდი** არ დაელოდება სეზონის დასრულებას და იტალიის გრანპრის შემდეგ დატოვებს გუნდს, მის ადგილს კი „ტორო როსოს" გერმანელი პილოტი **სებასტიან ფეტელი** დაიკავებს. თავის მხრივ, „ტორო როსოში" ფეტელს **სებასტიან ბუემი** ან **ტაკუმა სატო** შეცვლის.

გუშინ, ჟურნალმა GPWeek-მა მოვლენების განვითარების ახალი სცენარი გაავრცელა, რომლის მიხედვით, შესაძლოა, „ტორო როსო" ვადაზე ადრე დატოვოს ფრანგმა **სებასტიან ბურდემ**. არაოფიციალური ინფორმაციით, ამ პილოტის კონტრაქტში არსებობს პუნქტი, რომლის მიხედვითაც ბურდემ იტალიის გრანპრისთვის გარკვეული რაოდენობის ქულები უნდა დააგროვოს და თუ ამას ვერ შეძლებს, მონცას რბოლის შემდეგ მოუწევს „ტორო როსოს" დატოვება. მის ადგილს კი სხვა ავტომრბოლი დაიკავებს.

ფრანგმა ბელგიის გრანპრიზე ბრწყინვალედ კი იასპარეზა, მაგრამ გუნდის შეფობას მის მომავალთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები აქვს. დადის ჭორი იმის შესახებ, რომ სინგაპურში „ტორო როსოს" საჭესთან არა ბუემი ან სატო, არამედ **ბრუნო სენა** დაჯდება. **გერჰარდ ბერგერს** იმის დამტკიცება სურს, რომ ახალგაზრდა ბრაზილიელი უფრო იმსახურებს გუნდში ადგილს, ვიდრე „რედ ბულის" პროტეჟე ბუემი.

# ბაჰრეინს შაბათის გრანპრი უნდა

ახალი ამბავი არ არის, რომ ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატების ეტაპები კვირაობით იმართება და ეს ტრადიცია დაახლოებით იმდენივე წლისაა, რამდენიც თავად ეს პრესტიჟული სარბოლო სერია. მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორი - ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIA) ამ წესს მკაცრად იცავს: 2004 წელს, იაპონიის ეტაპის წინ, ტაიფუნი „მაონი" მძვინვარებდა, რის გამოც კვალიფიკაცია კვირა დილისთვის გადაიტანეს, თუმცა რბოლა მაინც დადგენილი გრაფიკის მიხედვით ჩაატარეს.

მაგრამ არსებობს ერთი პრობლემა. მუსლიმანურ ქვეყნებში, ისეთში როგორიც ბაჰრეინია, კვირა ჩვეულებრივ სამუშაო დღედ ითვლება, ამიტომაც ადგილობრივ მოსახლეობას გრანპრის გადატანა შაბათისთვის სურს.

*„ჩვენი აზრით, ფორმულა 1-მა მომავალზე უნდა იზრუნოს და მუსლიმანურ ქვეყნებში რბოლის შაბათს ჩატარების პერსპექტივა უნდა განიხილოს. იმედი გვაქვს, ორგანიზატორები დეტალურად შეისწავლიან ამ საკითხს"*, - ამბობს ბრიტანული სკოლის „სენტ-კრისტოფის" ბაჰრეინის ფილიალის დირექტორი **ედ გუდვინი**.

თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ FIA-მ და **ბერნი ექლსტოუნმა**, რომელთა კომპანიები რბოლების ტელეტრანსლაციების საკითხებს აგვარებენ, ბაჰრეინისა და საამიროებისთვის გამონაკლისი დაუშვან.

*„FIA ამ ქვეყნებში თავისი ტრადიციების დამკვიდრებას აპირებს: კვალიფიკაცია და რბოლა წინასწარ დადგენილ ვადებში უნდა ჩატარდეს*, - დარწმუნებულია **მარტინ უიტაკერი**, ბაჰრეინის ავტოდრომის აღმასრულებელი დირექტორი. - *რბოლის შაბათს გადატანა ჩემპიონატის ორგანიზატორებსა და მსოფლიოს ტელეკომპანიებს უამრავ პრობლემას შეუქმნის"*.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

# ივანოვიჩი რძის სმას გვირჩევს

მართალია, მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ანა ივანოვიჩი** ნაადრევად გამოვარდა ამერიკის ღია პირველობიდან, მაგრამ სამაგიეროდ, ბიზნესში გამოასწორა საკუთარი საქმეები. თუმცა შემოსავლების მხრივ, სერბი ჩოგბურთელი ისედაც შედის ათ საუკეთესო ჩოგბურთელს შორის.

ამერიკის მთავრობა რძის მოხმარების გაზრდას უჭერს მხარს და რეკლამისთვის ფულს არ იშურებს. თავის დროზე, მსგავს აქციაში მონაწილეობდნენ ფეხბურთელი **დევიდ ბექჰემი**, მოკრივე **მუჰამედ ალი**, მომღერალი **ბრიტნი სპირსი**... სხვათა შორის, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, სარეკლამო კამპანია Got Milk-მა ამერიკაში რძის მოხმარება 10 პროცენტით გაზარდა.




# ჩოგბურთი სპონსორებს არ უჩივის

კომპანია IEG LLC-მა, რომლის ოფისი ჩიკაგოში მდებარეობს და კორპორატიული სპონსორების მოღვაწეობის ანალიზით არის დაკავებული, კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ცნობილი ხდება, რომ 2008 წელს სამოყვარულო და პროფესიული ჩოგბურთის განვითარებაში სპონსორების წვლილმა 573.5 მილიონი დოლარი შეადგინა. ეს რვა პროცენტით მეტია, ვიდრე 2007 წლის ანალოგიური მაჩვენებელი. მოხსენებაში წერია, რომ ჩოგბურთში ყველაზე აქტიური ინვესტორი ფინანსური სექტორი გახლავთ.

IEG აგრეთვე აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ATP-ის ტური Daimler AG's Mercedes-მა დატოვა, ასოციაციამ სამი მსხვილი სპონსორი იპოვა. პირველია სადაზღვევო კომპანია Aviva, რომლის ოფისიც ლონდონში მდებარეობს. მრავალწლიანი გარიგების თანახმად, ის 100 მილიონ დოლარზე მეტ ინვესტიციას ახორციელებს. გარდა ამისა, ATP-იმ ბანკ Barclays-თან ახალ ხუთწლიან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა და აგრეთვე, სამი წლით გააგრძელა კონტრაქტი სამხრეთ აფრიკის ავიახაზებთან (South African Airways). ეს ხელშეკრულებები მოქმედებას 2009 წლიდან დაიწყებს და წელიწადში 55 მილიონს მოიტანს.

IEG მსგავს კვლევებს კარგა ხანია ატარებს და მის ექსპერტებს არაფერი გამოეპარებათ. მართალია, კომპანია „კოკა კოლა" პეკინის ოლიმპიადაზე თავის დანახარჯებს მალავდა, მაგრამ IEG-მ მაინც შეძლო ჩინური ბაზრის დასაპყრობად „კოკა კოლას" მიერ გაწეული ხარჯის დადგენა - ამ თანხამ 400 მილიონი დოლარი შეადგინა.

# მოლიკი ჩოგბურთს დაემშვიდობა



ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა **ალისია მოლიკმა** 27 წლის ასაკში კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ბოლო პერიოდში მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. ავსტრალიელმა ყურის ვირუსული დაავადებაც გადაიტანა.

*„ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ბევრი ვიფიქრე. სამი წლის წინ, ძველმა ავადმყოფობამ შემახსენა თავი. კორტზე დაბრუნებისთვის დრო დამჭირდა, მაგრამ შემდეგ ისეთი ტრავმები მივიღე, რასაც ვერასდროს წარმოვიდგენდი. ასეთ პირობებში არ ღირდა კარიერის გაგრძელება"*, - განაცხადა სააგენტო AP-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მოლიკმა.

ავსტრალიელს კარიერის განმავლობაში ერთეულთა თანრიგში ხუთი და წყვილებში შვიდი ტურნირი აქვს მოგებული. გარდა ამისა, 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მიიღო. მოლიკმა წელს პეკინის ოლიმპიადაზეც იასპარეზა, სადაც პირველივე წრეში გამოეთიშა ბრძოლას. 2008 წელს ავსტრალიელმა 14 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ოთხი დაასრულა თავის სასარგებლოდ.

მძლეოსნობა

# მთვრალი ივანეს ნახტომი

რუსეთის ერთ-ერთმა წამყვანმა მძლეოსანმა, სიმაღლეზე ხტომაში ქვეყნის ჩემპიონმა **ივანე უხოვმა** „მაჟორულ" ნოტაზე დაასრულა წლევანდელი სეზონი. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) ეგიდით გამართულ ერთ-ერთ დიდ ტურნირზე ის მთვრალი გავიდა მხტომელთა სექტორში.

თავიდან ივანმა 2.17 მეტრი ვერ აიღო, შემდეგ სიმაღლეს 6 სანტიმეტრი დაუმატა, მაგრამ ამჯერადაც მოეცარა ხელი, ბოლოს კი 2.32 მეტრი შეუკვეთა, მაგრამ ნახტომიც კი ვერ შეასრულა და ძირს გაიშხლართა. პუბლიკა თანაგრძნობით განიმსჭვალა საცოდავი მძლეოსნის მიმართ და ის აპლოდისმენტებით გააცილა სტადიონიდან.

მაყურებლებისგან განსხვავებით, მკაცრი იქნება საერთაშორისო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი. იქაური ჩინოვნიკები ახსნა-განმარტებას მოსთხოვენ უხოვს იმის გამო, რომ პირდაპირ სტადიონზე მიირთმევდა არაყს და მას ენერგეტიკულ სასმელ „რედ ბულს" აყოლებდა.

